ევროპის უნივერსიტეტის

ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი

აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის
არქეოლოგიის ინსტიტუტი

სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალი

არქეოლოგია

№7

AUREUS
გამომცემლობა AUREUS

ISSN 2587-5175

თბილისი
2022

სარედაქციო კოლეგია:

1. **პროფ. ალექსანდრე ნონეშვილი - მთავარი რედაქტორი.** ისტორიკოსი, არქეოლოგი, კულტუროლოგი. ევროპის უნივერსიტეტის აკად. ა. აფაქიძის სახ. არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი; ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი. სს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლის პროფესორი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი.
2. **პროფ. ნოდარ ფოფორაძე** - გეოლოგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
3. **პროფ. გურამ ყიფიანი** - არქეოლოგი, არქიტექტორი. ილიას უნივერსიტეტის პალეურბანული ლაბორატორიის ხელმძღვანელი.
4. **პროფ. ვხტანგ ლიჩელი** - არქეოლოგი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი. უნივერსიტეტის არქეოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი. გრაკლიანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი. ქართული არქეოლოგიური მისიის ხელმძღვანელი კვიპროსზე.
5. **პროფ. ვალერი ვაშაკიძე** - ისტორიკოსი. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.
6. **პროფ. დიმიტრი ახვლედიანი** - არქეოლოგი. ილიას უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი. საქ. ტერიტორიაზე არსებული უძველესი სახელმწიფოების არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი.
7. **ლიანა ბითაძე** - ანთროპოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის მთვარი მეცნიერი, განყოფილების ხელმძღვანელი.
8. **ლავრენტი ჯანიაშვილი** - ეთნოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

9. **თემურ ბიბილური** - არქეოლოგი. ისტორიის აკადემიური დოქტორი. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მუზეუმის ფონდების მთ. მცველი.

10. **მადონა მშვილდაძე - პასუხისმგებელი რედაქტორი.** არქეოლოგიის აკადემიური დოქტორი. წყალქვეშა არქეოლოგიის სპეციალისტი. ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული პედაგოგი.

11. **ლევან ხეცურიანი** - არქეოლოგი. ევროპის უნივერსიტეტის აკად. ა.აფაქიძის სახ. არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

12. **გოჩა გერაძე** - კულტუროლოგი. ნუმიზმატი. ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტი.

© 2022. ევროპის უნივერსიტეტი, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი. ელ-ფოსტა: sandro_none@yahoo.com

© 2022. გამომცემლობა AUREUS

მხატვარ-დიზაინერი: გურამ ყიფიანი

საბა ნონეშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: პაატა ახრახაძე

დაიბეჭდა შპს-ში „ბეჭდვის სამყარო“

ელ-ფოსტა: info@wop.ge

გიორგი ლომთათიძე
1914 – 1971

ნაზი პაჭიკაშვილი

გიორგი ლომთათიძე

რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციისა და მუზეუმის ფუძემდებელი

გიორგი (გოგი) ლომთათიძე, მიუხედავად იმისა, რომ ნაადრევად, 56 წლის ასაკში გარდაიცვალა, თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ქართულ მეცნიერებაში. განუზომელია მისი როლი შუასაუკუნეების ქალაქების, განსკუთრებით კი რუსთავის ციხე-ქალაქის ისტორიის კვლევაში.

1944 აპრილში, რუსთავის მშენებლობის დაწყების პირველივე დღეებში ნათელი გახდა, რომ ახალი ქალაქი ძველ, შუასაუკუნეების დროინდელ ნაქალაქარზე შენდებოდა და პირველივე ბარის დაკვრისთანავე არქეოლოგების ყურადღების არეში მოექცა.

1944-48 წლებში არქეოლოგები მ. ივაშჩენკო, ნ. ღამბაშიძე, გ. ცქიტიშვილი მეთვალყურეობას უწევდნენ მშენებლობას და მცირე თხრასაც აწარმოებდნენ. ამ ხანმოკლე პერიოდში ჩატარებული სამუშაოების შედეგად დაგროვდა დიდძალი განათხარი მასალა, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საცავებში ინახებოდა და მნიშვნელოვანი იყო როგორც საკუთრივ რუსთავის, ისე ზოგადად, შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის კვლევისა და შეწავლისათვის.

1949 წელს ცხადი გახდა რომ რუსთავის ნაქალაქარი, სადაც კვლავ დიდი ინტესივობით გრძელდებოდა სამშენებლო სამუშაოები სისტემატიურ, გეგმაზომიერ არქეოლოგიურ შესწავლას საჭიროებდა. ამავე წელს, გოგი ლომთათიძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტის რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიცია და საფუძველი ჩაეყარა რუსთავის ციხე-ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის ფართო მეცნიერულ კვლევას.

ამ დროიდან გოგი ლომთათიძის სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირდა ქალაქ რუსთავის წარსულს, რაც მისი ზრუნვის საგანი გახდა მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

გოგი ლომთათიძის ხელმძღვანელობით რუსთავის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ რუსთავის ნაქალაქარსა და ციხეზე გეგმაზომიერი სამუშაოების ჩატარების შედეგად გამოავლინა და შეისწავლა სხვადასხვა ტიპის (საცხოვრებელი, სამეურნეო)

ნამოსახლარები და სამაროვნები, რომელთა კვლევას არაერთი სტატია და გამოკვლევა მიუძღვნა. მათგან აღსანიშნავია: „რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები“ და „ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით“, სადაც ამომწურავად გადმოგვცემს მისი ხელმძღვანელობით მომუშავე ექსპედიციის მიერ ჩატარებული სამუშაოების უმთავრეს შედეგებს. განხილულია ნაქალაქარზე გამოვლენილი კომპლექსები: სამაროვნები, ნამოსახლარები და იქ აღმოჩენილი მასალა; სასიმაგრო, საცხოვრებელი, სამეურნეო ნაგებობები; უამრავი ნივთი და მონეტა; მოცემულია ქალაქის სტრატიგრაფიული შკალა, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული ღირებულება. გაცოცხლებულია ქალაქის ხანგრძლივი, მძიმე და რთული თავგადასავალი. დასახულია კვლევის ძირითადი გეზი და შემდგომი მუშაობის უმთავრესი პრობლემები.

გოგი ლომთათიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსთავის მუზეუმის დაარსების საქმეში. რუსთავის ნაქალაქარის შესწავლის ადრეული ეტაპიდანვე, მან შეძლო რუსთავში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი არქეოლოგიური არტეფაქტების რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ყურადღების არეალში მოქცევა. 1950 წლის აპრილში გათხრების დასათვალიერებლად დიდი სამთავრობო დელეგაცია მოიწვია. აქვე გააცნო დელეგაციის წევრებს მისი დიდი სურვილი ახალმშენებარე ქალაქში მუზეუმის დაარსების თაობაზე და ნანახით აღრფთოვანებულები ადვილად დაითანხმა. იმავე წლის 20 ივლისს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმეთა კომიტეტის N373 ბრძანებით დაარსდა რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მუზეუმის დირექტორად, გოგი ლომთათიძისავე ინიციატივით, დაინიშნა ექსპედიციის წევრი, არქეოლოგი თამარ პაატაშვილი.

ქაღალდზე დაარსებული მუზეუმის ამოქმედება ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული, მუზეუმს არ ჰქონდა შენობა, გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალები გაბნეული იყო სხვადასხვა დაწესებულებებში. ცხადია, პირველი რიგის ამოცანა მუზეუმისთვის შენობის მოძიება იყო, მაგრამ მშენებარე ქალაქში მუზეუმისთვის შესაფერისი ნაგებობის გამოძებნა ძნელი აღმოჩნდა. ქალაქის ხელმძღვანელობამ მუზეუმს გადასცა ხის ერთსართულიანი შენობა, რომელიც სრულიად გამოუსადეგარი იყო სამუზეუმო საქმიანობის წარსამართად. ამიტომ მუზეუმის ხელმძღვანელობა და

ბატონი გოგი მუზეუმისთვის შესაფერისი ნაგებობის მოძიებას აგრძელებდა. გოგი ლომთათიძეს ასეთი შენობა უკვე მონიშნული ჰქონდა - მშენებარე ორსართულიანი აგურის ლამაზი სახლი, იმ დროისთვის ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში. თ. პაატაშვილი იხსენებს: „რუსთავის მაშინდელი მცხოვრებლებისათვის ცნობილი იყო, რომ ეს სახლი ქალაქკომის მდივნისთვის შენდებოდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ის მუზეუმისათვის შესაფერისად გვეჩვენებოდა, მაგრამ ნატვრასაც ვერ ვბედავდით. ბატონმა გოგიმ კი ნატვრაც გაბედა და სიტყვაც ჩააგდო“. ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაუღალავი ბრძოლითა და შეგონებით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ჩარევით ნანატრი შენობა მუზეუმს გადაეცა.

ამ დღიდან მოყოლებული რუსთავის მუზეუმის ცხოვრებაში არ მომხდარა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიც ბატონ გოგის მონაწილეობა არ ჰქონოდა მიღებული. მისი თავდაუზოგავი შრომით მომზადდა და ხორცი შეესხა რუსთავის ძველი ისტორიის ამსახველ პირველ ექსპოზიციას, რომელიც 1953 წელს 1 მარტს სწორედ მის მოწონებულ შენობაში გაიხსნა.

ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის მას, 1966 წელს, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილისადმი მიძღვნილი მეორე ექსპოზიციის გამართვაში. ახალ გამოფენაზე რუსთავის გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით მრავლისმეტყველად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი რუსთაველის ეპოქა, რასაც ღირსეულად გაართვა თავი. საზეიმო დღეებში ბატონი გოგი თავად მასპინძლობდა მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ სტუმრებს. იგი ყველგან თავად უწევდა მეგზურობას ჯგუფ-ჯგუფად მოსულ საბჭოთა თუ უცხოელ სტუმრებს ხან რუსთავის ციხეზე, ხან მუზეუმის დარბაზებში. გოგი ლომთათიძის მონდომებამ, დიდმა შრომამ საჩინო შედეგი გამოიღო, ქალაქ რუსთავმა და მუზეუმმა ღირსეულად უმასპინძლა შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო დღეებს.

გოგი ლომთათიძისთვის განახლებული ექსპოზიციის მოწყობის პროცესში ნათელი გახდა, რომ მუზეუმის მომცრო შენობის საექსპოზიციო დარბაზები საკმარისი აღარ იყო მუზეუმში დაცული მნიშვნელოვანი არტეფაქტების გამოსაფენად - ბევრი არტეფაქტი ვიტრინებს მიღმა აღმოჩნდა. კვლავ საჭირო იყო ახალი ბრძოლის დაწყება მუზეუმის გაზრდა-გაფართოების, რუსთავის არქეოლოგიური შესწავლის, განახლების და სხვა სასიკეთო საკითხების მოგვარებისთვის. ამ მიზნით იგი მუზეუმის მაშინდელ

დირექტორთან, ლუიზა ბასიაშვილთან ერთად, შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, ხვდება ადგილობრივ ხელმძღვანელობას, აგზავნის წერილებს და შუამდგომლობს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან, ითხოვს მუზეუმის რეკონსტრუქცია-გაფართოვებას. სამწუხაროდ, გოგი ლომთათიძე ვეღარ მოესწრო რუსთავის მუზეუმის რეკონსტრუქციას. იგი 1971 წლის 23 ოქტომბერს გარდაიცვალა. ამ საბედისწერო დღეს, რუსთავის დიდ მოამაგეს საწერ მაგიდაზე დარჩა დაუმთავრებელი მიმართვა „ისევ რუსთავის შესახებ“.

აი ასეთი დიდი სიყვარულით უყვარდა ბატონ გოგის ქალაქი რუსთავი, ასე უანგაროდ იშრომა და იღვაწა მისი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვისთვის.

გოგი ლომთათიძის ნაღვაწ-ნაფიქრალი, მის მიერ დასახული გზა ქალაქ რუსთავის ისტორიის შესწავლასა და კვლევა-ძიებით საქმიანობაში ყოველთვის იყო და მომავალშიც დარჩება მანათობელ გზამკვლევად რუსთავის მუზეუმისა და არქეოლოგიური ექსპედიციის თითოეული წევრისთვის.

„დაე, ცხონდებოდეს მისი სული ორსავე ქვეყანასა შინა“.

გოგი ლომთათიძე რუსთავის ციხის გათხრებზე

გოგი ლომთათიძე ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად

გიორგი ლომთათიძე - მკვლევარი, პედაგოგი, მოღვაწე

1914 წლის 26 ნოემბერს, საქართველოს ძირძველ ქალაქ ცხინვალში, ზინაიდა ოქროპირიძისა და ალექსანდრე ლომთათიძის ოჯახში დაიბადა გიორგი (გოგი) ლომთათიძე, ქართველ არქეოლოგთა ერთ-ერთი პირველი თაობის გამორჩეული წარმომადგენელი.

გიორგი ლომთათიძეზე საუბარი მსურს დავიწყო მცირედი წიაღსვლით მისი მშობლების - ზინაიდა ოქროპირიძისა და ალექსანდრე ლომთათიძის ცხოვრებიდან.

დედა, ზინაიდა ოქროპირიძე გამოირჩეოდა აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით. სახელდობრ, იგი 1907 წლიდან იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ხოლო ბოლშევიკური ტერორის დაწყებისა და ქართველი პატრიოტების მასობრივი დაპატიმრების დაწყების შემდეგ, რეპრესირებულთა და მათი ოჯახების დასახმარებლად, თანამოაზრეებთან ერთად ქმნის არალეგალურ ორგანიზაციას "პოლიტიკური წითელი ჯვარი", რომელმაც 1930 წლამდე, ლიკვიდაციამდე ბევრი კეთილი საქმის გაკეთება მოასწრო.

მამა, ალექსანდრე ლომთათიძე აქტიურად იბრძოდა საქართველოს საეკლესიო და პოლიტიკური დამოუკიდებლების აღსადგენად. იგი სხვადასხვა წლებში არჩეულ იქნა ტფილისის საბჭოს ხმოსნად, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მოგვიანებით, ამიერკავკასიის სეიმის წევრად.

ალექსანდრე ლომთათიძის ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს შორისაა საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების, ხოლო 1918 წელს, საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევა. გვირგვინად კი, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მოწერა იქცა...

ბოლშევიკური რუსეთის სამხედრო ნაწილების თბილისში შემოსვლის ღამეს, ალექსანდრე ლომთათიძემ, დამფუძნებლი კრების მიერ თბილისის დატოვების გადაწყვეტილების მიღებისას განაცხადა: „მთავრობაც რომ წავიდეს და თქვენც რომ მას თან გაყვეთ, მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი". ...და, არც წავიდა; ოჯახთან ერთად თბილისში დარჩა და არ შეეპუა მომხდურ ბოლშევიკებს.

კიდევ ერთი ფაქტი - 1921 წ. 13 ივლისს ნაძალადევის პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში სტალინის გამოსვლის საპასუხოდ ნათქვამი სიტყვა იმდენად მამხილებელი და მძაფრი იყო, რომ ალექსანდრე ლომთათიძე დააპატიმრეს. იგი ჯერ მეტეხის ციხეში მოათავსეს, ხოლო ორიოდ წლის შემდეგ გადაიყვანეს სუზდალის პოლიტპატიმართა იზოლატორში, საიდანაც მოგვიანებით გადაასხლეს მარიის ავტონომიურ ოლქში, ხოლო შემდეგ ჩუვაშეთის ავტონომიურ ოლქში; მოკლე ხანში ავადმყოფობის გამო მას მიეცა უფლება დასახლებულიყო ტაშკენტში. ალექსანდრე ლომთათიძის ხანმოკლე, თუმცა მოვლენებით მდიდარი ცხოვრება დასრულდა იქვე, ტაშკენტის ციხეში, სადაც ის მოათავსეს საქართველოში 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ.

ძნელად წარმოსადგენია, ასეთ ოჯახსა და გარემოში გაზრდილ ადამიანს კომუნისტური იდეალებისადმი თუნდაც ოდნავი სიმპათია ჰქონოდა...

განათლება

თბილისის I საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლის დასრულების შემდეგ, გიორგი ლომთათიძემ ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტზე; 1938 წელს კი, აკად. ნიკო მარის სახ. ენიმკის ასპირანტურაში პროფ. გიორგი ნიორაძის ხელმძღვანელობით სწავლას განაგრძობს არქეოლოგიის სპეციალობით.

სამოქალაქო პოზიცია

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ გიორგი ლომთათიძის პირად არქივში არაერთი საინტერესო დოკუმენტი ინახება. მათგან ერთი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

გეოლოგიის სექციის პირველი კურსის სტუდენტები გ. ლომთათიძე, კ. ჯავრიშვილი, ა. ცაგარელი, ნ. გაბაშვილი. 1932 წ. 8 მარტს განცხადებით მიმართავენ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, რათა ისინი გაანთავისუფლონ რუსული ენის გაკვეთილებიდან. განცხადება დაწერილია გოგი ლომთათიძის მიერ [გიორგი ლომთათიძის პირადი არქივის აღწერილობა. საარქივო მასალა გადაარჩია და აღწერილობა 2007-2008 შეადგინა თამარ იმნაძემ. გვ. 11].

ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი თხოვნაა - ენის სათანადო ცოდნის გამო, სურთ რუსული ენის გაკვეთილებიდან განთავისუფლება... თუმცა, თუ გავიხსენებთ დროსა

და იმ ფაქტს, რომ განმცხადებლებიდან ორი, გიორგი ლომთათიძე და კოტე ჯავრიშვილი რეპრესირებული ოჯახების შვილები იყვნენ, მსგავსი თხოვნა მთლად უსაფრთხო არ უნდა ყოფილიყო.

მეორე შემთხვევა დაკავშირებულია რუსთავის მუზეუმისათვის შენობის გამოყოფის საკითხთან.

1944 წელს, დაიწყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა, რამაც განაპირობა ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური კვლევის დაწყება. გათხრებს თავდაპირველად მიხეილ ივაშჩენკო, ხოლო 1949 წლიდან გიორგი ლომთათიძე ხელმძღვანელობდა. გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის შესანახად, დასამუშავებლად და გამოსაფენად, საჭირო იყო სათანადო შენობა. სწორედ ამ დროისათვის, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის, რუსთავში მთავრდებოდა სამი ელიტარული ორსართულიანი სახლის მშენებლობა, რომელთაგან ერთ-ერთი აღმასკომის თავმჯდომარისათვის იყო განკუთვნილი.

გიორგი ლომთათიძის აზრით, ეს შენობა შეესაბამებოდა მუზეუმის საჭიროებებს. მან ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს, კანდიდ ჩარკვიანს, ნახსენები შენობის მუზეუმისათვის გადაცემის თაობაზე. წერილმა შედეგი გამოიღო - შენობაში საბჭოთა ნომენკლატურის ოჯახის ნაცვლად, დაბინავდა მუზეუმი; თუმცა, ამ ფაქტს დიდი სკანდალი მოჰყვა, რასაც მუზეუმის მაშინდელი ხელმძღვანელობა კინაღამ შეეწირა [<u>დავით მჭედლიძე</u>, მუზეუმების საერთაშორისი დღე რუსთავის ისტორიულ მუზეუმში. რადიო თავისუფლება. მაისი 18, 2018.].

გიორგი ლომთათიძე - მკვლევარი

გიორგი ლომთათიძე მონაწილეობდა უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლების კვლევაში. თუნდაც ის რად ღირს, რომ, ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლის დროს, შემდგომში ქართული არქეოლოგიური წარსულის უდავოდ გამორჩეულ წარმომადგენლებთან ანდრია აფაქიძესთან, გერმანე გობეჯიშვილთან და ალექსანდრე კალანდაძესთან ერთად, მონაწილეობდა ისტორიული დიდი მცხეთის არმაზისხევის პიტიახშების დასახლების, სამთავროს სამაროვნის, სამეფო აკლდამის, მთა ქართლის, მარტაზისხევის და სხვ. უმნიშვნელოვანესი ძეგლების კვლევაში; კვლევაში, რომელსაც

თავდაპირველად ხელმძღვანელობდა აკად. ივანე ჯავახიშვილი, ხოლო 1940წ., მისი მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, აკად. სიმონ ჯანაშია.

არმაზისხევისა და, საზოგადოდ, ქართლის სამეფოს დედაქალაქ დიდი მცხეთის არქეოლოგიური კვლევა გამოირჩა არა მხოლოდ მანამდე არნახული უძრავი თუ მოძრავი ძეგლების გამომზეურებით, არამედ იმითაც, რომ აქ მიიღო საველე ნათლობა ქართველ არქეოლგთა არა ერთმა თაობამ.

არმაზისხევის გათხრების შედეგებს მიეძღვნა ფუნდამენტური გამოკვლევა „მცხეთა I", რომელიც დაიბეჭდა 1955 წელს. წიგნის მომზადებაში, ზემოთ ნახსენებ მკვლევარებთან ერთად, უაღრესად დიდი წვლილი მიუძღვის გიორგი ლომთათიძეს, რომელმაც მოიძია და დაამუშავა გამოქვეყნებული მასალის ანალოგ-პარალელების უდიდესი ნაწილი. წიგნის რუსული ვარიანტის მომზადებაში კი, მისი წვლილი სრულიად ფასდაუდებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მონუმენტური ნაშრომის გამოსვლიდან გავიდა თითქმის 70 წელი, ის დღემდე ითვლება აკადემიური გამოცემის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად.

გიორგი ლომთათიძე ჩართული იყო ისტორიული დიდი მცხეთისა და თრიალეთის არქეოლოგიური მონაპოვრის გამოფენის მომზადებაში. ამ ფაქტს დოკუმენტურად ადასტურებს 1940წ. 25 დეკემბერს, სიმონ ჯანაშიას ხელმოწერით მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება [გიორგი ლომთათიძის პირადი არქივის აღწერილობა..., გვ. 10; N 132].

გიორგი ლომთათიძე ხელმძღვანელობდა კლდეეთის გვიანანტიკური დროის სამაროვნის გათხრებს და ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებას შემატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა [კლდეეთის სამაროვანი ახ. წ. II საუკუნისა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამ-ბა. თბილისი, 1957].

გიორგი ლომთათიძემ სამეცნიერო საქმიანობის უდიდესი ნაწილი მიუძღვნა შუასაუკუნეების ძეგლების კვლევას.

საქართველოს შუასაუკუნეების სისტემურ სამეცნიერო არქეოლოგიურ კვლევას საფუძველი ჩაუყარა ლევან (ლენკო) მუსხელიშვილმა (თბილისი, 1900; თბილისი, 1942), რომელმაც ვერ მოასწრო მის მიერვე შექმნილი პროგრამის განხორციელება. უდროოდ გარდაცვლილი მკვლევარის საქმის გამგრძელებლად იქცა გიორგი ლომთათიძე,

რომელიც სამი ათეული წლის მანძილზე სწავლობდა საქართველოს შუასაუკუნეების მოძრავ და უძრავ ძეგლებს. სწორედ მისი დამსახურებაა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, არა მარტო უკვე ცნობილი ძეგლების გათხრა, არამედ რამდენიმე სრულიად უცნობი ობიექტის აღმოჩენა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა.

მის მიერ შუასაუკუნეების სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე ჩატარებული საველე სამუშაოების მრავალფეროვნებასა და მასშტაბებზე, მათი ჩამონათვალი და გეოგრაფიაც კი იკმარებდა: თბილისის განჯის კარი, რუსთავი, სამშვილდის ნაქალაქარი, სამონასტრო კომპლექსის ნაშთები სოფ. სამღერეთის მიდამოებში, ნასოფლარები ასურეთ-კაბენის მიდამოებში, თეთრი წყაროს ნადარბაზევი, (ქვემო ქართლი), უჯარმის ციხე, თელავი, ალვანი, გრემის ნაქალაქარი, კვეტერას ციხე-ქალაქი, ნეკრესი, (კახეთი), ახალქალაქი (სამცხე-ჯავახეთი), ხვამლის მთის არქეოლოგიურ-ხუროთმოძღვრული ძეგლები (ლეჩხუმი-იმერეთი), ურბნისი (შიდა ქართლი) და ა.შ.

გიორგი ლომთათიძის სამეცნიერო ინტერესი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საველე არქეოლოგიური საქმიანობით.

იგი გამოირჩეოდა, როგორც მოპოვებული მასალის უბადლო მკვლევარი. მან ძალზედ საინტერესო ნაშრომები მიუძღვნა გვიანანტიკური და გვიანანტიკურ-განვითარებული შუასაუკუნეების საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული ცხოვრების შესწავლას [ლომთათიძე გ. 1952; 1955; 1877].

გიორგი ლომთათიძემ, თამამად შეიძლება ითქვას, ბევრ საკითხში დროს გაუსწრო. ნათქვამის საილუსტრაციოდ დავასახელებ ერთ მის ადრეულ ნაშრომს, „ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში“ [ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში. რედაქტორი ალექსანდრე კალანდაძე. გამ. მეცნიერება. თბილისი. 1974].

წიგნის რედაქტორის პროფ. ალექსანდრე კალანდაძის შეფასებით, „...ნაშრომში გაბნეულმა ბევრმა მაღალპროფესიულმა დაკვირვებამ და ძირითადმა დებულებამ აშკარად გაუძლო სამი ათეული წლის გამოცდას და თავისი აქტუალობა დღეისათვისაც შეინარჩუნა“.

განსვენებული მკვლევარის ამ შეფასებას შეიძლება დავამატოთ - 1938-1944 წწ. მომზადებულ ნაშრომს, დაწერიდან 80-85 წლის შემდეგაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება.

გიორგი ლომთათიძემ, მაშინდელ საბჭოთა და იქნებ, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების არქეოლოგებს შორის, ერთ-ერთმა პირველთაგანმა თეორიული განსჯა დააფუძნა საკვლევი მასალის ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზის შედეგებზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გიორგი ლომთათიძის მეგობრის პროფ. ალექსანდრე კალანდაძის ძალისხმევა, რომელმაც მოამზადა და გამოსცა ეს მართლაც მშვენიერი გამოკვლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომი ოდენ მკვლევარის პირად არქივში დაუნჯებულ ხელნაწერად დარჩებოდა. სამწუხაროდ, ამის არაერთი მაგალითი გვაქვს...

გიორგი ლომთათიძე ყურადღებით ადევნებდა თვალს, შეძლებისდაგვარად ეცნობოდა და ეხმაურებოდა საქართველოსა თუ უცხოეთში მიმდინარე სამეცნიერო ცხოვრების სიახლეებს; ამის დასტურია ჩანაწერები, ამონარიდები ქართველი, საბჭოთა თუ ევროპელი კოლეგების გამოკვლევებიდან და მათზე რეცენზიები.

1959 წელს, ქართულ ენაზე შეიქმნა არქეოლოგიის პირველი ორიგინალური საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რომლის თანაავტორად, ნიკო ბერძენიშვილთან, ანდრია აფაქიძესთან, გერმანე გობეჯიშვილთან, ალექსანდრე კალანდაძესთან, ნინო ხოშტარიასთან და ოთარ ჯაფარიძესთან ერთად გიორგი ლომთათიძეცაა.

გიორგი ლომთათიძე ცდილობდა არქეოლოგების ძალისხმევით გამოვლენილი ძეგლების მაქსიმალური პოპულარიზაცია მოეხდინა. ამ მიზნის მისაღწევად მან დაწერა რამდენიმე სამეცნიერო პოპულარული ნაშრომი და არაერთი სტატია რესპუბლიკურ თუ რაიონულ გაზეთებისათვის.

გიორგი ლომთათიძის ბიოგრაფიის ერთ მნიშვნელოვან ეტაპად იქცა მისი და პარიზიდან დაბრუნებული ექვთიმე თაყაიშვილის თანამშრომლობა.

იგი ამუშავებდა და იკვლევდა აკად. ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობას; ხოლო როგორც რედაქტორი, უშუალოდ მონაწილეობდა მისი არქივის გამოცემაში [აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივი. აღწერილობა შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ე. კელენჯერიძემ; (რედ. და ბოლოსიტყვ. ავტ.: გ. ლომთათიძე).

მეცნიერება. თბილისი. 1972; გ. ლომთათიძე. ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც მთხრელი არქეოლოგი. კრებ. „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი“. თბილისი. „მეცნიერება“. 1966]

ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ის გაათკეცებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, რადგან საქმე ეხებოდა ექვთიმე თაყაიშვილის მემკვიდრეობას; ექვთიმე თაყაიშვილისა, რომელიც არა მარტო დიდი მეცნიერი და მოღვაწე, არამედ მისი ოჯახის ახლობელი ადამიანი იყო.

გიორგი ლომთათიძის, მართლაც საოცარი ერუდიციისა და მრავალმხრივი ინტერესების მქონე პიროვნების თვალთახედვის მიღმა არ რჩებოდა საქართველოსთან, ქართულ ეთნოკულტურასთან დაკავშირებული არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი. მკვლევარის ინტერესების სფერო არ ისაზღვრებოდა მისი ორი უმთავრესი სპეციალობის გეოლოგიისა და არქეოლოგიის პრობლემატიკით.

მან არაერთი საინტერესო წერილი, ჩანახატი თუ კრიტიკული ხასიათის შენიშვნა დაწერა ქართული სამეტყველო ენის, სამეცნიერო ტერმინოლოგიის თაობაზე. მის დამოკიდებულებაზე ქართული ენისადმი და საზოგადოდ ქართული კულტურისადმი, მეტყველებს თუნდაც 1934-1964 წწ. დათარიღებული 205 გვერდიანი ჩანაწერების 4 წიგნაკი (ბლოკნოტი) და 3 რვეული. ესაა მართლაც უნიკალური მასალა, ჩაწერილი ავტორის მიერ, როგორც თვითონ აღნიშნავს, „სხვადსხვა კუთხეში გეოლოგიურ და არქეოლოგიურ ექსპედიციაში, ისე მოგზაურობისას, სუფრაზე, ჩვეულებრივი საუბრისას და ა. შ.“ [გიორგი ლომთათიძის პირადი არქივის აღწერილობა. გვ. 171; N958].

სულ კი, გიორგი ლომთათიძეს ქართულ ენაზე სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და საზოგადოდ, ქართული ენის საჭირბოროტო საკითხებისადმი მიუძღვნია ორ ათეულამდე ნაშრომი. მათგან მცირე ნაწილი გამოქვეყნებულია; უმეტესობა კი ელის დღის სინათლეს.

ეს ის საკითხებია, რომელთა შესახებ მსჯელობა დღეს არა თუ ყავლგასული, არამედ უფრო მეტად აქტუალური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

გიორგი ლომთათიძის მოღვაწეობის მრავალმხრივობა ამით არ შემოიფარგლებოდა. სასიამოვნოდ გაოცებული დარჩებით, როდესაც აღმოაჩენთ, რომ გარდა პრაქტიკული საველე და თეორიული კვლევითი საქმიანობისა, იგი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან და პირუკუ, ქართულიდან უცხო ენებზე აქტიურად თარგმნიდა

სასწავლო, სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარულ, მხატვრულ და თქვენ წარმოიდგინეთ საჭადრაკო ლიტერატურასაც კი.

გიორგი ლომთათიძეს უთარგმნია, თუმცა სამწუხაროდ, არ დაბეჭდილა, ისეთი ავტორების ნაშრომები, როგორებიც იყვნენ გორდონ ჩაილდი, ერნესტ შანტრი, არნე ტალგრენი, ივანე მეშჩანინოვი და ა. შ. მასვე ეკუთვნის გამოჩენილი ამერიკელი მკვლევარის არტურ პოუპის რედაქტორობით გამოცემული ფუნდამენტური ნაშრომის „სპარსული კერამიკის ისტორიისა და ტექნოლოგიისათვის“, ინგლისურიდან ქართულად რამდენიმე თავის თარგმანი (1947/48 წწ.).

გიორგი ლომთათიძის პირად არქივში დაცულია, მისი ამ კუთხით მოღვაწეობის დამადასტურებელი არაერთი დოკუმენტი [გიორგი ლომთათიძის პირადი არქივის აღწერილობა. გვ. 251-255].

გიორგი ლომთათიძის ცხოვრება აღსავსე იყო უამრავი ლამაზი და კიდევ უფრო მეტი სევდიანი და ტრაგიკული მოვლენებით. ცხადია, მისი ცხოვრების, თუნდაც უმთავრესი მოვლენების ვრცლად გადმოცემა, ისევე როგორც მისი შრომების სრული ჩამონათვალი, შეუძლებელია ერთი მცირე მოცულობის ჩანახატში.

სწორედ ამიტომ, მომავალი წლისათვის, როდესაც, გიორგი ლომთათიძეს უსრულდება დაბადებიდან 110 წელი, მზად მექნება ვრცელი ნაკვლევი, რომელშიც მაქსიმალური სისავსით იქნება მოცემული ამ შესანიშნავი პიროვნების, მრავალმხრივი მკვლევარისა და ათობით არქეოლოგის აღმზრდელის ცხოვრების ყველა მხარე. სასურველი იქნებოდა, ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას, ამთავითვე დაეჭირა თადარიგი, რათა გამოიცეს მისი შრომები; მათ შორის დღემდე უცნობი ხელნაწერი წერილები, რეცენზიები, თარგმანები...

გიორგი ლომთათიძის ნაშრომების ჩამონათვალი (მონახაზი)

1. გეოლოგიური ტერმინოლოგია - Геологическая терминология - Dictionnaire des dciences geologiques. შემდგენლები გ. ლომთათიძე, მ. ფოფხაძე და კ. ჯავრიშვილი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, 1941.

2. მრგვალი ქანდაკების უძველესი ნიმუშები საქართველოში (საუბარი მცხეთის არქეოლ. ექსპედიციის არმაზისხევის ჯგუფის უფროსთან გ. ლომთათიძესთან). გაზ. „კომუნისტი“, N231, 1945.

3. არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1944.

4. ხვამლის ქვაბულებში. გაზ. „კომუნისტი“. თბილისი, 1945.

5. თბილისის არქეოლოგიური შესწავლის დასაწყისი. გაზ. „კომუნისტი“, N126. 1949.

6. ქართული კერამიკული წარმოების ისტორიისათვის. „მეცნიერება და ტექნიკა“, N8, 1949.

7. უჯარმის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა. „მეცნიერება და ტექნიკა“, N11, თბილისი, 1950.

8. რუსთავის არქეოლოგიისათვის. გაზ. „კომუნისტი“, N107. 1950.

9. ივ. ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში. მიმომხილველი, ტ. II, 1951.

10. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები მცხეთაში. „მეცნიერება და ტექნიკა“, N1. თბილისი, 1951. ახლადაღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში // საქართველოს სსრ მამ. ტ. XII, №10, 1951 (ირაკლი ციციშვილთან თანაავტორობით).

11. 1950 წელს ივრის ხეობის არქეოლოგიური დაზვერვის ანგარიში. თბილისი, 1951.

12. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კულტურული ერთიანობის საკითხისათვის ახ.წ. II-III საუკუნეებში. სოხუმის სესიის თეზისები. 1952.

13. წინაპართა ნაკვალევი. საბლიტგამი. თბილისი, 1952.

14. უჯარმის არქეოლოგიური თხრის შედეგები. სესიის მასალები, მიძღვნილი 1952 წლის საველ-არქეოლოგიური კვლევის შედეგებისადმი. თბილისი, 1953.

15. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. 1. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946წწ. განათხარის მიხედვით. ანდრია აფაქიძესთან, გერმანე გობეჯიშვილთან, ა. კალანდაძესთან თანაავტორობით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1955.

16. საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახ. წ. I-III სს. (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), იიშ. I. თბილისი, 1955.

17. რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა. I. თბილისი, 1955.

18. არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში, მსკა. I. თბილისი, 1955.

19. „განჯისკარის“ 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში, მსკა. I. თბილისი, 1955.

20. არქეოლოგიური გათხრები თბილისში 1949 წელს, მსკა. I. თბილისი, 1955.

21. ურბნისის არქეოლოგიური ექსპედიციის წინასწარი მოკლე ანგარიში, 1953 და 1954წწ. (ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზეუმისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქივები); საქ. მუზ. III სესიის ნაბეჭდი თეზისები, 1955.

22. კლდეეთის სამაროვანი ახ.წ. II საუკუნისა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამ-ბა. თბილისი, 1957.

23. ურბნისის ექსპედიციის 1965 წლის კამპანიის ანგარიში. თბილისი, 1957.

24. ქვემო ქართლის 1948-1949 წწ. ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის არქეოლოგიური საქმიანობის ანგარიში. თბილისი, 1957.

25. ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო საქართველოს არქეოლოგია. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1959.

26. საუკუნეთა წიაღში. მცხეთის არქეოლოგიური კვლევა გრძელდება. გაზ. „კომუნისტი“, N118, 1959 (ალექსანდრე კალანდაძესთან თანაავტორობით).

27. თბილისის არქეოლოგიური შესწავლილობა. იიშ. V. ნაკვ. 1, 1960.

28. ჯავახეთ-ახალქალაქის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი (1960 წ.) შედეგი. ივ. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიური მუშაობისადმი მიძღვნილი სესიის თეზისები. თბილისი, 1961.

29. ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საწარმოო კერათა ისტორიისათვის. კრ. ფსაძ., თბილისი, 1961.

30. თელავ-ალვანის 1962 წლის არქეოლოგიური კვლევის ანგარიში. ივ. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიური მუშაობისადმი მიძღვნილი სესიის თეზისები. თბილისი, 1963.

31. კუხეთის რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით. თბილისი, 1963.

32. ურბნისის არქეოლოგიური კვლევის დასაწყისი (ექსპედიციის ნამუშევარი 1953-1956წწ.). „მაცნე“, NN 2,4. 1964.

33. არქეოლოგიური ძეგლები და ჩვენი გონიერი მშენებლები. ძმ., N 2. გამ. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი, 1964.

34. მთა ქართლის ექსპედიციის არმაზისხევის და მარტაზისხევის რაზმების ნამუშევარი 1963 წელს. ივ. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიური მუშაობისადმი მიძღვნილი სესიის თეზისები. თბილისი, 1964 (ნინო უგრელიძესთან თანაავტორობით).

35. მთა ქართლის ექსპედიციის ექსპედიციის არმაზისხევის რაზმის ნამუშევარი 1964 წელს. ივ. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიური მუშაობისადმი მიძღვნილი სესიის კრებული. თბილისი, 1965.

36. რუსთაველის საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. ძმ., N8. 1966.

37. ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც მთხრელი არქეოლოგი. კრებ. „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი“. „მეცნიერება“. თბილისი, 1966.

38. პირველი არქეოლოგური კამპანია თბილისის დედაციხეზე. 1965წ. საველე-არქეოლოგიური სეზონისადმი მიძღვნილი სესიის კრებული. თბილისი, 1966 (ოთარ ტყეშელაშვილთან და იოსებ გრძელიშვილთან თანაავტორობით).

39. თბილისის დედაციხესაც აამეტყველებენ არქეოლოგები. „ლიტერატურული საქართველო“, N 2. 1967 (ოთარ ტყეშელაშვილთან და იოსებ გრძელიშვილთან თანაავტორობით).

40. ხვამლის ციხე-ქვაბულის არქეოლოგია. თბილისი, 1967.

41. არქეოლოგები მიუბრუნდნენ ისტორიულ ახალქალაქს. რაიონული გაზეთი „შუქურა“, N130. ახალქალაქი, 1968.

42. საქართველოს ნაციხვართა არქეოლოგიისათვის. ძმ., N14. თბილისი, 1968.

43. ყოფა და კულტურა არქეოლოგიური მასალების მიხედვით. სინ. ტ. 2. „მეცნიერება“. თბილისი, 1973.

44. ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში. „მეცნიერება“. თბილისი, 1974.

45. საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIIIსს. „მეცნიერება“. თბილისი, 1977.

46. „ვეფხისტყაოსანის“ თანამოასაკე ნივთები მიწის წიაღიდან. ძმ., N68. გამ. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი, 1988.

47. ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით. „მეცნიერება“. თბილისი, 1988.

48. არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთსა და ივრის ხეობაში. „მეცნიერება“. თბილისი, 1989.

49. Раскопки в Тбилиси. გაზ. ,,Заря Востока“, N152, 1949.

50. Археологические раскопки в Мцхета. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამ-ბა. თბილისი, 1955.

51. Некоторые итоги раскопок археологических памятников феодальной Грузии. СА. XXVII. М. 1957.

52. Культура и быт Грузии в IV-VII вв. Очерки истории СССР. III. М. 1958.

53. Результаты и перспективы археологического изучения города Тбилиси, Т. 4, М. 1959.

54. Тбилисская экспедиция. АО – 1967 г., М. 1967.

55. Археологическая летопись столицы Грузии. გაზ. ,,Вечерный Тбилиси“. 24. IX , 1968.

56. Культура и быт в IV – V вв. По археологическим материалам. ОИГ. Том 2. ,,Мецниереба“. Тбилиси, 1988.

შემოკლებათა ახსნა:

იიშ - ივანე ჯავახიშვილის სახ. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები

მამ - საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე

„მაცნე“ - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია

მსკა - მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლგიისათვის

სინ - „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“.

ფსამ - ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კრებული „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“.

ძმ - ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“

АО - Археологические открытия

ОИГ - Очерки истории Грузии.

СА – „Советская Археология“

ალექსანდრე ნონეშვილი, გურამ ყიფიანი, მადონა მშვილდაძე, გიორგი ბურჯანაძე

ოხერახევის სამაროვნის ტერიტორიაზე 2022 წელს ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში

2022 წლის 20 ივლისიდან - 20 სექტემბრის ჩათვლით ნიჩბისის თემში (მცხეთის მუნიციპალიტეტი), ოხერახევის სამაროვნის (01/36) ტერიტორიაზე, არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებდა ევროპის უნივერსიტეტის აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (სანებართვო მოწმობა: N ნ/12/31)[1]. სამუშაოები განხორციელდა ევროპის უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით.

არქეოლოგიურ ექსპედიციას წინ უძღოდა 2019-2021 წლებში წარმოებული საველე დაზვერვები და გათხრითი სამუშაოები, რომელთა შედეგებიც გამოქვეყნებულია აკად. ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით ჟურნალში „არქეოლოგია“ [„არქეოლოგია“ - 2021: 83-97, N4; 2021: 23-45, N5, 2022: 18-87, N6].

2022 წელს, ექსპედიციის მიზანს წარმოადგენდა ადრეელინისტური ხანის სამაროვანზე გათხრების გაგრძელება, სამაროვნის სავარაუდო გავრცელების საზღვრების დადგენა და ნამოსახლარის ბორცვზე არქეოლოგიური ფენების გამოვლენა. სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხებისა და ველის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბოლო პუნქტზე გათხრების წარმართვა ვეღარ მოესწრო, რაც მომავალი სეზონისთვის გადაიდო.

[1] ექსპედიციის ძირითადი შემადგენლობა: ხელმძღვანელი პროფ. ალექსანდრე ნონეშვილი; პროფ. გურამ ყიფიანი (არქიტექტორი); ანთროპოლოგი ქ-ნი ლიანა ბითაძე, არქეოლოგიის აკად. დოქტორი მადონა მშვილდაძე (უბნის ხელმძღვანელი); საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურის სპეციალისტი, არქეოლოგიის მაგისტრი გიორგი ბურჯანაძე; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის კურატორი შალვა ბუაძე; არქეოლოგიის მაგისტრები: თეონა ბუბუტეიშვილი, თამარ სიდამონ-ერისთავი; არქეოლოგიის მაგისტრანტი შავლეგ ქალდანი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის პროგრამის ბაკალავრი ელენე დავითაშვილი; ა(ა)იპ რუსთავის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლები: არქეოლოგიის მაგისტრი შალვა ბაბუციძე და ია ცარციძე.

უნდა აღინიშნოს, რომ ოხერახევის სამაროვანზე, ორი კვირის მანძილზე საველე არქეოლოგიური პრაქტიკა გაიარეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა[2] პროფ. დიმიტრი ახვლედიანის ხელმძღვანელობით.

არქეოლოგიური სამუშაოების აღწერა:

საანგარიშო წელს, სამაროვნის შესასწავლი არეალი მოექცა მე-12, მე-13, მე-14 , J2, J3 და J4 ათ მეტრიან კვადრატებში, რომლებიც თავის მხრივ დამატებით დანაწევრდა თითო მეტრიან კვადრატებად შესაბამისი ნუმერაციით (გათხრების წარმართვისა და კვადრატების ტეხვის წერტილებია (GPS კოორდინატები): X - 460268.01; Y - 4633895.61; X - 460280.63, Y - 4633877.30; X - 460280.29, Y - 4633875.19; X - 460279.54, Y - 4633874.53; X - 460275.00, Y - 4633873.00; X - 460275.00, Y - 4633880.00; X - 460270.00, Y - 4633879.00; X - 460268.00, Y - 4633881.00; X - 460267.00, Y - 4633881.00; X - 460267.00, Y - 4633876.00) [სურ. 1, 2, 3, 6, 243].

ექსპედიციის მიერ, 2022 წელს გაიხსნა 36 სამარხი[3]. უმეტესობა წარმოადგენდა ხით გადახურულ ორმოსამარხს (რაზეც მიანიშნებდა სამარხებში გამოვლენილი ხის მძლავრი კვალი), რიგ შემთხვევებში კი გამოვლინდა მასიური ქვის ფილებით გადახურული სამარხები და ქვაყუთები. აღსანიშნავია, რომ ბავშვებისთვის განკუთვნილ სამ ქვაყუთზე, სამარხის კედლების შემავსებლად გამოყენებული იყო დერგის ფრაგმენტებიც. მოპოვებული ინვენტარი წინა არქეოლოგიური სეზონების მსგავსად, წარმოდგენილია კერამიკული ჭურჭლით[4], მრავალფეროვანი სამკაულითა და რკინის საბრძოლო იარაღით.

თავდაპირველად, არქეოლოგიური სამუშაოები განახლდა მე-12 კვადრატში. მოინიშნა 5x4მ-იანი მონაკვეთი, თუმცა სამარხების გამოვლენის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიქმნა სამუშაო არეალის გაფართოების აუცილებლობა. სამარხების საზღვრების გავრცელების მიზნით ორი - 5x6 და 5x5 მეტრიანი მონაკვეთები მოინიშნა მე-12 კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამ შემთხვევაშიც, აუცილებელი გახდა

[2] მაგისტრანტები: რატი რატია, ლუკა ჩეკურიშვილი, სოფო კუტალაძე, მარიამ ქიტესაშვილი.

[3] სამარხების ნომრები წარმოდგენილია 2022 წლის საველე ნუმერაციით.

[4] ექსპედიციის დასრულებისთანავე, სამაროვანზე გამოვლენილი კერამიკული მასალა და სამკაულების ნაწილი გადაიგზავნა სარესტავრაციოდ. რესტავრატორი: ვაჟა ჩიტორელიძე. აღსანიშნავია, რომ ფრაგმენტულობის გამო, ვერ მოხერხდა სამარხთა კედლების შემავსებლად გამოყენებული დერგების აღდგენა.

მომხდარიყო კვადრატების გაფართოება და გაერთიანება, რაც ექსპედიციის დასასრულისთვის ნაწილობრივ ან სრულად მოიცავდა მე-13, მე-14, J2, J3 და J4 კვადრატებს [სურ. 4, 5] .

სამარხთა აღწერა:

სამარხი N1 გამოვლინდა მე-12 კვადრატში, აღმოსავლეთ ჭრილის სავალი ნაწილიდან 0.50-0.52მ. სიღრმეზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე - 1.34მ.; სიგანე - 0.81მ. ინდივიდი დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. თავი მცირე ზომის ქვაზე ჰქონდა დასვენებული. მიცვალებულის თავთან, სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გამოვლინდა პირმოყრილი ჯამი, ხოლო ფეხებთან დაზიანებული ხელადა (აკლდა პირისა და ყურის ფრაგმენტები). ინდივიდის თავის არეში დაფიქსირდა ბრინჯაოს, მრგვალგანივკვეთიანი, ბოლოებგადაჭდობილი მცირე ზომის საყურეც.

საველე პირობებში, ანთროპოლოგ ქ-ნ ლიანა ბითაძის მიერ, მოხერხდა ინდივიდის მონაცემების განსაზღვრაც, წინასწარული კვლევების მიხედვით ინდივიდი უნდა ყოფილიყო დაახლოებით - 1.80მ. სიმაღლის, 67 კგ., 35-40 წლის [სურ. 7-10].

სამარხი N2 გამოვლინდა მე-12 კვადრატში, ჩრდილოეთის ჭრილის კიდესთან, დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. აღმოსავლეთ ჭრილის სავალი ნაწილიდან დაახლოებით 0.93მ-ის სიღრმეზე. სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე - 1.05მ.; სიგანე - 0.60მ. ძვლოვანი მასალის მიხედვით წარმოადგენდა კოლექტიურ სამარხს. ანატომიურად შედარებით სრული ინდივიდი დასვენებული იყო მარჯვენა მხარეს, ხელფეხმოკეცით, თავის არეში პირმოყრილი ჯამით და სარდიონის ერთი ცალი მძივით. სამარხის სამხრეთ კედელთან ,,მიხვეტილი“ იყო მეორე ინდივიდის ძვლები, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ელაგა, სავარაუდოდ აღნიშნული მიცვალებულის კუთვნილი, კოჭობი და შედარებით მცირე ზომის პირმოყრილი ჯამი [სურ. 11-16].

სამარხი N3 გამოვლინდა მე-12 კვადრატში, N1 სამარხის სიახლოვეს, ძლიერ დაზიანებული სახით. მისი თავდაპირველი ფორმის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. გადახურვისთვის განკუთვნილი ხის ნაშთი, სამარხის ჩრდილოეთ კედელთან, სუსტად შეიმჩნეოდა. ამავე მხარეს სამარხს შემოსაზღვრავდა მოზრდილი ქვა, რომლის გვერდზეც ჩაცურებული იყო ცხოველის ძვლები. პრეპარაციის შედეგად N3 სამარხში გამოვლინდა

ფრაგმენტულად შემორჩენილი ინდივიდის ძვლები, დაზიანებული მძივები (13ც. თვალედი), ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი რგოლისა (საყურე?) და რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები[5] [სურ. 17-20], [გაგოშიძე ი. 2020: 68, სურ. 36; Гогиберидзе Н. 2003: 67].

სამარხი N4 წარმოადგენდა მე-12 კვადრატში არსებულ ორმოსამარხს, რომელზეც მძლავრად შეიმჩნეოდა გადახურვისთვის განკუთვნილი ხის ფრაგმენტები. სამარხი დამხრობილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ინდივიდი ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. ხის გადახურვის ჩაშლის გამო ინდივიდის ძვლები ძლიერ იყო დაზიანებული. სამარხის სამხრეთ კედლის კუთხესთან, მიცვალებულის თავის სიახლოვეს, გამოვლინდა მოხატული ხელადა და დიდი ზომის პირმოყრილი ჯამი ცხოველის ძვლებით. ინდივიდის ზედა კიდურებთან აღმოჩნდა ბრინჯაოს საკინძები (2ც.), ბრინჯაოს ილარი, ბრინჯაოს ვარსკვლავისებური მოყვანილობის ღილი (?), რკინის ძლიერ დაზიანებული ფარაკიანი ბეჭდები (6ც.) და რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები. ყელის არეში გამოვლინდა პასტის (3ც.), სარდიონისა (33ც.) და ბრინჯაოს თხელი ფურცლისაგან (?, 9ც.) შედგენილი მძივები [სურ. 21-31].

სამარხი N5 გამოვლინდა მე-12 კვადრატში, N2 სამარხის სიახლოვეს და წარმოადგენდა მთლიანად დელუვიურ დანაშრევში ჩაჭრილ ორმოსამარხს, ზომებით: სიგრძე - 0.73მ.; სიგანე - 0.50მ. სამარხი დამხრობილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ინდივიდი ესვენა მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. ძვლოვანი მასალა ძლიერ იყო არეული და ფრაგმენტირებული, ინდივიდის დაკძალვის პოზის განსაზღვრა განაპირობა თავის ქალის, ზედა კიდურების მოხრისა და მასზე შერჩენილი ბურცობებიანი რკინის სამაჯურების გამოვლენამ. პრეპარაციის შედეგად, რკინის სამაჯურების გარდა, N5 სამარხში დაფიქსირდა ორი ფარაკიანი რკინის ბეჭედი (ერთი სრული, ერთი ფრაგმენტირებული), ინდივიდის ფეხების არეში დაზიანებული ხელადა, ხოლო ყელის არეში ბრინჯაოს ზარაკი და მძივები (მინის (?), 27ც.) [სურ. 32-37].

სამარხი N6 გაიწმინდა მე-12 კვადრატში, N5 სამარხის ქვემოთ და ანალოგიურად, წარმოადგენდა დელუვიურ დანაშრევში ჩაჭრილ ორმოსამარხს, ზომებით: სიგრძე -

[5] მსგავსი ბურცობებიანი სამაჯურების გავრცელების პერიოდად მიჩნეულია ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევარი და შუახანები.

1.07მ.; სიგანე - 0.70მ. სავარაუდოდ გადახურული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ზომის ქვის ფილებით. სამარხის თავზე არსებული ფილები ორმოს შიდა სივრცეში იყო ჩაცურებული. N6 სამარხი ორი ინდივიდისთვის გახლდათ განკუთვნილი. ორივე მათგანი შენარჩუნებული იყო ანატომიურად სრული ფორმით. ქვედა ინდივიდი დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთის ხაზზე, ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით, ფალანგების არეში ელაგა პირმოყრილი მოზრდილი ჯამი, და ფრაგმენტირებული ხელადა. ჯამის ქვეშ დადასტურა რკინის ფრაგმენტებიც. ზედა კიდურებთან რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები, ხოლო თავისა და ყელის არეში სხვადასხვა ზომისა და ფერის მინისა და პასტის (?) მძივები. ზედა ინდივიდი ჩასვენებული იყო ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე (ფაქტობრივად ფარავდა ქვედა ინდივიდის თავის და კისრის მალების მონაკვეთს), მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. თავის არეში აღმოჩნდა ერთი, ბოლოებგახსნილი, თანაბარღეროვანი ბრინჯაოს რგოლი (საყურე) [სურ. 38-43].

სამარხი N7 გაიწმინდა მე-12 კვადრატში, სამხრეთი ჭრილის სავალი ნაწილიდან 5სმ-ის სიღრმეში, წარმოადგენდა მთლიანი, ბრტყელი ქვის ფილებით შეკრულ ქვაყუთს, ზომებით: სიგრძე - 0.80მ.; სიგანე - 0.36მ. დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. სამარხის კედელს ჩრდილოეთის მხრიდან შემოწყობილი ქონდა მცირე ზომის, დაუმუშავებელი ქვები. ძვლები ფრაგმენტული სახით იყო შემორჩენილი, რაც ინდივიდის სრული სახით პრეპარირების საშუალებას არ იძლეოდა. სამარხის აღმოსავლეთ კედელთან, მიცვალებულის თავის არეში, აღმოჩნდა ხელადა და თანაბარღეროვანი, ფრაგმენტირებული ბრინჯაოს ორი რგოლი. ზედა კიდურების არეში რკინის სამაჯურის ფრაგმენტები, დაზიანებული ფარაკიანი რკინის ბეჭედი, პასტისა და სარდიონის (1ც.) მძივაკები, ფალანგების არეში - ყურიანი და ტუჩგადაკეცილი ჯამი [სურ. 44-49].

სამარხი N8 წარმოადგენდა ხით გადახურულ ორმოსამარხს მე-12 კვადრატში. მის სამხრეთ კედელთან და ჩრდილო კუთხეში უსისტემოდ იყო შემორჩენილი მცირე ზომის ქვები. დასაკრძალავი ორმოს ზომებია: სიგრძე - 0.95მ.; სიგანე - 0.75მ. ინდივიდი ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. ძვლოვანი მასალა ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი, რაც ართულებდა ინდივიდის ანატომიურად სრული ფორმის აღქმადობას. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა პირნაკლული

ხელადა, თავის არეში - თანაბარღეროვანი, ბრინჯაოს ორი საყურე; ბრინჯაოს ღილაკი, ბრინჯაოს თხელი ფირფიტის ფრაგმენტები და რკინის დანა (სატარე ნაწილში შერჩენილი მანჭვლებით); ზედა კიდურების არეში - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები და ერთი რკინის ფარაკიანი ბეჭედი (დაზიანებული); სამარხის სამხრეთ ჭრილთან - რკინის შუბისპირი და მოზრდილი, პირმოყრილი ჯამი [სურ. 50-60].

სამარხი N9 გამოვლინდა მე-12 კვადრატში, დასავლეთ ჭრილთან. გადახურვისთვის განკუთვნილი ხის კვალი სუსტად შეიმჩნეოდა. სამარხი დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე - 1.15მ.; სიგანე - 0.70მ. ინდივიდი დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. სამარხის ჩრდილოეთ კედლის კუთხეში, ინდივიდის თავთან, გამოვლინდა პირნაკლული ხელადა, მრგვალგანივკვეთიანი, თანაბარღეროვანი ბრინჯაოს ორი საყურე (ერთი ფრაგმენტირებული, მეორე სრული), ხელების არეში - რკინის ბურცობებიანი სამაჯური, ყელის არეში - მძივები (6ც.), ხოლო ფალანგებთან - ომფალოსიანი პირგადაშლილი ჯამი [სურ. 61-66].

სამარხი N10 გამოვლინდა მე-12 კვადრატში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ჭრილების კუთხეში, სამუშაო არეალის გაფართოებამდე. სავალი ნაწილიდან დაახლოებით 0.60მ-ის სიღრმეზე. გადახურვისთვის განკუთვნილი ხის ძელების ფრაგმენტები ამ შემთხვევაშიც მძლავრად იყო შენარჩუნებული. სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან დაფიქსირდა მცირე ზომის ქვაც. დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე - 1.35მ.; სიგანე - 1.5მ. სამარხი წარმოადგენდა კოლექტიურ სამარხს. ინდივიდთა ძვლები ფრაგმენტირებული იყო და ერთმანეთში არეული. ერთი ინდივიდი ესვენა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან, მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. მეორე ინდივიდის ძვლები ,,მიხვეტილი“ იყო სამხრეთ კედელთან, ხოლო მესამე მიცვალებულის ძვლების ფრაგმენტები გამოჩნდა ზედა ინდივიდთა ალაგების შემდგომ. პრეპარაციის დროს სამარხში გამოვლინდა ორი პირმოყრილი ჯამი, მინის მძივები (8ც.), გიშრის მძივი (1ც.), სარდიონის მძივი თეთრი სარტყელით (1ც.), ბურცობებიანი რკინის სამაჯურის ფრაგმენტები, ბრინჯაოსა და რკინის ფარაკიანი ბეჭდები (ორივე მათგანი დაზიანებული) [სურ. 67-73].

სამარხი N11 გამოვლინდა J4 კვადრატში, დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. სამარხი ორმო მთლიანად დელუვიურ დანაშრევში იყო

ამოჭრილი, შერჩენილი ჰქონდა გადახურვისთვის გამოყენებული ხის ძელის ფრაგმენტებიც. ორმოს ზომებია: სიგრძე - 1.10მ.; სიგანე - 0.75მ. სამარხი განკუთვნილი იყო ორი ინდივიდისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კედელთან დადასტურებული ინდივიდი, ანატომიური თვალსაზრისით ყველაზე სრულყოფილი სახით იყო შენარჩუნებული ოხერახევის სამაროვანზე. აღნიშნული ინდივიდი ესვენა მარცხენა გვერდზე ხელფეხმოკეცით. მეორე მიცვალებულის ძვლები ,,მიხვეტილი" იყო სამხრეთ კედელთან. სამარხი ინვენტარის მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა. პრეპარაციის დროს გამოვლინდა მხოლოდ რკინის სამაჯურის ფრაგმენტები და სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლების კუთხეში ჩადგმული ძლიერ დაზიანებული და მარტივად შლადი თიხის ჭურჭელი [სურ. 74-75].

სამარხი N12 აღმოჩნდა J3 კვადრატში. აღნიშნულმა სამარხმა განაპირობა სწორედ J3 და J4 კვადრატების გაერთიანება. წარმოადგენდა მასიური ქვის ფილებითა და ხის ძელებით გადახურულ კოლექტიურ ორმოსამარხს, ზომებით: სიგრძე - 1.25მ.; სიგანე - 1.15მ. გადახურვისთვის გამოყენებული ქვების ზომები: 1x0.50მ; 1x0.50x1.30. ქვის ფილებს ჩრდილოეთის მხრიდან, რიგ ადგილებში შემოწყობილი ჰქონდა მცირე ზომის ქვებიც. სამარხი დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. მასში შეინიშნებოდა ძლიერი ცეცხლის კვალი (ნაცეცხლური ეტყობოდა როგორც გადახურვისთვის გამოყენებულ ხის მასალას, ასევე ინდივიდის ძვლებსა და თიხის ჭურჭლებს). ანატომიურად შედარებით სრული ინდივიდი დასვენებული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. თავის არეში სამხრეთის მხრიდან ედგა პირმოყრილი, წითლად გამომწვარი ჯამი, ჩრდილოეთის მხრიდან კი კოჭობი. პირგადაშლილი, წითლად გამომწვარი ომფალოსიანი ჯამი გამოვლინდა გადახურვის ქვის ფილაზეც, რომელიც შიდა მხარეს შეიცავდა ოთხ ღრმა თითის ჩანაჭდევს. კერამიკული მასალის გარდა სამარხში აღმოჩნდა რკინის ბურცობებიანი სამაჯურის რამოდენიმე ფრაგმენტიც. მეორე ინდივიდი ,,მიხვეტილი" ჰქონდათ სამარხის ჩრდილოეთ კედელთან. ინდივიდთა ძვლის ფრაგმენტები იმდენად იყო არეული სამარხ ორმოში, რომ ინდივიდთა ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა ადგილზე ვერ მოხერხდა [სურ. 76-82].

სამარხი N13 გამოვლინდა მე-12 კვადრატში. წარმოადგენდა ბავშვისთვის განკუთვნილ ორმოსამარხს (მიახ. ზომები: 0.60x0.40მ.), რომელიც გადახურული უნდა ყოფილიყო მცირე ზომის ქვის ფილებით. სამარხის კონსტრუქცია თავდაპირველი სახით არ იყო

შემორჩენილი. პრეპარაციის დროს, აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს, ინდივიდის თავისა და ფალანგების არეში დადასტურდა ვერტიკალურად აღმართული მცირე ზომის ჩამკეტი ქვები, ხოლო, სავარაუდოდ გადახურვისთვის განკუთვნილი მცირე ზომის ფილები და ნატეხი ქვები ჩაცვენილი ან გადაყრილი იყო სამარხში და მის მიმდებარედ. სამარხი არ შეიცავდა ინვენტარს. ძვლოვანი მასალაც თითქმის მთლიანად იყო გამქრალი. ფრაგმენტულად გამოვლინდა წვივის ძვლებისა და ფალანგების ნაწილი, ხოლო თავის დასასვენებელ ფილასთან სუსტად შეიმჩნეოდა თავის ქალის კონტური, რამაც შესაძლებელი გახადა ინდივიდის პოზის განსაზღვრა. მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით [სურ. 83].

სამარხი N14 აღმოჩნდა მე-12 კვადრატში. დამხრობილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთ ხაზზე. სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე - 1.00მ.; სიგანე - 0.65მ., სიღრმე - 10სმ. ჩრდილოეთ კედელთან სუსტად შეიმჩნეოდა ხის კვალი. ინდივიდის თავისა და ფალანგების არეში შემორჩენილი იყო სამარხის ჩამკეტი მოზრდილი ქვები. ძვლოვანი მასალა ნაწილობრივ იყო შემონახული. მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. ინდივიდის მენჯის ძვლებთან აღმოჩნდა ძლიერ ფრაგმენტირებული ხელადა, მაჯების არეში რკინის მცირე ნატეხები (სამაჯური?), ხოლო ყელის არეში სამი მძივი (ორი წაკვეთილი კონუსის ფორმის, ცისფერი მინის მძივი შავი სპირალური ზოლებით; ერთიც - კასრისებური ფორმის მძივი (ძვლის?)), ორი ბრინჯაოს საკინძი და ბრინჯაოსავე ჯაჭვი [სურ. 84-88].

სამარხი N15 გამოვლინდა J3 კვადრატში, N12 სამარხის ქვედა მხარეს. წარმოადგენდა მასიური ქვის ფილებით შედგენილ ქვაყუთს, ზომებით: სიგრძე - 1.30, სიგანე - 0.75მ. დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. სამარხი თავდაპირველი სახით არ იყო შემორჩენილი. ქვაყუთის ფილები შენარჩუნებული ჰქონდა აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის მხარეს. ჩრდილოეთ ნაწილში კედლის არ არსებობა, სავარაუდოდ გამოწვეული უნდა ყოფილიყო აქ გამოვლენილი N18 სამარხის გამო. ინდივიდი ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. თავის არეში, სამარხის აღმოსავლეთ კედელთან იდგა პირმოყრილი, ყურიანი და ტუჩგადაკეცილი ჯამი, ხოლო სამხრეთ კედელთან წითლადგამომწვარი, ოდნავ პირნაკლული ხელადა. ყელისა და მაჯების არეში დადასტურდა რკინის ორი თავხვია საკინძის, რკინის

ფარაკიანი ბეჭდის, რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები და ერთი ცალი სარდიონის მძივი [სურ. 89-93, 244].

სამარხი N16 წარმოადგენდა ბავშვისთვის განკუთვნილ მცირე ზომის ქვაყუთს (J3 კვ.), ზომებით: 0.60x0.50. ქვაყუთს, სავარაუდოდ მეტი სიმყარისათვის, ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრავდა მოზრდილი ქვის ფილები და მცირე ზომის ნატეხი ქვები. ინდივიდის ძვლები ისე იყო არეული, რომ მისი ჩასვენების პოზის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. ინვენტარიდან შეიცავდა წითლად გამომწვარ ხელადას, რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტებს, ორ ცალ თანაბარღეროვან ბრინჯაოს საყურეს, მწვანე და ცისფერ მინის მძივებს (16ც.) [სურ. 94-99, 246].

სამარხი N17 წარმოადგენდა ასევე ბავშვისთვის განკუთვნილ ორმოსამარხს (J3 კვ.), ზომებით: 0.80x0.60სმ. სამარხი ორმო ჩაჭრილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზზე. ინდივიდის ძვლები ძლიერ ფრაგმენტული სახით იყო შემორჩენილი, რაც ართულებდა დაკრძალვის პოზის განსაზღვრას. სამარხ ორმოში, მიცვალებულის თავის არეში ჩაცურებული იყო სამი მცირე ზომის ქვა. გადახურვისთვის განკუთვნილი ხის ნაშთები შედარებით უკეთ იკვეთებოდა სამარხის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კედელთან. სამარხეულ ინვენტარს შეადგენდა - ერთი წითლად მოხატული კოჭობი, ერთი მინიატურული, წითლად მოხატული ხელადა, ორი ცალი თანაბარღეროვანი ბრინჯაოს საყურე (ორივე დაზიანებული) და მინის მძივები [სურ. 100-105, 247].

სამარხი N18 მდებარეობდა J3 კვადრატში, N15 სამარხის გვერდით. მისი სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლების კუთხე ფაქტობრივად ებჯინებოდა N15 სამარხს. დამხრობილი იყო ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე. სამარხი ორმოს მიახლოებითი ზომებია: სიგრძე - 1.05მ., სიგანე - 0.55მ. მასში სამარხეული ინვენტარიც და ძვლოვანი მასალაც ქაოტურად და ფრაგმენტულად იყო წარმოდგენილი, შესაბამისად ვერ მოხერხდა ინდივიდის დაფიქსირება და დაკრძალვის პოზის განსაზღვრა. გადახურვისთვის განკუთვნილი ხის ძელის ფრაგმენტები შენარჩუნებლი იყო ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხარეს, რომელთაც ეტყობოდათ ცეცხლის კვალი. სამარხში გამოვლინდა: წითლად გამომწვარი ხელადა, ძვლის კვირისტავი (გატეხილი), სხვადასხვა ფორმისა და მასალისაგან დამზადებული მძივები და ფარაკიანი რკინის ბეჭდის ფრაგმენტები [სურ. 106-111].

სამარხი N19 წარმოადგენდა მცირე ზომის, ბავშვისთვის განკუთვნილ ქვაყუთს (J3 კვ.). დამხრობილი იყო ჩრდილო-დასავლეთიდან და სამხრეთის მიმართულებით. ებჯინებოდა N20 ქვაყუთს. სამარხის ზომებია: სიგრძე - 0.52მ.; სიგანე - 0.50მ. სიმყარისათვის ქვაყუთს გვერდებში დამატებითი ქვებიც ჰქონდა შემოწყობილი. ინდივიდის ძვლები (ნეკნები, წვივის ძვლები და თავის ქალა) ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი. სამარხის შიდა სივრცეში ჩაცვენილი იყო დერგის ფრამგენტები, რომლებიც გამოყენებული ჰქონდათ N19 და N20 სამარხების კედლების შემავსებლად. თავდაპირველად, სანამ უშუალოდ ქვაყუთი გამოჩნდებოდა, ჯერ გამოიკვეთა აღნიშნული დერგის პირ-ყელისა და კედლების ფრაგმენტები, რომელთა პრეპარაციის შედეგადაც მოხდა ქვაყუთებამდე დასვლა. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილი იყო ორი სრული (თუმცა კოროზირებული) და ერთიც ფრაგმენტირებული რკინის სამაჯურით [სურ. 112-114, 245].

სამარხი N20 ანალოგიურად წარმოადგენდა ბავშვისთვის განკუთვნილ ქვაყუთს (J3 კვ.). დამხრობილი იყო ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე. სამარხის ზომებია: სიგრძე - 0.75მ.; სიგანე - 0.58მ. მოცემულ შემთხვევაშიც, ქვაყუთს სიმტკიცისათვის შემოლაგებული ჰქონდა სხვადასხვა ზომის ქვები. სამხრეთისა და დასავლეთის კედლების შემკვრელი ქვები დაძრული და ჩაცურებული იყო სამარხის შიდა სივრცისკენ. ინდივიდის ძვლები თითქმის არ იყო შენარჩუნებული, რის გამოც მიცვალებულის პოზის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. ქვაყუთის სამხრეთ კედელთან, ერთმანეთის გვერდიგვერდ, გამოვლინდა პირმოყრილი ჯამი და ოდნავ პირნაკლული, მცირე ზომის ხელადა. ხელადასთან ჩაცურებული იყო ბრინჯაოს ფიბულა. სამარხის ცენტრალურ ნაწილში კონცენტრირებული იყო სხვადსხვა ზომის, ფორმისა და მასალისაგან დამზადებული მძივები (სარდიონის, პასტის, ძვლის (?)), სამი ცალი ბრინჯაოს ზარაკი, ბრინჯაოს ორმხრივ სპირალურთავიანი ილარი და ბრინჯაოს თხელი ფირფიტის ანატკეცები [სურ.115-128, 245].

სამარხი N21 გამოვლინდა J3 კვადრატში, N19 სამარხის სამხრეთით. დამხრობილი იყო ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე. სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე - 1.20მ.; სიგანე - 0.80მ., სიღრმე - 10სმ. ძვლოვანი მასალა თითქმის არ იყო, მხოლოდ ფრაგმენტული სახით იყო გაბნეული ინდივიდის ნეკნები და ფალანგები. სამარხში აღმოჩნდა წითლად გამომწვარი ხელადა და რკინის ფარაკიანი ბეჭდის ნატეხები [სურ. 129-130].

სამარხი N22 აღმოჩნდა J3 კვადრატში, სამხრეთ ჭრილის გასწვრივ. დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე - 1.30მ.; სიგანე - 0.80მ. გადახურვისთვის განკუთვნილი ხის ძელები ამ შემთხვევაშიც კარგად იყო შემორჩენილი. ჩრდილოეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებთან სამარხი შემოსაზღვრული იყო მცირე ზომის ქვებით. ინდივიდი დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. შედარებით უკეთ იყო შემონახული ფალანგების, წვივისა და ბარძაყის ძვლები, დანარჩენი ნაწილი მხოლოდ მცირე ფრაგმენტების ან კონტურის დონეზე იკვეთებოდა. მოცემულ სამარხში ინვენტარი შედარებით მრავალფეროვანი სახით იყო წარმოდგენილი. ჩრდილოეთ კედელთან, ერთმანეთის გვერდიგვერდ იდგა ყურიანი, ტუჩგადაკეცილი ჯამი და ხელადა. ჯამში დაფიქსირდა ცხოველის ძვლები, მის თავზე კი რკინის შუბისპირი. შუბისპირის სატარე მონაკვეთში მრავლად გამოვლინდა ბრინჯაოს თხელი ფირფიტები და ხის ფრაგმენტები. რიგ შემთხვევაში, ბრინჯაოს ფირფიტებზე შეიმჩნევა გამჭოლი ნახვრეტები. იქვე აღმოჩნდა ვიწროწნულიანი თოკის მცირე ფრაგმენტი. ინდივიდის თავთან დაფიქსირდა რკინის მახაირა (სატარე მონაკვეთში შერჩენილი მანჭვლებით). მახაირას ბოლო ჯამის ქვეშ იყო მოქცეული. ინდივიდის ყელის არეში დადასტურდა გრეხილღეროვანი ხატისუღელი (დაზიანებული), ხოლო ხელებთან ბურცობებიანი რკინის სამაჯურისა და ფარაკიანი ბეჭდის ფრაგმენტები [სურ.131-142].

სამარხი N23 გაიწმინდა J3 კვადრატში, სამხრეთ ჭრილის სიახლოვეს. სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე - 1.00მ.; სიგანე - 0.52მ. დამხრობილი იყო ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე. ინდივიდი დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. მენჯის ძვლების ზემოთ დაფიქსირდა ძლიერ ფრაგმენტირებული ცხოველის თავის ქალა. მიცვალებულის თავის არეში, ერთმანეთის გვერდიგვერდ ეწყო პირმოყრილი ჯამი (დაზიანებული) და წითლად გამომწვარი, პირნაკლული ხელადა. ყელის არეში და ზედა კიდურებთან დაფიქსირდა ბრინჯაოს ორი საკინძი, რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები, ორი ცალი ფარაკიანი რკინის ბეჭედი (ძლიერ დაზიანებული) და მძივები (მინა, სარდიონი, თვალედები) [სურ.143-151].

სამარხი N24 გამოვლინდა J3 კვადრატში, N23 სამარხის ქვემოთ, სამხრეთ ჭრილის გასწვრივ. დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. სამარხის ზომებია: სიგრძე - 1.60მ.; სიგანე - 0.70მ., სიღრმე - 12სმ. აღმოსავლეთისა და სამხრეთის

მხარეს სამარხს შემოსაზღვრავდა ვერტიკალურად აღმართული ქვები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამხრეთ მხარეს არსებული ქვა ტოვებდა მისი მოგვიანებით ჩადგმის შთაბეჭდილებას, ვინაიდან ფაქტობრივად შუაში კვეთდა გადახურვისთვის განკუთვნილ ხის ძელების კონტურს (რასაც ოხერახევის სამაროვანზე, მანამდე გამოვლენილ სამარხთა შემთხვევებში ადგილი არ ჰქონია). სამარხის ჩრდილოეთი მხარე ჩაჭრილი იყო დელუვიურ დანაშრევში. სამარხის თავზე, ჩრდილოეთ მხარეს აღმოჩნდა ფრაგმენტირებული ცხოველის თავის ქალა. უშუალოდ ინდივიდის ნაშთი არ დაფიქსირებულა. სამარხეული ინვენტარი მრავალფეროვანი სახით იყო წარმოდგენილი. ჩრდილოეთ კედელთან გამოვლენილ, თიხის ჭურჭლის უკან იდო რკინის შუბისპირი. ხელადის სიახლოვეს აღმოჩნდა რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები და თვალედები (25ც.). სამხრეთ კედელთან იდო მცირე ზომის რკინის დანა, მასზე შერჩენილი მანჭვლებით და მეორე რკინის ბურცობებიანი სამაჯური (დაზიანებული) [სურ.152-161].

სამარხი N25 გაიხსნა J3 კვადრატში, N24 სამარხის ქვემოთ. დამხრობილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთ ხაზზე. სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე - 0.70მ.; სიგანე - 0.55მ. ინდივიდი ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. ფეხების მოხრის არეში ედო პირმოყრილი, ყურიანი და ტუჩგადაკეცილი ჯამი. ზურგთან პირნაკლული ხელადა, ხოლო თავის, ყელისა და ზედა კიდურების არეში გამოვლინდა ბრინჯაოს ზარაკი, ორი ცალი ბრინჯაოს საკინძი (ორივე გატეხილი), ორი ცალი თანაბარღეროვანი ბრინჯაოს საყურეები (ძლიერ ფრაგმენტირებული), მძივები (7ც. სარდიონი, 1ც. მინა), 5 ცალი ფარაკიანი რკინის ბეჭედი და ბურცობებიანი რკინის სამაჯურის ფრაგმენტები [სურ. 162-169].

სამარხი N26 დასაკრძალავი ორმო დარღვეული იყო და თავდაპირველი სახით არ დაფიქსირებულა (J3 კვ.). ინდივიდის თავის ქალისა და რამოდენიმე ძვლის ფრაგმენტი ინვენტართან ერთად დელუვიურ დანაშრევზე აღმოჩნდა, ისე რომ არც ორმოს სიღრმე და არც ხის გადახურვის ნაშთი არ იკვეთებოდა. მასალის მიხედვით სამარხი დამხრობილი უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. სამარხეულ მასალას შეადგენდა ორი ცალი ბრინჯაოს ზარაკი (ერთი სრული, ერთი დაზიანებული), პასტის მძივები, მრგვალგანივკვეთიანი ბრინჯაოს საყურე (ფრაგმენტირებული),

ბოლოებგადაჭდობილი, თანაბარღეროიანი ოქროს საყურე, და ძლიერ დაზიანებული შუბისპირი [სურ. 170-175].

სამარხი N27 აღმოჩნდა J2 კვადრატში, N26 სამარხის გვერდით (ჩრდილოეთ მხარეს). დამხრობილი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთ ხაზზე. სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე - 1.07მ.; სიგანე - 0.70მ., სიღრმე - 20სმ. ინდივიდი ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. სამხრეთ კედელთან იდგა ორი ხელადა (ერთი ძლიერ დაბზარული და დაზიანებული, ხოლო მეორე პირნაკლული).ზედა კიდურებისა და ყელის არეში ინდივიდს აღმოაჩნდა ორი ფარაკიანი რკინის ბეჭედი (ფრაგმენტირებული), ერთი ვერცხლის ბეჭედი, ორი ცალი ვერცხლის სტილიზირებულთავიანი და წელში ჩაღუნული სამაჯური (ერთი დაზიანებული, ერთიც სრული), რკინის ბურცობებინი სამაჯურის ფრაგმენტები, სარდიონისა და მინის მძივები, ბრინჯაოს მცირე რგოლი, ბრინჯაოს ორი საკინძი და ბრინჯაოსავე ჯაჭვი (ძლიერ დაზიანებული და ფრაგმენტირებული), ბრინჯაოს სტილიზირებულთავიანი ილარი, ოქროს (?) თხელი ფურცლის ხვიისაგან შედგენილი მძივები (12 ცალი). თავის ქალის ზედა ნაწილში დაფიქსირდა ბრინჯაოს ფირფიტოვანი მცირე ზომის დისკო ცენტრალური ბურცობით, რომელიც გაფორმებული იყო მცენარეული და წერტილოვანი ორნამენტებით. ბრინჯაოს ჯაჭვთან გამოვლინდა რკინის მცირე ზომის დანა მასზე შერჩენილი მანჭვლებით. სამარხის დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა ბრინჯაოსაგან დამზადებული ნივთიც[6] [სურ. 176-190], [დავლიანიძე რ. 1985: 36, სურ. 156].

სამარხი N28 აღმოჩნდა J2 კვადრატში, დასავლეთ ჭრილთან. დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე - 1.10მ.; სიგანე - 0.72მ., სიღრმე - 8სმ. ინდივიდი ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. სამარხის სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის კედლის მხარეში დაფიქსირდა ორი მოზრდილი ქვა. ინდივიდის ზურგთან აღმოჩნდა ძლიერ ფრაგმენტირებული პირმოყრილი ჯამი, ქოთანი და ხელადა, ზედა კიდურებთან ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი ცხოველის გამოსახულებით [სურ. 191-195].

სამარხი N29 წარმოადგენდა ქვის მასიური ფილებითა და ხით გადახურულ კოლექტიურ ორმოსამარხს (J3 კვ.), ზომებით: სიგრძე - 1.25მ.; სიგანე - 0.70მ., სიღრმე - 12სმ. ხის ნაშთი

[6] მსგავსი ბრინჯაოს ნივთი აღმოჩენილია ნარეკვავის სამაროვანზე (სამარხი N27).

მოცემულ შემთხვევაში კარგად იყო შენარჩუნებული. დასაკრძალავ ორმოში ძვლები ძლიერ იყო არეული, თუმცა ფალანგების მიხედვით განკუთვნილი უნდა ყოფილიყო სამი ინდივიდისათვის. ორი მათგანი ,,მიხვეტილი“ იყო სამარხის დასავლეთ კიდეში, ხოლო ერთი ინდივიდი, ფრაგმენტულად შემორჩენილი ძვლების მიუხედავად შესამჩნევად იკვეთებოდა, დასვენებული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ელაგა პირმოყრილი, ყურიანი, ტუჩგადაკეცილი ჯამი და ფრაგმენტირებული, შავად გამომწვარი ხელადა. ჯამის ფრაგმენტები დადასტურდა ასევე გადახურვის ფილასთან. თიხის ჭურჭლისა და ინდივიდის თავის სიახლოვეს ეწყო ძლიერ დაზიანებული რკინის მახვილი (?) და შუბისპირი. თავის დასასვენებელ ქვაზე აღმოჩნდა ბრინჯაოსა და ოქროს (?) თანაბარღეროვანი, ბოლოებგახსნილი საყურეები. ზედა კიდურებთან გამოვლინდა ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები და ერთი ცალი სარდიონის მძივი.

N29 სამარხის ქვემოთ, სამხრეთ ჭრილში გამოვლინდა კიდევ ერთი ხით გადახურული ორმოსამარხი, რომლის შესწავლაც მომავალი სეზონისთვის გადაიდო (სამარხი დაკონსერვდა შესაბამისი წესების დაცვით) [სურ. 196-204].

სამარხი N30 გაიწმინდა J2 კვადრატში, N27 სამარხის გვერდით (ჩრდილოეთ მხარეს). ფაქტობრივად სამარხის კედლები ერმანეთზე იყო მიბჯენილი. დიდი ალბათობით, N27 სამარხი მოგვიანებით გამართეს, რამაც ნაწილობრივ გამოიწვია N30 სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კედლის გადაფარვა. სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე - 1.20მ.; სიგანე - 0.50მ. (აღმოსავლეთ კედელი), 0.30მ. (სამხრეთ კედელი), სიღრმე - 6სმ. ინდივიდის ძვლები იმდენად არეული და ფრაგმენტული სახით იყო შემორჩენილი, რომ მისი დაკრძალვის პოზის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. სამარხში აღმოჩნდა სპეციალურად გადაღუნული, გრეხილღეროვანი ხატისუღელი, ბრინჯაოსა და ოქროს (?) თანაბარღეროვანი, ბოლოებგახსნილი საყურეები, ბრინჯაოს ღილი, ერთი ცალი თვალედი, დაზიანებული ფარაკიანი რკინის ბეჭედი, რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები, ხელადა და რკინის შუბისპირის ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები [სურ. 205-213].

სამარხი N31 გამოვლინდა J2 კვადრატში, N27 სამარხის სამხრეთ-დასავლეთით. ამ შემთხვევაშიც სამარხი ორმოს კონტურების დაფიქსირება თითქმის შეუძლებელი გახდა. სავარაუდოდ მისი დაზიანება მოგვიანებით უნდა მომხდარიყო. აღმოჩნდა მხოლოდ თავის ქალის ფრაგმენტი და მის სიახლოვეს არსებული რკინის თავხვია საკინძი,

ბრინჯაოს საკინძი, ბრინჯაოს თანაბარღეროიანი საყურეების ფრაგმენტები და წითლად გამომწვარი ხელადა. გამოვლენილი მასალის გავრცელების მიხედვით, სამარხის მიახლოებითი ზომებია: 0.85x0.70მ. [სურ. 214-217]

სამარხი N32 დაფიქსირდა მე-12 კვადრატის გაფართოების დროს წარმოქმნილ ბაქანზე. სამარხი ორმოს კონტურები ძლიერ დაზიანებული იყო, რის გამოც მისი ზომების განსაზღვრა ვერ მოხერხდა. სამხრეთის ჭრილიდან დაცილებული იყო დაახლოებით 28სმ-ით. ინდივიდის სიგრძე დაახლოებით 0.80სმ. დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. თავთან გამოვლინდა პირმოყრილი, ტუჩგადაკეცილი, ყურიანი ჯამი, ბრინჯაოს სხვადასხვა ზომის ორი ცალი მრგვალგანივკვეთიანი საყურე და რკინის თავხვია საკინძი (ფრაგმენტირებული) [სურ. 218-222].

სამარხი N33 აღმოჩნდა მე-13 კვადრატში, სამარხი N32-ის ზედა მხარეს, აღმოსავლეთ ჭრილის კიდესთან. დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. წარმოადგენდა ქვებითა და დერგის ნატეხებით შედგენილ, ბავშვისთვის განკუთვნილ სამარხს. სამარხის მიახლოებითი ზომებია: სიგრძე - 0.80მ.; სიგანე - 0.70მ. ინდივიდი დასვენებული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. მიცვალებულის ყელისა და ზედა კიდურების არეში გამოვლინდა რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები და მძივები (ცილინდრული ფორმის მძივები (16ც.), სარდიონი (2ც.), თვალედები (14ც.)) [სურ. 223-227].

სამარხი N34 აღმოჩნდა მე-13 კვადრატში, N33 სამარხის სიახლოვეს (ჩრდილო-დასავლეთით). წარმოადგენდა ხით გადახურულ ორმოსამარხს, რომელიც ჩრდილოეთ მხრიდან ისაზღვრებოდა სამი მოზრდილი ქვით. სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე - 0.78მ.; სიგანე - 0.46მ. ძვლოვანი მასალა ცუდად იყო შენარჩუნებული. ინდივიდი ესვენა მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. ინვენტარიდან სამარხში დადასტურდა მხოლოდ რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები [სურ. 228-229].

სამარხი N35 ჩაჭრილი ჰქონდათ დელუვიურ დანაშრევში (მე-12 კვ.). გამართული იყო აღმოსავლეთიდან დსავლეთის მიმართულებით. ხით გადახურვის კვალი არ შეიმჩნეოდა. სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე - 0.90მ.; სიგანე - 0.65მ., სიღრმე - 10სმ. ინდივიდი ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. სამხრეთ კედელთან მიწყობილი იყო პირმოყრილი, ყურიანი, ტუჩგადაკეცილი ჯამი (ცხოველის ძვლებით) და ხელადა.

მიცვალებულის მარჯვენა ზედა კიდური ჯამზე იყო მიდებული. ინდივიდის თავის ქალასთან აღმოჩნდა ორი ცალი თანაბარღეროვანი ბრინჯაოს საყურე, ყელის არეში სარდიონის, ბრინჯაოსა (?, 1ც.) და მინის მძივები, ზედა კიდურებთან რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები და მცირე ზომის რკინის დანა, ტარზე შერჩენილი მანჭვლებით [სურ. 230-237].

სამარხი N36 აღმოჩნდა N35 სამარხის დასავლეთით. დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთის ხაზზე. სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე - 0.90მ.; სიგანე - 0.55მ., სიღრმე - 8სმ. შემორჩენილი იყო ინდივიდის მხოლოდ ქვის ფილაზე დასვენებული თავისა და ზედა კიდურების ფრაგმენტები. დაკრძალული უნდა ყოფილიყო მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. თავთან ელაგა პირმოყრილი, ტუჩგადაკეცილი, ყურიანი ჯამი და ძლიერ ფრაგმენტირებული, წითლად გამომწვარი ხელადა. ზედა კიდურების არეში აღმოჩნდა ასევე რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები, რკინის ბეჭდის კუთვნილი ფარაკი (ძლიერ კოროზირებული) და ბრინჯაოს საკინძის ფრაგმენტი. სამარხი ორმოს გაწმენდის დროს გამოვლინდა ბეტონის ნატეხები, რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული სამარხის დაზიანება თანამედროვე სამშენებლო სამუშაოების დროს უნდა მომხდარიყო [სურ. 238-242].

ოხერახევის სამარხებში გამოვლენილ მასალაზე დაყრდნობით სამაროვანი თარიღდება ძვ.წ. IV-III საუკუნეებით, თუმცა ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება საკვლევ არეალში დასახლების რა ტიპთან გვაქვს საქმე, ან სამაროვანზე დაკრძალული საზოგადოება რომელ სოციალურ ფენას განეკუთვნება. სამომავლოდ, აუცილებელია მოხდეს საკვლევი არეალების გაფართოება როგორც სამაროვნის, ასევე ნამოსახლარის ტერიტორიაზე. დასახლების ტიპოლოგიის გამოვლენა, მათი სამაროვანთან ერთიან კონტექსტში გაანალიზება და ანთროპოლოგიური მონაცემების განსაზღვრა გაცილებით მეტ კითხვას გასცემს პასუხს.

ბიბლიოგრაფია:

1. გაგოშიძე ი., ტახტიძირის სამაროვანი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბ., 2020.

2. დავლიანიძე რ., ნარეკვავის სამაროვანი, კატალოგი (1977-1979წწ. განათხარი). მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. VII. ,,მეცნიერება". თბილისი, 1985.

3. ნონეშვილი ა., ირემაშვილი შ., ბიბილური თ., ბიბილური ი., ფაჩოშვილი კ., ,,ოხერახევის ნამოსახლარისა და სამაროვნის არქეოლოგიური კვლევის 2019 წლის ანგარიში", ჟურნალი ,,არქეოლოგია", N4 (ნომერი მიეძღვნა აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძეს), ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი; აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი. ,,AUREUS", თბ., 2021. გვ. 83-97.

4. ნონეშვილი ა., ბიბილური თ., ახვლედიანი დ., ხეცურიანი ლ., ბიბილური ი., ფაჩოშვილი კ., ,,2020 წლის ოხერახევის ნაქალაქარისა და სამაროვნის არქეოლოგიური კვლევის ანგარიში", ჟურნალი ,,არქეოლოგია", N5 (ნომერი მიეძღვნა ირაკლი ციციშვილს). ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი; აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი. ,,AUREUS", თბ., 2021. გვ. 23-45.

5. ნონეშვილი ა., ყიფიანი გ., მშვილდაძე მ., ,,ოხერახევის სამაროვნისა და ნამოსახლარის ტერიტორიაზე 2021 წელს ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში", ჟურნალი ,,არქეოლოგია", N6 (ნომერი მიეძღვნა არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილს). ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი; აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი. ,,AUREUS", თბ., 2022. გვ. 18-87.

6. Гогиберидзе Н., Браслеты и гривни V-Iвв. до н.э., Тб., 2003.



1. ოხერახევის სამაროვნის საკვლევი არეალი პირობითი აღნიშვნებით (გ. ბურჯანაძე)



2. ოხერახევის სამაროვნის საკვლევი არეალი კვადრატების პირობითი აღნიშვნებით (გ. ბურჯანაძე)



3. ოხერახევის სამაროვნის საკვლევი არეალი კვადრატების პირობითი აღნიშვნებით. ორთოფოტო (გ. ბურჯანაძე)



4. ოხერახევის სამაროვანი. შესწავლილი არეალის ფართობი პირობითი აღნიშვნებით (გ. ბურჯანაძე)



5. ოხერახევის სამაროვანი. შესწავლილი არეალის ფართობი პირობითი აღნიშვნებით. ორთოფოტო (გ. ბურჯანაძე)



6. ოხერახევის სამაროვანი. საკვლევი არეალი სიმაღლეების ციფრული აღნიშვნებით (გ. ბურჯანაძე)

7. ოხერახევის სამაროვანი. სამარხი N1

8. ხელადა, თიხის, აგურისფერი კეცით, გადაკეცილი პირით, სფერული ტანით, ბრტყელძირა. მცირე ზომის ყური გამოყვანილი აქვს პირსა და მუცლის მონაკვეთზე. სიმაღლე - 5.0სმ; პირის დმ. - 6.0სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 9.0სმ., ყურის სისქე ძირთან - 1.04სმ.; (აღდგენილი)

9. ჯამი, თიხის, მოწითალო კეცით, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. წითლად შეღებილი. სიმაღლე - 4.06სმ; პირის დმ. - 18.0სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 10.0სმ. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის კუთხეში, ინდივიდის თავისა და ზედა კიდურების არეში; (აღდგენილი).

10. ბრინჯაოს რგოლი (საყურე?), მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი. გახსნილი. რკალის ბოლოები ერთმანეთზეა ოდნავ გადასული. რკალის დიამეტრი - 1.0x1.2სმ., ღეროს სისქე - 0.2სმ.

11. ოხერახევის სამაროვანი. სამარხი N2

12. ჯამი, თიხის, მოწითალო კეცით, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. წითლად შეღებილი. სიმაღლე - 5.05სმ; პირის დმ. - 16.02სმ; პირის სისქე - 0.5სმ; ძირის დმ. - 8.0სმ. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან მიხვეტილ ინდივიდთან; (აღდგენილი)

13. ჯამი, თიხის, მოწითალო კეცით, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. წითლად შეღებილი. სიმაღლე - 4.07სმ; პირის დმ. - 14.0სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 9.05სმ. აღმოჩნდა ანატომიურად გარჩევადი ინდივიდის თავის არეში; (აღდგენილი)

14. კოჭობი, თიხის, ჩალისფერი კეცით, ფრაგმენტულად ეტყობა წითელი საღებავის კვალი, ძაბრისებურად გადაშლილი პირით; დაბალი, ოდნავ გამოყვანილი ყელით, სფერული მუცლით; ბრტყელძირა. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს ყელისა და მუცლის მონაკვეთზე. სიმაღლე - 8.0სმ; პირის დმ. - 5.0სმ; მუცლის დმ. - 7.05სმ; ძირის დმ. - 4.02სმ; ყურის სისქე - 1.02სმ.; (აღდგენილი)

15. რკინის თავხვია საკინძი, მთლიანადსხმული, წვეროსკენ თანაბრადშევიწროვებული, ნაკლული.

16. სარდიონის მძივი.

17. ოხერახევის სამაროვანი. სამარხი N3

18. სამარხი N3 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები.

19. სამარხი N3 - თვალედები (13 ცალი).

20. სამარხი N3 - ბრინჯაოს რგოლის (საყურე?) ფრაგმენტები.

21. სამარხი N4 - პრეპარაციის დროს

22. სამარხი N4 - პრეპარაციის დროს გამოვლენილი ინვენტარი

23. სამარხი N4 - ჯამი, თიხის, ყავისფერი კეცით, შავი ლაქებით, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. სიმაღლე - 6.0სმ; პირის დმ. - 18.0სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 11.2სმ. (აღდგენილი).



24. სამარხი N4 - ხელადა, თიხის, ჩალისფერი კეცით, წითლად მოხატული, ძაბრისებურად გადაშლილი პირით, გამოყვანილი დაბალი ყელით, ოდნავ დაქანებული მხრებით და მომრგვალებული მუცლით, ბრტყელძირა. ყური მიძერწილია პირ-ყელისა და მუცელზე გადასვლის არეში. წითელი საღებავით ყურზე დაუყვება ოთხი ზოლი. ყელზე და მუცლის ზედა ნაწილში შემოუყვება ორ-ორი სარტყელი. ერთი სარტყელი მუცელს შემოსდევს შუა ნაწილში. მუცელზე დატანილ სარტყლებს შორის განთავსებულია წვერით ზემოთ აღმართული სამკუთხედების რიგი. ყელის ქვედა სარტყელიდან დაშვებულია წვერით ქვედაშვებული ოთხი სამკუთხედი, რომელთა შიდა სივრცეც შევსებულია ირიბი ხაზებით. წითელი საღებავის კვალი ჩანს პირის შიდა მხარეზეც. სიმაღლე - 16.05სმ; პირის დმ. - 6.02სმ; პირის სისქე - 0.3სმ; მუცლის დმ - 13.0სმ; ძირის დმ. - 8.0სმ; ყურის სისქე - 1.03სმ.; (აღდგენილი)

25. სამარხი N4 - ბრინჯაოს საკინძი, მთლიანადსხმული, განივკვეთში მრგვალი, წვეროსკენ თანაბრადშევიწროვებული, მრგვალთავიანი, ორი მომრგვალებული სარტყელით, თავდაღარული, თავის ქვემოთ ნახვრეტით. ოდნავ წვერნაკლული. სიგრძე (მიახ.) - 9.5სმ., ღეროს სისქე ნახვრეტთან - 0.4მმ.

26. სამარხი N4 - ბრინჯაოს საკინძი, მთლიანადსხმული, განივკვეთში მრგვალი, წვეროსკენ თანაბრადშევიწროვებული, მრგვალთავიანი, ორი მომრგვალებული სარტყელით თავდაღარული, თავის ქვემოთ ნახვრეტით. გატეხილი. შემორჩენილი სიგრძე - 9.4სმ., ღეროს სისქე ნახვრეტთან - 0.5მმ.

27. სამარხი N4 - ბრინჯაოს ილარი. დაბრტყელებული ტანით, მკვეთრად შევიწროვებული კოვზისებური ჩაღრმავებისკენ. თავი ორივე მხარეს გაფორმებული უნდა ყოფილიყო მცირე ზომის გამოყვანილი სპირალებით (ცალ მხარეს სპირალი მოტეხილია). ილარის ტანი სავარაუდოდ ორნამენტირებულია, რაც ამჟამად მკვეთრად არ ჩანს. სიგრძე - 7.0სმ., კოვზისებური ჩაღრმავების დიამეტრი: 0.4x0.4სმ., დაბრტყელებული ტანის სიგანე - 1.0სმ., ჩაღრმავებისკენ შევიწროვებული ღეროს სიგანე - 0.5სმ.

28. სამარხი N4 - ბრინჯაოს ღილი (?), ვარსკვლავისებური ფორმის.

29. სამარხი N4 - სარდიონის მძივები (33 ცალი), მინის მძივები (3 ცალი), ბრინჯაოს (?) მძივები (9 ცალი, ერთი მათგანი გატეხილი).

30. სამარხი N4 - ფარაკიანი რკინის ბეჭდების ფრაგმენტები (ძლიერ დაზიანებული).

31. სამარხი N4 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები.

32. ოხერახევის სამაროვანი. სამარხი N5 - პრეპარაციის დროს გამოვლენილი ინვენტარის ნაწილი

33. ხელადა, თიხის, წითლად შეღებილი, პირგადაშლილი, გამოყვანილი დაბალი ყელით, დაშვებული მომრგვალებული მუცლით, ბრტყელძირა. ყური მიძერწილია პირსა და მუცლის არეში. ყურის მიძერწვის ადგილზე პირი შეზნექილი. სიმაღლე - 14.07სმ; პირის დმ. - 6.05სმ; პირის სისქე - 0.4სმ; მუცლის დმ. - 13.04სმ; ძირის დმ. - 7.02სმ; ყურის სისქე - 1.03სმ.; (აღდგენილი)

34. სამარხი N5 - მინის მძივები (27 ცალი).

35. სამარხი N5 - ბრინჯაოს ზარაკი, ცილინდრული, გვერდებშეჭრილი, დაზიანებული, მოტეხილი აქვს საკიდის ნაწილი. სიგრძე - 1.04სმ; ზარაკის დმ. - 1.03x1.01სმ; აღმოჩნდა რკინის სამაჯურებთან ერთად.

36. სამარხი N5 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები. გამოვლინდა ინდივიდის თავისა და ზედა კიდურების არეში.

37. სამარხი N5 - ფარაკიანი რკინის ბეჭდები: **1** - ოვალურ ფარაკიანი რკინის ბეჭედი, მთელი. ბეჭედი იმდენადაა კოროზირებული, რომ მასზე არ იკვეთება რაიმე გამოსახულების კვალი. ფარაკის დიამეტრი: 1.08x1.05სმ., რკალის დიამეტრი - 2.09-1.09სმ., ღეროს სისქე - 0.5სმ.; **2** - მრგვალ ფარაკიანი რკინის ბეჭედი, დაზიანებული. შემორჩენილი ფარაკის დიამეტრი - 1.6სმ.

38. ოხერახევის სამაროვანი. სამარხი N6

39. სამარხი N6 - რკინის სამაჯურის ფრაგმენტები. ნაწილი აღმოჩნდა ქვედა ინდივიდის ფალანგებთან ჩადგმული ჯამის ქვეშ, ხოლო ნაწილი მაჯების არეში.

40. სამარხი N6 - მინის მძივები. გამოვლინდა ქვედა დონის ინდივიდის ყელის არეში.

41. სამარხი N6 - ბრინჯაოს მცირე ზომის რგოლი, ბოლოებგახსნილი, თანაბარღეროვანი, მრგვალგანივკვეთიანი. დიამეტრი: 1.01x1.02სმ., ღეროს სისქე - 0.2სმ.

42. სამარხი N6 - ჯამი, თიხის, ყავისფერი კეცით, შავი ლაქებით, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. სიმაღლე - 6.04სმ; პირის დმ. - 19.05სმ; პირის სისქე - 0.5სმ; ძირის დმ. - 11.05სმ. (აღდგენილი).

43. სამარხი N6 - ხელადა, თიხის, მოვარდისფრო კეცით, ძაბრისებურად პირგადაშილი, დაბალი, გამოყვანილი ყელით, მსხლისებურმუცლიანი, ბრტყელი ძირით, მრგვალგანივკვეთიანი ყურით. ყური მიძერწილია ყელისა და მუცლის არეში. სიმაღლე - 22.05სმ; პირის დმ. - 7.2სმ; პირის სისქე - 0.5სმ; მუცლის დმ. - 23.0სმ; ძირის დმ. - 10.0სმ; ყურის სისქე - 1.8სმ.; (აღდგენილი)

44. ოხერახევის სამაროვანი. სამარხი N7



45. სამარხი N7 - რკინის სამაჯურის ფრაგმენტები.

46. სამარხი N7 - პასტისა და სარდიონის მძივები.

47. სამარხი N7 - ბრინჯაოს საყურეები (2ც.), მრგვალგანივკვეთიანი, წვრილი და თანაბარღეროვანი. დადასტურდა ინდივიდის თავის არეში. ორივე მათგანი ფრაგმენტირებულია.

48. სამარხი N7 - ყურიანი ჯამი, თიხის, ყავისფერი კეცით, შავი ლაქებით, გარეთ გადაკეცილი ტუჩით, პირიდან მუცელზე გადასვლის მონაკვეთი გამოყოფილი მკვეთრი წიბოთი. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და წიბოზე გადასვლის მონაკვეთში. სიმაღლე - 5.0სმ; პირის დმ. - 13.2სმ; პირის სისქე - 0.5სმ; ძირის დმ. - 8.0სმ; გადაკეცილი ტუჩის ზომები - 4.04x1.05სმ.; (აღდგენილი).

49. სამარხი N7 - ფარაკიანი რკინის ბეჭედი (დაზიანებული)

50. ოხერახევის სამაროვანი. სამარხი N8



51. სამარხი N8 - ხელადა, თიხის, მოწითალო კეცით, წითლად შეღებილი, ძაბრისებურად გადაშლილი პირით, დაბალი, გამოყვანილი ყელით, დაქანებული მხრებით და მომრგვალებული მუცლით, ბრტყელძირა. ყური მიძერწილია ყელისა და მხრიდან მუცელზე გადასვლის არეში. სიმაღლე - 19.05სმ; პირის დმ. - 7.05სმ; პირის სისქე - 0.4სმ; მუცლის დმ - 17.0სმ; ძირის დმ. - 10.05სმ; ყურის სისქე - 1.09სმ.; (აღდგენილი)

52. სამარხი N8 - ჯამი, თიხის, ჩალისფერი კეცით, შავი ლაქებით, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. სიმაღლე - 4.05სმ; პირის დმ. - 15.07სმ; პირის სისქე - 0.5სმ; ძირის დმ. - 11.0სმ. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კიდეში, შუბისპირთან; (აღდგენილი)

53. სამარხი N8 - ბრინჯაოს თხელი ფირფიტის ფრაგმენტები.

54. სამარხი N8 - ბრინჯაოს ღილი, დიამეტრი: 1.2x1.2სმ.; ბრინჯაოს თხელი ფირფიტის ფრაგმენტები.

1 2

55. სამარხი N8 - ბრინჯაოს (?) საყურე რგოლები: **1** - ბრინჯაოს საყურე, თანაბარღეროვანი, მრგვალგანივკვეთიანი, გახსნილი. რკალის ბოლოები ოდნავ გადასულია ერთმანეთზე. დიამეტრი - 2.02x2.02სმ., ღეროს სისქე - 0.4სმ. **2** - ბრინჯაოს საყურე, თანაბარღეროვანი, მრგვალგანივკვეთიანი, გახსნილი, ცალ ბოლოზე ეტყობა შუაში დატანილი ნახვრეტი. დიამეტრი - 2.03x2.03სმ., ღეროს სისქე - 0.4სმ.

56. სამარხი N8 - მასიური მძივი (მთის ბროლი?), აღმოჩნდა ინდივიდის ყელის არეში.

57. სამარხი N8 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები. დადასტურდა ინდივიდის ზედა კიდურების არეში.

58. სამარხი N8 - ფარაკიანი რკინის ბეჭდის ფრაგმენტები (ძლიერ დაზიანებული).

59. სამარხი N8 - რკინის შუბისპირისა და მასრის ფრაგმენტები. ძლიერ დაზიანებული. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან, ინდივიდის თავის მხარეს.

60. სამარხი N8 - რკინის მცირე ზომის დანა, ტარზე შერჩენილი ხის დასამაგრებელი მანჭვლებით, წვერთან მკვეთრად ჩაზნექილი. შემორჩენილი სიგრძე - 10.0სმ.

61. ოხერახევის სამაროვანი. სამარხი N8

62. სამარხი N9 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები.

63. სამარხი N9 - ბრინჯაოს საყურე რგოლები - 1. თანაბარღეროვანი ბრინჯაოს რგოლის ფრაგმენტები. გატეხილია ოთხ ნაწილად. 2. ბრინჯაოს რგოლი, თანაბარღეროვანი, მრგვალგანივკვეთიანი, გახსნილი, ოდნავ დაბრტყელებული ბოლოებითა და შუაში ნახვრეტით. რკალის ბოლოები ერთმანეთზეა ოდნავ გადასული. დიამეტრი - 2.3x2.0სმ., ღეროს სისქე - 0.3სმ.

64. სამარხი N9 - მძივები (ძვლის? 6 ცალი), დაზიანებული. გამოვლინდა ინდივიდის ყელის არეში.

65. სამარხი N9 - ხელადა, თიხის, ჩალისფერი კეცით, ეტყობა წითელი საღებავის კვალი, ძაბრისებურად გადაშლილი პირით, დაბალი, გამოყვანილი ყელით, დაქანებული მხრებით და მომრგვალებული მუცლით, ბრტყელძირა. ყური მიძერწილია ყელისა და მუცელზე გადასვლის არეში. სიმაღლე - 16.04სმ; პირის დმ. - 6.05სმ; პირის სისქე - 0.4სმ; მუცლის დმ - 12.05სმ; ძირის დმ. - 7.02სმ; ყურის სისქე - 1.03სმ.; (აღდგენილი)

66. სამარხი N9 - ჯამი, თიხის, პირგადაშლილი, ძირთან მკვეთრად გამოყოფილი წიბოთი, ომფალოსიანი, მომრგვალებული ძირით. ეტყობა საღებავის კვალი. სიმაღლე - 5.09სმ; პირის დმ. - 19.2სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 8.0სმ; აღმოჩნდა ინდივიდის ფალანგებთან; (აღდგენილი)

67. ოხერახევის სამაროვანი. სამარხი N10

68. ოხერახევის სამაროვანი. სამარხი N10 - გამოვლენილი არტეფაქტების ნაწილი

69. სამარხი N10 - ჯამი, თიხის, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით, წითლად შეღებილი. სიმაღლე - 4.08სმ; პირის დმ. - 17.02სმ; პირის სისქე - 0.5სმ; ძირის დმ. - 9.04სმ; (აღდგენილი)

70. სამარხი N10 - გიშრისა (?) და სარდიონის მძივი, თეთრი სარტყელით. დადასტურდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან ჩასვენებული ინდივიდის ყელის არეში; მინის მძივები (8 ცალი). აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან ,,მიხვეტილი“ ინდივიდის ძვლებთან.

71. სამარხი N10 - ოვალურ ფარაკიანი ბრინჯაოს ბეჭედი, დაზიანებული ბრტყელგანივკვეთიანი რკალით. ფარაკის დიამეტრი: 1.03x0.9სმ.

72. სამარხი N10 - ფარაკიანი რკინის ბეჭდის ფრაგმენტები. დადასტურდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან ჩასვენებული ინდივიდის ყელის არეში.

73. სამარხი N10 - რკინის ფრაგმენტები (სამაჯურის?), აღმოჩნდა სამარხის დასავლეთისა და ჩრდილოეთ კედლებთან.

74. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N11.

75. სამარხი N11 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები.

76. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N12. ასახულობა ჭრილის გაფართოებამდე.

77. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N12. ასახულობა პრეპარაციის დასრულების შემდგომ.

78. სამარხი N12 - ჯამი, თიხის, პირგადაშლილი, მუცელზე მკვეთრად გამოყოფილი წიბოთი, წითლად შეღებილი. შიდა ცენტრალურ ადგილზე ორ წრეს შორის მოქცეული ბურცობით (ომფალოსიანი). წრის ზემოთ დასმულია ოთხი, ღრმა თითის ჩანაჭდევი. სიმაღლე - 4.05სმ; პირის დმ. - 16.05სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 8.0სმ.



79. ანაზომი (გ. ყიფიანი)

80. სამარხი N12 - ჯამი, თიხის, მოწითალო კეცით, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით, წითლად შეღებილი. სიმაღლე - 4.07სმ; პირის დმ. - 12.03სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 6.08სმ. აღმოჩნდა ანატომიურად სრული ინდივიდის თავთან, სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში.

81. სამარხი N12 - კოჭობი, თიხის, ჩალისფერი კეცით, წითლად შეღებილი, ძაბრისებურად გადაშლილი პირით; დაბალი, გამოყვანილი ყელით, სფერული მუცლით; ბრტყელძირა. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს ყელისა და მუცლის მონაკვეთზე. სიმაღლე - 9.05სმ; პირის დმ. - 6.04სმ; მუცლის დმ. - 10.05სმ; ძირის დმ. - 5.05სმ; ყურის სისქე - 1.0სმ.; (აღდგენილი)

82. სამარხი N12 - რკინის ფრაგმენტები, დადასტურდა ანატომიურად სრული ინდივიდის ზედა კიდურებთან.

83. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N13.

84. ოხერახევის სამაროვანი. სამარხი N14

85. სამარხი N14 - გამოვლენილ არტეფაქტთა ასახულობა პრეპარაციის პროცესში.

86. სამარხი N14 - **1.** ბრინჯაოს საკინძი, მთლიანადსხმული, განივკვეთში მრგვალი, წვეროსკენ თანაბრადშევიწროვებული, წვერნაკლული, გაღუნული. მრგვალთავიანი, თავზე ნახვრეტით. ღეროს სისქე თავისკენ - 0.4სმ. **2.** ბრინჯაოს საკინძი, მთლიანადსხმული, განივკვეთში მრგვალი, წვეროსკენ თანაბრადშევიწროვებული. მრგვალთავიანი, თავზე ნახვრეტით. საკინძის სიგრძე - 8.2სმ., ღეროს სისქე თავისკენ - 0.4სმ. **3.** ბრინჯაოს ჯაჭვი ძლიერ დაზიანებული და ფრაგმენტირებული.

87. სამარხი N14 - მძივები: ორი წაკვეთილი კონუსის ფორმის, ცისფერი მინის მძივი შავი სპირალური ზოლებით; ერთი - კასრისებური ფორმის მძივი (ძვლის?).

88. სამარხი N14 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები.

89. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N15.

90. სამარხი N15 - რკინის თავხვია საკინძები (2 ცალი), ძლიერ კოროზირებული და ფრაგმენტირებული.

91. სამარხი N15 - ფარაკიანი რკინის ბეჭდის ფრაგმენტი. აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთით, ჯამთან ახლოს.

92. სამარხი N15 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები.

93. სამარხი N15 - სარდიონის მძივი.

94. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N16 - ბავშვისთვის განკუთვნილი ქვაყუთი გახსნამდე

95. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N16 - ბავშვისთვის განკუთვნილი ქვაყუთი გახსნის შემდგომ.

96. სამარხი N16 - ხელადა, თიხის, მოწითალო კეცით, წითლად შეღებილი, ძაბრისებურად გადაშლილი პირით, მაღალი, გამოყვანილი ყელით, დაქანებული მხრებით და მომრგვალებული მუცლით, ბრტყელძირა. ყური მიძერწილია პირისა და მუცელზე გადასვლის არეში. სიმაღლე - 18.0სმ; პირის დმ. - 7.02სმ; პირის სისქე - 0.4სმ; მუცლის დმ - 14.0სმ; ძირის დმ. - 8.02სმ; ყურის სისქე - 1.03სმ.

97. სამარხი N16 - რკინის სამაჯურის ფრაგმენტები (ძლიერ დაზიანებული).

98. სამარხი N16 - **1.** ბრინჯაოს (?) საყურე რგოლი, თანაბარღეროვანი, ბოლოებგახვრეტილი, ორ ნაწილად გატეხილი. ღეროს სისქე - 0.3სმ. **2.** ბრინჯაოს (?) საყურე რგოლი, თანაბარღეროვანი, გახსნილი, ბოლოებგახვრეტილი. რკალის ბოლოები ერთმანეთზეა ოდნავ გადასული. ღეროს სისქე - 0.3სმ. აღმოჩნდა ინდივიდის თავთან, რგოლის დმ. - 2.0x1.05სმ.

99. სამარხი N16 - მწვანე და ცისფერი მინის მძივები (16ც.).

100. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N17 - ბავშვისთვის განკუთვნილი სამარხი.

101. სამარხი N17 - კოჭობი, თიხის, ჩალისფერი კეცით, წითლად მოხატული, ძაბრისებურად გადაშლილი პირით; ოდნავ გამოყვანილი დაბალი ყელით, დაშვებული მხრებით; ოდნავ დაწეული, მომრგვალებული მუცლით და ბრტყელი ძირით. მრგვალგანივკვეთიანი, გვერდებზე უმნიშვნელოდ შებრტყელებული ყური მიძერწილი აქვს ყელსა და მუცლის არეში. ყელზე და მუცელზე შემოუყვება თითო სარტყელი. მათ შორის არსებულ სივრცეში ჩასმულია ხუთი, წვერებით წვერებით ყელთან არსებულ სარტყელზე მიბჯენილი, ბადისებური შტრიხებით შევსებული სამკუთხედების რიგი. წითელი საღებავით შტრიხები დატანილია პირის შიდა კიდეზეც. სიმაღლე - 6.08სმ; პირის დმ. - 7.0სმ; მუცლის დმ. - 7.04სმ; ძირის დმ. - 4.02სმ; ყურის სისქე - 1.2სმ.; (აღდგენილი)

102. სამარხი N17 - ხელადა, თიხის, მინიატურული, ჩალისფერი კეცით, წითლად მოხატული. ძაბრისებურად გადაშლილი პირით, დაბალი გამოყვანილი ყელით, ოდნავ დაშვებული მხრებით და მრგვალი მუცლით. ბრტყელძირა. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირისა და მუცლის არეში. ყურზე, წითელი საღებავით, ოთხ რიგად დატანილია შტრიხები. ხელადას ყელზე შემოუყვება სამი, ხოლო მუცელზე ორი სარტყელი. ზედა ორ სარტყელს შორის სივრცე შევსებულია ირიბი ხაზებით. ქვედა სარტყელიდან დაშვებულია წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედების რიგი, რომლებიც წითელი საღებავითაა შევსებული. მათ შორის მოცემულია ბადისებური ორნამენტით შევსებული სამკუთხედები. მუცელზე არსებულ სარტყელთა შორის ირიბი ზოლებით დაშტრიხული სამკუთხედებია ჩასმული თავბოლო შექცევით. სიმაღლე - 9.0სმ; პირის დმ. - 4.0სმ; მუცლის დმ. - 8.0სმ; ძირის დმ. - 5.02სმ; ყურის სისქე - 1.0სმ.; (აღდგენილი)



103. ანაზომი (გ. ყიფიანი)

104. სამარხი N17 - მინისა და პასტის მძივები.

105. სამარხი N17 - ბრინჯაოს საყურეები (2ც.), თანაბარღეროვანი, მრგვალი განივკვეთით. ორივე გატეხილი. ღეროს სისქე მიახ. - 0.3სმ.

106. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N18.

107. სამარხი N18 - ხელადა, თიხის, მოწითალო კეცით, ძაბრისებურად გადაშლილი პირით, გამოყვანილი დაბალი ყელით, მრგვალი მუცლით, ბრტყელძირა, წითლად შეღებილი. ყური მიძერწილია პირისა და მუცელზე გადასვლის არეში. სიმაღლე - 15.02სმ; პირის დმ. - 7.05სმ; პირის სისქე - 0.4სმ; მუცლის დმ. - 16.05სმ; ძირის დმ. - 10.05სმ; ყურის სისქე - 1.05სმ.

108. სამარხი N18 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები.

109. სამარხი N18 - ფარაკიანი რკინის ბეჭდის ფრაგმენტები (5ც.).

110. სამარხი N18 - კვირისტავი, ძვლის, დაზიანებული.

111. სამარხი N18 - სხვადასხვა ფორმისა და მასალისაგან დამზადებული მძივები (სარდიონი, მინა, პასტა).

112. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N19 გახსნამდე.

113. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N19 გახსნის შემდგომ.

114. სამარხი N19 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურები: **1.** რკინის სამაჯური (?), სრული, ძლიერ კოროზირებული, თანაბარღეროვანი, რკალზე შემორჩენილია ოთხი ბურცობი. დიამეტრი - 4.08x3.05სმ. **2.** რკინის სამაჯური (?), სრული, ძლიერ კოროზირებული, თანაბარღეროვანი, რკალზე შემორჩენილია ბურცობები. დიამეტრი - 3.08x4.08სმ. **3.** რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები.

115. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N20 - ბავშვისთვის განკუთვნილი ქვაყუთი.

116. სამარხი N20 - პრეპარაციის დროს გამოვლენილი ინვენტარი

117. სამარხი N20 - ხელადა, თიხის, მინიატურული, ნაცრისფერი კეცით, შავად ნაპრიალები, ძაბრისებურად გადაშლილი პირით, დაქანებული მხრებით, ბიკონუსური, ბრტყელძირა. ყური მიძერწილია პირსა და მხრიდან მუცელზე გადასვლის არეში. სიმაღლე - 10.05სმ; პირის დმ. - 4.09სმ; პირის სისქე - 0.4სმ; მუცლის დმ - 10.0სმ; ძირის დმ. - 5.02სმ; ყურის სისქე - 1.02სმ.

118. სამარხი N20 - ჯამი, თიხის, მუქი ყავისფერი კეცით, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. სიმაღლე - 4.02სმ; პირის დმ. - 12.0სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 7.0სმ. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან, მცირე ზომის ხელადასთან ერთად.

119. სამარხი N20 - **1.** ბრინჯაოს ზარაკი, ცილინდრული, გვერდებშეჭრილი, სრული. სიგრძე საკიდის ჩათვლით - 2.0სმ; ზარაკის დმ. - 0.8x1.1სმ; საკიდის დიამეტრი - 0.8x0.9სმ; საკიდის სისქე - 0.4სმ. **2.** ბრინჯაოს ზარაკი, ცილინდრული, გვერდებშეჭრილი, სრული. სიგრძე საკიდის ჩათვლით - 2.3სმ; ზარაკის დმ - 1.0x1.1სმ; საკიდის დიამეტრი - 1.0x0.6სმ; საკიდის სისქე - 0.3სმ. მასთან ერთად გამოვლინდა ბრინჯაოს ბრტყელგანივკვეთიანი, მცირე ზომის რგოლი. აღმოჩნდა სარდიონის მძივებთან ერთად.

120. სამარხი N20 - ბრინჯაოს ზარაკი, სფერული, თავზე საკიდისთვის განკუთვნილი ორი ნახვრეტით. დიამეტრი - 2.0x2.0სმ.

121. სამარხი N20 - ბრინჯაოს ილარი, სტილიზირებული. თავი ბოლოვდება ზუგრშექცეული სპირალებით. ცალ მხარეს სპირალი მოტეხილია. მათ ქვემოთ დატანილია ნახვრეტი. კოვზისებური ჩაღრმავებისკენ ილარი ვიწროვდება. ბრტყელი ტანი დაშტრიხულია წვრილი ნაჭდევებით. ღეროს ბოლოზე კოვზისებური ჩაღრმავებით. ილარის სიგრძე - 7.09სმ; სიგანე თავისკენ - 1.0სმ; კოვზისებური ჩაღრმავების დმ. - 0.5x0.4სმ.

122. სამარხი N20 - ბრინჯაოს ფიბულა, მრგვალგანივკვეთიანი, შუაში შემსხვილებული მშვილდით, ერთ ბოლოში მომრგვალებული, მეორე მხარეს შემოხვეული. მშვილდზე შერჩენილი აქვს საკიდის ფრაგმენტი.

123. სამარხი N20 - ბრინჯაოს თხელი ფირფიტის ფრაგმენტები.

124. სამარხი N20 - მძივები (ძვლის?, 7ც.)

125. სამარხი N20 - სარდიონის მძივები, სხვადსხვა ფორმისა და შეფერილობის (ცილინდრული, ოვალური, პირამიდისებური, სფერული, დაწახნაგებული, 13 ცალი)

126. სამარხი N20 - მძივები (მინის, პასტის, თვალედები)

127. ოხერახევის სამაროვანი, სამარხები N19 და N20 გახსნამდე.

128. ოხერახევის სამაროვანი, სამარხები N19 და N20 გახსნის შემდგომ.

129. სამარხი N21 - ხელადა, თიხის, მოწითალო კეცით, ძაბრისებურად პირგადაშილი, გამოყვანილი ყელით, მსხლისებურმუცლიანი, ბრტყელი ძირით, მრგვალგანივკვეთიანი ყურით, წითლად შეღებილი. ყური მიძერწილია ყელისა და მუცლის არეში. სიმაღლე - 20.08სმ; პირის დმ. - 7.07სმ; პირის სისქე - 0.4სმ; მუცლის დმ. - 16.0სმ; ძირის დმ. - 11.08სმ; ყურის სისქე - 1.05სმ.; (აღდგენილი)

130. სამარხი N21 - ფარაკიანი რკინის ბეჭდის ფრაგმენტები (ძლიერ კოროზირებული).

131. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N22 პრეპარაციის პროცესში.

132. სამარხი N22 - პრეპარაციის დროს დაფიქსირებული ხატისუღელი (გვერგვი).

133. სამარხი N22 - პრეპარაციის დროს გამოვლენილი თიხის ჭურჭელი, შუბისპირი და ბრინჯაოს თხელი ფირფიტის ფრაგმენტები.



134. სამარხი N22 - რკინის შუბისპირი, ძლიერ ფრაგმენტირებული. დაფიქსირების დროს აღებული ზომების მიხედვით: საერთო სიგრძე - 34.0სმ., შუბის პირის სიგრძე მასრამდე - 18.0სმ., მასრის დმ. - 0.22სმ.

135. სამარხი N22 - რკინის მახაირა, სატარე მონაკვეთთან მოხრილი. შერჩენილი აქვს ხის დასამაგრებელი ტარის მანჭვლები. შემორჩენილი სიგრძე - 43.0სმ., შემორჩენილი ტარის სიგანე - 4.5სმ., ძლიერ კოროზირებული და გატეხილი.

136. სამარხი N22 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები.

137. სამარხი N22 - ფარაკიანი რკინის ბეჭდის ფრაგმენტები.

138. სამარხი N22 - ბრინჯაოს ხატისუღელი (გვერგვი), გრეხილღეროიანი, სადა კაუჭისებური შესაკრავებით. გატეხილია ოთხ ნაწილად. გრეხილი ღეროს სისქე - 0.5სმ.



139. სამარხი N22 - ბრინჯაოს თხელი ფირფიტის ფრაგმენტები, ზოგიერთი მათგანი შეიცავს გამჭოლ ნახვრეტებს.

140. სამარხი N22 - ვიწროწნულიანი თოკის მცირე ფრაგმენტი, აღმოჩნდა ბრინჯაოს ფირფიტების ფრაგმენტებთან.

141. სამარხი N22 - ხელადა, თიხის, ნაცრისფერი კეცით, ძაბრისებურად გადაშლილი პირით, ცალ მხარეს ოდნავ შეკეცილი, დაბალი, გამოყვანილი ყელით, დაქანებული მხრებით და მომრგვალებული მუცლით, ბრტყელძირა. ბრტყელგვერდიანი, ზედაპირმომრგვალებული ყური მიძერწილია პირისა და მუცლის არეში. სიმაღლე - 16.08სმ; პირის დმ. - 7.0სმ; პირის სისქე - 0.4სმ; მუცლის დმ - 14.05სმ; ძირის დმ. - 9.08სმ; ყურის სისქე - 1.09სმ.

142. სამარხი N22 - ყურიანი ჯამი, თიხის, ყავისფერი კეცით, შავი ლაქებით, გარეთ გადაკეცილი ტუჩით (ვერ მოხერხდა რესტავრირება).

143. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N23 პრეპარაციის პროცესში.

144. სამარხი N23. პრეპარაციის დროს გამოვლენილი ინვენტარის ნაწილი.

145. სამარხი N23 - ჯამი, თიხის, მოყვითალო-ჩალისფერი კეცით, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. სიმაღლე - 5.05სმ; პირის დმ. - 19.0სმ; პირის სისქე - 0.6სმ; ძირის დმ. - 11.0სმ; გამოვლინდა სამარხის აღმოსავლეთ კედელთან, ხელადის გვერდით.

146. სამარხი N23 - ხელადა, თიხის, მოწითალო კეცით, წითლად შეღებილი, ძაბრისებურად გადაშლილი პირით, გამოყვანილი ვიწრო ყელით, ოდნავ დაქანებული მხრებით და მრგვალი მუცლით, ბრტყელძირა. ყური მიძერწილია პირ-ყელისა და მუცელზე გადასვლის არეში. სიმაღლე - 15.0სმ; პირის დმ. - 5.05სმ; პირის სისქე - 0.4სმ; მუცლის დმ - 12.05სმ; ძირის დმ. - 7.05სმ; ყურის სისქე - 1.04სმ.; (აღდგენილი)

147. სამარხი N23 - ბრინჯაოს საკინძი, მთლიანადსხმული, განივკვეთში მრგვალი, წვეროსკენ თანაბრადშევიწროვებული. მრგვალთავიანი, თავდაღარული, თავზე ნახვრეტით. წვერთან გადატეხილი. სიგრძე (მიახ.) - 11.4სმ. ღეროს სისქე თავისკენ - 0.4სმ. აღმოჩნდა პირმოყრილი ჯამის კიდესთან.

148. სამარხი N23 - ბრინჯაოს საკინძი, მთლიანადსხმული, განივკვეთში მრგვალი, წვეროსკენ თანაბრადშევიწროვებული. მრგვალთავიანი, თავდაღარული, თავზე ნახვრეტით. ოთხ ნაწილად გატეხილი. ღეროს სისქე თავისკენ - 0.4სმ.

149. სამარხი N23 - მძივები (36ც.; თვალედები, მინა, სარდიონი).

150. სამარხი N23 - ფარაკიანი რკინის ბეჭდის ფრაგმენტები. აღმოჩნდა ინდივიდის მარცხენა ხელთან.

151. სამარხი N23 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები.

152. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N24 პრეპარაციის პროცესში

153. სამარხი N24 - ჯამი, თიხის, ჩალისფერი კეცით, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. სიმაღლე - 5.02სმ; პირის დმ. - 15.04სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 11.0სმ; გამოვლინდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.

154. სამარხი N24 - ჯამი, თიხის, მოწითალო კეცით, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. სიმაღლე - 6.0სმ; პირის დმ. - 16.0სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 10.0სმ; გამოვლინდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.



155. სამარხი N24 - ხელადა, თიხის, ჩალისფერი კეცით, წითლად მოხატული, ძაბრისებურად გადაშლილი პირით; დაბალი გამოყვანილი ყელით, დაშვებული მხრებით; ოდნავ დაწეული, მომრგვალებული მუცლით და ბრტყელი ძირით. მრგვალგანივკვეთიანი, გვერდებზე უმნიშვნელოდ შებრტყელებული ყური მიძერწილი აქვს ყელსა და მუცლის არეში. ყურზე წითელი საღებავით დატანილი სამი ვიწრო სარტყელი. ყელზე შემოუყვება ოთხი, ხოლო ძირთან ორი სარტყელი. მათ შორის არსებულ სივრცეში ჩასმულია ექვსი, წვერებით ზემოთ მიმართული, ბადისებური შტრიხებით შევსებული სამკუთხედების რიგი. მცირე ზომის სამკუთხედი დასმულია ყურის ძირშიც. სიმაღლე - 12.09სმ; პირის დმ. - 5.04სმ; მუცლის დმ. - 10.0სმ; ძირის დმ. - 6.05სმ; ყურის სისქე - 1.3სმ.; (აღდგენილი)

156. სამარხი N24 - ხელადა, თიხის, ნაცრისფერი კეცით, ძაბრისებურად გადაშლილი პირით; გამოყვანილი ყელით, მომრგვალებული მუცლით; ბრტყელძირა. შიდა მხრიდან დაბრტყელებული და გარედან მრგვალზედაპირიანი ყური მიძერწილი აქვს პირისა და მუცლის არეში. სიმაღლე - 12.0სმ; პირის დმ. - 6.04სმ; მუცლის დმ. - 11.05სმ; ძირის დმ. - 6.05სმ; ყურის სისქე - 0.09სმ.; (აღდგენილი)

157-158. სამარხი N24 - რკინის სამაჯურის ფრაგმენტები

159. სამარხი N24 თვალედები (25ც.)

160. სამარხი N24 - შუბისპირი, მასრაგახსნილი, არსებული სიგრძე - 22.05სმ., მასრის დმ. - 2.04x2.05; შუბის პირის სიგრძე მასრამდე - 12.07სმ., სიგანე - 4.01სმ.

161. სამარხი N24 - რკინის მცირე ზომის დანა, სატარე ნაწილთან ოდნავ მოხრილი. შერჩენილი აქვს ხის დასამაგრებელი ტარის მანჭვლები. შემორჩენილი სიგრძე - 15.05სმ., სიგანე - 1.09სმ. (დაზიანებული).

162. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N25.

163. სამარხი N25 - ხელადა, თიხის, ჩალისფერი კეცით, ძაბრისებურად გადაშლილი პირით, გამოყვანილი დაბალი ყელით, მრგვალი მუცლით, ბრტყელძირა. ყური მიძერწილია პირსა და მუცლის არეში. სიმაღლე - 14.05სმ; პირის დმ. - 6.0სმ; პირის სისქე - 0.3სმ; მუცლის დმ. - 12.05სმ; ძირის დმ. - 7.05სმ; ყურის სისქე - 1.09სმ.; (აღდგენილი)

164. სამარხი N25 - ბრინჯაოს საკინძები (2ც.): **1.** ბრინჯაოს საკინძი, მთლიანადსხმული, განივკვეთში მრგვალი, წვეროსკენ თანაბრადშევიწროვებული. მრგვალთავიანი, თავდაღარული, თავსქვემოთ ნახვრეტით. ოდნავ მოღუნული და წვერთან გადატეხილი. სიგრძე (მიახ.) - 10.5სმ. ღეროს სისქე თავისკენ - 0.4სმ. **2.** ბრინჯაოს საკინძი, მთლიანადსხმული, განივკვეთში მრგვალი, წვეროსკენ თანაბრადშევიწროვებული. მრგვალთავიანი, თავდაღარული, თავსქვემოთ ნახვრეტით. წვერთან გადატეხილი. სიგრძე (მიახ.) - 10.5სმ. ღეროს სისქე თავისკენ - 0.4სმ.

165. სამარხი N25 - ბრინჯაოს ზარაკი, ცილინდრული, გვერდებშეჭრილი, სრული. სიგრძე საკიდის ჩათვლით - 2.5სმ; ზარაკის დმ - 1.02x1.01სმ; საკიდის დიამეტრი - 0.8x1.0სმ; საკიდის სისქე - 0.4სმ. აღმოჩნდა ბრინჯაოს საკინძებთან ერთად.

166. სამარხი N25 - ბრინჯაოს თანაბარღეროვანი რგოლების ფრაგმენტები. ღეროს დმ. - 3მმ. აღმოჩნდა ინდივიდის თავის არეში.

167. სამარხი N25 - მძივები (სარდიონის 7ც., მინის 1ც.)

168. სამარხი N25 - ფარაკიანი რკინის ბეჭდის ფრაგმენტები, ძლიერ დაზიანებული (5 ცალი. მათი თავდაპირველი ფორმის აღდგენა შეუძლებელია).

169. სამარხი N25 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები.

170. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N26.

171. სამარხი N26 - საყურე რგოლი ოქროსი (?), მრგვალგანივკვეთიანი, გახსნილი, რკალის ბოლოები ერთმანეთზეა ოდნავ გადასული. დიამეტრი - 1.02x1.0სმ., განივკვეთი - 0.2სმ.

172. სამარხი N26 - ბრინჯაოს რგოლი (საყურე?), თანაბარღეროვანი, ფრაგმენტირებული. ღეროს დმ. - 0.2სმ. აღმოჩნდა ინდივიდის თავთან, ოქროს რგოლის გვერდით.

173. სამარხი N26 - ბრინჯაოს ზარაკები (2ც.): ბრინჯაოს ზარაკები (2ც.): **1.** ცილინდრული, გვერდშეჭრილი, სრული. სიგრძე საკიდის ჩათვლით - 2.02სმ; ზარაკის დმ - 0.9x0.7სმ; საკიდის დიამეტრი - 0.8x0.7სმ; საკიდის სისქე - 0.4სმ; **2.** ძლიერ ფრაგმენტირებული.

174. სამარხი N26 - პასტის მძივები.

175. სამარხი N26 - რკინის შუბისპირის ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები.

176. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N27.

177. სამარხი N27 - ოქროს (?) თხელი ფურცლის ხვიებისაგან შემდგარი მძივები, კასრისებური (12 ცალი). მიახლოებითი ზომები: 0.6x0.4სმ.

178. სამარხი N27 - მრგვალ ფარაკიანი ვერცხლის ბეჭედი-საბეჭდავი. გარედან ამობურცული და ბოლოებგახსნილი რკალით. რკალის ბოლოები ერთმანეთზეა მიჭდობილი. ფარაკზე გამოსახულია ცხოველი (ცხენი?) და ნახევარმთვარე. ფარაკის დიამეტრი: 1.07x1.07სმ., რკალის დიამეტრი: 2.01x2.0სმ, სიგანე - 0.3სმ. აღმოჩნდა ინდივიდის მარცხენა ხელზე.

179. სამარხი N27 - ვერცხლის სამაჯური, ზურგჩაზნექილი, გახსნილი, ოვალურგანივკვეთიანი, ბოლოებდაღარული. დიამეტრები: 5.5x4.5სმ., ღეროს სისქე - 0.4სმ. აღმოჩნდა ინდივიდის მარჯვენა ხელზე.

180. სამარხი N27 - ვერცხლის სამაჯური, ზურგჩაზნექილი, გახსნილი, ბოლოებდაღარული. ღეროს მაქს. სისქე - 0.4სმ. აღმოჩნდა ინდივიდის მარჯვენა ხელთან, ფრაგმენტირებული. აღმოჩენის დროს მასზე მიკრული იყო ბურცობებიანი რკინის სამაჯურის ფრაგმენტები, რომელთა მოცილებაც საკონსერვაციო სამუშაოების შედეგად გახდა შესაძლებელი.

181. სამარხი N27 - ბრინჯაოს საკინძები (2ც.) და ჯაჭვი: **1.** საკინძი, მთლიანადსხმული, განივკვეთში მრგვალი, წვეროსკენ თანაბრადშევიწროვებული. თავზე ორი კოპით, თავდაღარული, თავსქვემოთ ნახვრეტით. სრული (თუმცა მასზე ბრინჯაოს ჯაჭვია შემოხვეული და მიკრული. სიგრძე (მიახ.) - 10.04სმ. ღეროს სისქე თავისკენ - 0.4სმ. **2.** საკინძი, მთლიანადსხმული, განივკვეთში მრგვალი, წვეროსკენ თანაბრადშევიწროვებული, მრგვალთავიანი, სამი მომრგვალებული სარტყელით (ერთი სარტყელი ნახვრეტის თავზეა, ორი მომრგვალი თავის ქვეშ. თავდაღარული, თავსქვემოთ ნახვრეტით, ნახვრეტში შერჩენილია ჯაჭვის ოთხი რგოლი. სიგრძე - 9.04სმ., ღეროს სისქე ნახვრეტთან - 0.4მმ. **3.** ბრინჯაოს ჯაჭვი ძლიერ დაზიანებული და ფრაგმენტირებულია, უმეტესი მათგანი თავგახსნილი.

182. სამარხი N27 - ბრინჯაოს ფირფიტოვანი დისკო ცენტრალური ბურცობით. მის თავზე გამოსახულია ექვსი ცალი ლოტოსის (?) ფურცელი, რომელთა შორისაც მცირე ზომის ამობურცული წერტილებია ჩასმული. მსგავსი მცირე ზომის ბურცობები დისკოს შემოუყვება მთელ კიდეზე. დიამეტრი: 3.09x3.09სმ. აღმოჩნდა ინდივიდის თავთან. დაზიანებულია, ჩაუტარდა გამაგრებითი სამუშაო.

183. სამარხი N27 - ბრინჯაოს ილარი, სტილიზირებული, ფრინველის ორმაგი გამოსახულებით, დაბრტყელებული ღეროთი, ღეროს ბოლოზე კოვზისებური ჩაღრმავებით. ღეროს განივკვეთი - 0.5სმ; თავის სიგრძე - 1.08სმ., სიგანე - 1.04სმ; ილარის სიგრძე - 5.04სმ; კოვზისებური ჩაღრმავების დმ. - 0.5x0.7სმ.

184. სამარხი N27 - ბრინჯაოს ნივთი, აღმოჩნდა ინდივიდის ფალანგებთან ახლოს, სამარხის სამხრეთ კედელთან.

185. სამარხი N27 - სარდიონის მძივები, გამოვლინდა ინდივიდის ყელის არეში.

186. სამარხი N27 - სარდიონისა და მინის მძივები. აღმოჩნდა ინდივიდის მარცხენა ხელთან, ბრინჯაოს ჯაჭვთან და საკინძებთან ერთად.



187. სამარხი N27 - რკინის დანა, ოდნავ მოხრილი, შერჩენილი აქვს ხის დასამაგრებელი ტარის მანჭვლები. შემორჩენილი სიგრძე - 11.05სმ., სიგანე - 1.09სმ. (დაზიანებული).

188. სამარხი N27 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები (ძლიერ დაზიანებული).

189. სამარხი N27 - ფარაკიანი რკინის ბეჭდები (2 ც.), ძლიერ დაზიანებული და ფრაგმენტირებული, სავარაუდოდ ოვალური ფარაკით. აღმოჩნდა ინდივიდის მარცხენა ხელზე.

190. სამარხი N27 - ხელადა, თიხის, მოწითალო კეცით, წითლად შეღებილი, ძაბრისებურად გადაშლილი პირით, დაბალი, გამოყვანილი ყელით, დაქანებული მხრებით და მომრგვალებული მუცლით, ბრტყელძირა. ყური მიძერწილია პირისა და მუცელზე გადასვლის არეში. სიმაღლე - 19.02სმ; პირის დმ. - 7.07სმ; პირის სისქე - 0.4სმ; მუცლის დმ - 14.05სმ; ძირის დმ. - 8.04სმ; ყურის სისქე - 1.08სმ.

191. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N28.

192. სამარხი N28 - მრგვალ ფარაკიანი ბრინჯაოს ბეჭედი-საბეჭდავი. ბრტყელი, ბოლოებგახსნილი რკალით, რკალის ბოლოები ერთმანეთზეა გადასული. ფარაკზე გამოსახულია ფეხაწეული რქოსანი ცხოველი. ფარაკის დიამეტრი: 1.04x1.04სმ., რკალის დიამეტრები - 1.08x1.09, სიგანე - 0.4სმ. აღმოჩნდა ინდივიდის მარჯვენა ხელზე.

193. სამარხი N28 - ხელადა, თიხის, ჩალისფერი კეცით, ძაბრისებურად გადაშლილი პირით; გამოყვანილი ყელით, დაშვებული მხრებით, მომრგვალებული მუცლით; ბრტყელძირა. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს პირისა და მუცელზე გადასვლის არეში. სიმაღლე - 16.05სმ; პირის დმ. - 7.0სმ; მუცლის დმ. - 14.02სმ; ძირის დმ. - 9.0სმ; ყურის სისქე - 2.05სმ.; (აღდგენილი)

194. სამარხი N28 - ქოთანი, თიხის, ყურიანი, ყავისფერი კეცით, შავი ლაქებით, პირგადაკეცილი, მრგვალი მუცლით, ბრტყელძირა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მუცლის არეში. სიმაღლე - 11.02სმ; პირის დმ. - 10.04სმ; პირის სისქე - 0.4სმ; მუცლის დმ. - 13.04სმ; ძირის დმ. - 9.0სმ; ყურის სისქე - 0.09სმ. (აღდგენილი)

195. სამარხი N28 - ჯამი, თიხის, მოწითალო კეცით, პირმოყრილი, ღრუქუსლიანი, წითლად შეღებილი. სიმაღლე - 6.08სმ; პირის დმ. - 12.05სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 7.08სმ., შეღრმავება - 3.04სმ.; (აღდგენილი).

196. ოხერახევის სამაროვანი. სამარხი N29 გახსნამდე

197. სამარხი N29 - ჯამი, თიხის, ჩალისფერი კეცით, შავი ლაქებით, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. სიმაღლე - 5.05სმ; პირის დმ. - 17.0სმ; პირის სისქე - 0.5სმ; ძირის დმ. - 9.04სმ. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთით, გადახურვის ფილაზე; (აღდგენილი).

198. სამარხი N29 - ყურიანი ჯამი, ყავისფერი კეცით, მონაცრისფრო ლაქებით, პირმოყრილი, გარეთ გადმოკეცილი ტუჩით, ყური განივკვეთში ბრტყელი, მიძერწილია პირსა და მხარის არეში. სიმაღლე - 6.05სმ; პირის დმ. - 16.2სმ; გადაკეცილი ტუჩის ზომები - 4.0x1.05სმ; პირის სისქე - 0.5სმ; ძირის დმ. - 9.0სმ.; ყურის ზომები: სიმაღლე - 4.03სმ., სიგანე - 2.05სმ., გაზიდულობა - 3.02სმ, დიამეტრი - 2.0x3.0სმ., სისქე - 0.7სმ. აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში მიხვეტილ ინდივიდთან; (აღდგენილი)

199. სამარხი N29 - საყურე რგოლი ოქროსი (?), მრგვალგანივკვეთიანი, გახსნილი, ბოლოებგახვრეტილი. დიამეტრი - 2.01x1.09სმ., განივკვეთი - 0.3სმ.

200. სამარხი N29 - ბრინჯაოს (?) თანაბარღეროვანი რგოლის ფრაგმენტები. გატეხილი. ღეროს დმ. - 0.3სმ. აღმოჩნდა ინდივიდის თავის არეში.

201-202. სამარხი N29 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები.

203. სამარხი N29 - რკინის დანა, ძლიერ დაზიანებული, ოდნავ მოხრილი, შერჩენილი აქვს ხის დასამაგრებელი ტარის მანჭვლები. საერთო სიგრძე (გაიზომა აღებამდე) - 21.05სმ., ტარის სიგრაძე მოხრის მონაკვეთამდე - 7.0სმ.

204. სამარხი N29 - რკინის შუბისპირი, ძლიერ დაზიანებული და ფრაგმენტირებული. გაიზომა აღებამდე, სიგრძე მასრის ჩათვლით - 26.0სმ., მასრის სიგრძე - 10.0სმ., მასრის დმ. - 2.0სმ., შუბისპირის ყველაზე ფართე მონაკვეთის სიგანე - 4.0სმ.

205. ოხერახევის სამაროვანი. სამარხები N29-N30

206. სამარხი N30 - საყურე რგოლი ოქროსი (?), ოთხწახნაგაგანივკვეთიანი, გახსნილი, ბოლოებდაბრტყელებული და გახვრეტილი. დიამეტრი - 2.03x2.03სმ., განივკვეთი - 0.3სმ.

207. სამარხი N30 - ბრინჯაოს (?) საყურე რგოლი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი, გახსნილი. რკალის ბოლოები ერთმანეთზეა ოდნავ გადასული. დიამეტრი - 2.0x1.08სმ., ღეროს სისქე - 0.3სმ.

208. სამარხი N30 - ბრინჯაოს ხატისუღელი (გვერგვი), გრეხილღეროიანი, სადა კაუჭისებური შესაკრავებით. სპეციალურად გადაღუნული. გრეხილი ღეროს სისქე - 0.4სმ.

209. სამარხი N30 - ბრინჯაოს ღილი (?), ზედაპირმომრგვალებული, დიამეტრი - 1.04სმ.

210. სამარხი N30 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები.

211. სამარხი N30 - ფარაკიანი რკინის ბეჭდის ფრაგმენტი.



212. სამარხი N30 - რკინის დანა, ძლიერ დაზიანებული, ოდნავ მოხრილი, შერჩენილი აქვს ხის დასამაგრებელი ტარის მანჭვლები. საერთო სიგრძე (გაიზომა აღებამდე) - 21.0სმ., ტარის სიგრძე მოხრის მონაკვეთამდე - 8.0სმ.

213. სამარხი N30 - ხელადა, თიხის, შავად ნაპრიალები, ძაბრისებურად გადაშლილი პირით; გამოყვანილი ყელით, დაშვებული მხრებით, მრგვალი მუცლით, ბრტყელძირა. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს პირისა და მუცელზე გადასვლის არეში. სიმაღლე - 13.0სმ; პირის დმ. - 4.02სმ; მუცლის დმ. - 12.0სმ., ძირის დმ. - 7.0სმ; ყურის სისქე - 1.01სმ.; (აღდგენილი)

214. სამარხი N31 - ხელადა, თიხის, მოწითალო კეცით, წითლად შეღებილი, ძაბრისებურად გადაშლილი პირით; ვიწრო გამოყვანილი ყელით, სფერული მუცლით; ბრტყელძირა. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს პირისა და მუცლის არეში. სიმაღლე - 12.04სმ; პირის დმ. - 5.07სმ; მუცლის დმ. - 12.0სმ; ძირის დმ. - 6.0სმ; ყურის სისქე - 1.05სმ.; (აღდგენილი)

215. სამარხი N31 - რკინის, მთლიანადსხმული, თავხვია საკინძის ფრაგმენტები (ძლიერ ნაკლული).

216. სამარხი N31 - ბრინჯაოს საკინძი, მრგვალი მკვეთრად გამოყოფილი თავით, მთლიანადსხმული, წვეროსკენ თანაბრადშევიწროვებული, ნაკლული. სუსტად შეიმჩნევა თავთან წვრილი ჩაღარვის კვალი. ღეროს სისქე - 0.3სმ.

217. სამარხი N31 - ბრინჯაოს თანაბარღეროვანი რგოლების (საყურეების?) ფრაგმენტები.

218. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N32.

219. სამარხი N32 - ყურიანი ჯამი, ყავისფერი კეცით, შავი ლაქებით, პირმოყრილი, გარეთ გადმოკეცილი ტუჩით. ყური შიდა მხარეს ოდნავ გაბრტყელებული, გარედან მომგვალებული ზედაპირით. მიძერწილია პირსა და მხარის არეში. სიმაღლე - 6.07სმ; პირის დმ. - 18.07სმ; გადაკეცილი ტუჩის ზომები - 4.0x3.0სმ; პირის სისქე - 0.5სმ; ძირის დმ. - 12.0სმ.; ყურის ზომები: სიმაღლე - 6.03სმ., სიგანე - 2.0სმ., გაზიდულობა - 3.0სმ, დიამეტრი - 1.08x3.09სმ., სისქე - 1.02სმ.; (აღდგენილი)

220. სამარხი N32 - ყურიანი ჯამი, ყავისფერი კეცით, მონაცრისფრო ლაქებით, პირმოყრილი, გარეთ გადმოკეცილი ტუჩით, შიდა მხრიდან ოდნავ ბრტყელი და გარედან მომრგვალებულ ზედაპირიანი ყური მიძერწილია პირსა და მხარის არეში. სიმაღლე - 5.08სმ; პირის დმ. - 16.05სმ; გადაკეცილი ტუჩის ზომები - 4.0x1.05სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 11.0სმ.; ყურის ზომები: სიმაღლე - 4.06სმ., სიგანე - 2.01სმ., გაზიდულობა - 4.05სმ, დიამეტრი - 2.02x1.08სმ., სისქე - 1.04სმ.; (აღდგენილი)

221. სამარხი N32 - **1.** ბრინჯაოს რგოლი (საყურე?), მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი, გახსნილი. რკალის ბოლოები ერთმანეთზე ოდნავაა გადასული. დიამეტრი - 1.7x1.5სმ., ღეროს სისქე - 0.2სმ. **2.** ბრინჯაოს მცირე რგოლი (საყურე?), მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი, გახსნილი. რკალის ბოლოები ერთმანეთზე ოდნავაა მიდებული. დიამეტრი - 0.8x0.6სმ., ღეროს სისქე - 0.1სმ.

222. სამარხი N32 - რკინის მთლიანადსხმული თავხვია საკინძი, ძლიერ ფრაგმენტირებული.

223. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N33 - დერგის ფრაგმენტებითა და ქვებით შედგენილი ბავშვის სამარხი გახსნამდე.

224. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N33 - დერგის ფრაგმენტებითა და ქვებით შედგენილი ბავშვის სამარხი გახსნის შემდეგ.

225. სამარხი N33 - მძივები (ცილინდრული ფორმის მძივები (16ც.), სარდიონი (2ც.), თვალედები (14ც.)).

226. სამარხი N33 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები (ძლიერ დაზიანებული).

227. სამარხი N33 - ფარაკიანი რკინის ბეჭდები (2ც. ძლიერ დაზიანებული).

228. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N34.

229. სამარხი N34 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები (ძლიერ დაზიანებული).

230. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N35

231. სამარხი N35 - **1.** ბრინჯაოს რგოლი (საყურე?), თანაბარღეროვანი, მრგვალგანივკვეთიანი, გახსნილი, ოდნავ დაბრტყელებული ბოლოებითა და შუაში ნახვრეტით. დიამეტრი - 2.0x1.9სმ., ღეროს სისქე - 0.3სმ. **2.** ბრინჯაოს რგოლი (საყურე?), მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი, გახსნილი. ოდნავ დაბრტყელებული ბოლოებითა და შუაში ნახვრეტით. რკალის ბოლოები ერთმანეთზე ოდნავაა მიდებული. დიამეტრი - 1.8x1.8სმ., ღეროს სისქე - 0.3სმ.

232-233. სამარხი N35 - ინდივიდის ყელის არეში გამოვლენი სხვადასხვა ფორმისა და მასალისაგან დამზადებული მძივები (სარდიონის, მინისა და ბრინჯაოს(?) მძივები).

234. სამარხი N35 - რკინის დანა, ტარზე შერჩენილი ხის დასამაგრებელი მანჭვლებით, ნაკლული.

235. სამარხი N35 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები (ძლიერ დაზიანებული).

236. სამარხი N35 - ხელადა, თიხის, ნაცრისფერი კეცით, სამტუჩა; გამოყვანილი დაბალი ყელით, დაშვებული მხრებით, მომრგვალებული მუცლით, ძირისკენ მკვეთრად დაშვებული; ბრტყელძირა. ყური შიდა მხრიდან დაბრტყელებული, გარედან მომრგვალებული ზედაპირით. მიძერწილი აქვს პირისა და მუცელზე გადასვლის არეში. სიმაღლე - 14.05სმ; პირის დმ. - 5.0x6.02სმ; მუცლის დმ. - 11.05სმ., ძირის დმ. - 8.0სმ; ყურის სისქე - 1.03სმ.; (აღდგენილი)

237. სამარხი N35 - ყურიანი ჯამი, ყავისფერი კეცით, მონაცრისფრო ლაქებით, პირმოყრილი, გარეთ გადმოკეცილი ტუჩით, ყური განივკვეთში ბრტყელი, შუაში ოდნავი ჩაღრმავებით, მიძერწილია პირსა და მხარის არეში. სიმაღლე - 5.05სმ; პირის დმ. - 15.5სმ; გადაკეცილი ტუჩის ზომები - 4.0x1.07სმ; პირის სისქე - 0.5სმ; ძირის დმ. - 8.04სმ.; ყურის ზომები: სიმაღლე - 4.5სმ., სიგანე - 2.07სმ., გაზიდულობა - 4.05სმ, დიამეტრი - 3.04x2.05სმ., სისქე - 0.7სმ. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან, ინდივიდის მარცხენა ხელთან; (აღდგენილი)

238. ოხერახევის სამაროვანი, სამარხი N36.

239. სამარხი N36 - ბრინჯაოს საკინძის ღეროსა და გახვრეტილთავიანი ნაწილის ფრაგმენტები.

240. სამარხი N36 - რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები.

241. სამარხი N36 - ფარაკიანი რკინის ბეჭდის ფრაგმენტები.

242. სამარხი N36 - ჯამი, თიხის, ყავისფერი კეცით, შავი ლაქებით, პირმოყრილი, გადაკეცილი ტუჩით, შიგნიდან ბრტყელი და გარედან მომრგვალებული ყურით. ყური მიძრწილია პირისა და მუცელზე გადასვლის მონაკვეთში. ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 4.0სმ., პირის დიამეტრი - 12.05სმ., ძირის დმ. - 6.05სმ. ყურის ზომები: სიმაღლე - 3.0სმ., სიგანე - 1.07სმ., გაზიდულობა - 2.02სმ., დიამეტრი - 1.06x1.06სმ., სისქე - 0.4სმ.; (აღდგენილი)



243. ოხერახევის სამაროვნის საკვლევი არეალის სიტუაციის ამსახველი თემატური რუკა. (გ. ბურჯანაძე)

244. სამარხი N15. 3D მოდელი (გ. ბურჯანაძე)



245. სამარხები N19 და N20. 3D მოდელი (გ. ბურჯანაძე)



246. სამარხი N16. 3D მოდელი (გ. ბურჯანაძე)

247. წითლად მოხატული ხელადა, სამარხი N17. 3D მოდელი (გ. ბურჯანაძე)

ლერი ჯიბლაძე, ბიძინა მურვანიძე

ქვის ორპირა ცული შიდა ქართლიდან

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. გომის ტერიტორიაზე, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მდინარის კალაპოტში, ინერტული ქვიშნარ ფენაში[1], შემთხვევით აღმოჩნდა ქვის ორპირა ხვრელიანი ცული (ტაბ. I). ნივთი თანმხლები ინვეტარის გარეშე იპოვა დიმიტრი კიკაძემ, რომელმაც ჩააბარა ხაშურის მუზეუმს (საინვენტარო ნომერი, ხმმ 100372/80105). არტეფაქტი დამზადებულია ბაზალტის ქვისგან, სწორტანიანია, აქვს მსუბუქად ნაპრიალები ზედაპირი და მთლიანობაში კარგადაა შემონახული. სიგრძეა 20 სმ., მრგვალი სატარე ხვრელის დმ-ია 2,5 სმ., რომელიც სავარაუდოდ ორმხრივი ხეხვით უნდა იყოს გახვრეტილი. სატარე ხვრელი დატანილია ცულის შუა ნაწილში, სადაც სიგანეა 4 სმ., პირის კი 4,5 სმ., სისქე სატარე ხვრელთან 5,5 სმ-ია. იგი ორივე მხარეს დასაწყისში შედარებით გაფართოებულია, ვიდრე შიდა ნაწილში. ცულს ორივე მხარეს სიგრძეზე გასდევს წიბო. ერთ-ერთი ბოლომდე არ გრძელდება. პირის ერთი მხარე მომრგვალებულია, მეორე კი ასიმეტრიული მოყვანილობისაა. ორივე მხარეს ეტყობა გამოყენების კვალი (ტაბ. II-1,2)[2].

გომის ცულის წარმომავლობისა და თარიღის გარკვევისათვის საინტერესოა თუ როდის ჩნდება ამ რიგის იარაღები საქართველოს, ან მეზობელი რეგიონების არქეოლოგიურ კულტურებში. რა ურთიერთმიმართებაში შესაძლოა განვიხილოთ ისინი საკვლევი მხარის ხვრელიან ქვის ცულთან.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ადრეულ ყორღანულ კულტურაში, ყუახვრელიანი ქვის ცულები ძალიან მცირე რაოდენობითაა ცნობილი. ერთი მათგანი ჩაშვებულ სამარხში, სხვა ინვენტართან ერთად, აღმოჩნდა ტყემლარას ველზე N4 ყორღანის კამერის თავზე. ქვის ცული დამზადებულია ქვიშაქვისაგან [3]. ეს ნივთი უფრო

[1]ქვის ცული აღმოჩნდა ქვიშის ყოფილ კარიერთან.

[2] გომის ორპირა ცული გამოყენების კვალით, განსაზღვრული იქნა ტრასოლოგიური კვლევით, ეროვნული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ქეთინო ესაკიას მიერ.

[3] ტყემლარას ყორღანული ველი მდებარეობს თეთრიწყაროს რ-ში, ბედენის მთის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე. ტყემლარას ველზე. ყორღანები ორ სხვადასხვა პერიოდშია აგებული, ადრებრინჯაოს ხანაში და შუაბრინჯაოს მიწურულში [შატბერაშვილი ბ. და სხვ. 2010:185].

ცულ-ჩაქუჩას მოგვაგონებს. იგი აღმოჩენილია ბედენური კულტურის არტეფაქტებთან ერთად და თარიღდება ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით [შატბერაშვილი ბ. და სხვ. 1998: 190].

უფრო ადრე მარტყოფის N1 ყორღანში გამოვლინდა რიყის ქვისგან დამზადებული 10 სმ. სიგრძის, თავდაბრტყელებული ყუახვრელიანი ცული [ჯაფარიძე ოთ. 1998: 14, ტაბ. III]. აღსანიშნავია, რომ ადრეული ყორღანული კულტურის ეს ცულები მთელი რიგი ნიშნების მიხედვით საგრძნობლად განსხვავდებიან გომის ნიმუშისგან. აქედან გამომდინარე, სადღეისო მონაცემების მიხედვით, ნაკლებად დამაჯერებელი გვეჩვენება ჩვენი კვლევის სფეროში შემავალი ცული შევიყვანოთ ადრეული ყორღანული კულტურის წრეში. რიყის ქვისგან ნამზადი სოლისებურპირიანი, მაგრამ უხვრელო, წიბოიანი ცული აღმოჩენილია სამგორის ყორღანულ სამარხში [ჯაფარიძე ოთ. 1998: 73, სურ. 45].

რამდენიმე ერთეული ხვრელიანი ქვის ცული მომდინარეობს მტკვარ-არაქსის კულტურიდან. ასევე მხედველობაში გვაქვს შემთხვევითი მონაპოვარი ამ რიგის ნიმუშები, რომელთა კულტურული კუთვნილების განსაზღვრა ჭირს. როგორც ჩანს, ამ დროს ლითონის ცულების ფართოდ გავრცელებამ შეზღუდა ერთგვარად ქვის ცულების საჭიროება და ამითაც უნდა აიხსნას მათი ნაკლებობაც [ჯაფარიძე 1998: 74].

ვფიქრობთ, საერთო ფონის ჩვენებისათვის ინტერეს მოკლებული არ იქნება იმ პუნქტების ჩამონათვალი, სადაც აღმოჩენილია ხვრელიანი ქვის ცულები: საჩხერე (ცარცის გორა-ნაკლული სახით, ქორეთი-ცულჩაქუჩა, დაბრტყელებულ¬ყუიანი), შიდა ქართლი (თერგვანი-შემთხვევითი მონაპოვარი, ოჟორა), ზღუდერი (ცხინვალთან), ხიზანაანთგორა (C ფენა)[4], ნახჩევანის ქიულ-თეფე (II ფენა), შენგავითის ნამოსახლარი (რომბისებური ფორმის), სოფ. რუსთავისა და ბორჯომის მუზეუმში დაცული შემთხვევით ნაპოვნი ცულები [კიკვიძე ი. 1972: 21; ორჯონიკიძე ალ. 1983: 26; ტაბ. 346; XV-9; ორჯონიკიძე ალ. 2004: 67-68; ჯაფარიძე ოთ. 1961: 120; 287; ჯაფარიძე ოთ. და სხვ. 1986: 40; ტაბ. VII; ჯაფარიძე ოთ. 1998: 74-75; ჯიბლაძე ლ. 1992; ჯიბლაძე ლ. 2007: 39-41]. აღნიშნული ნიმუშები ტიპოლოგიურად განსხვავდებიან გომის ცულისაგან,

[4] ხიზანაანთ გორაზე იხსენიებენ სამი ყუახვრელიანი ქვის ცულის აღმოჩენას [ორჯონიკიძე ალ. 2004:67]. ერთი ყუახვრელიანი ქვის ცული გორის მუზეუმშია დაცული.მეორე ყუახვრელიანი ქვის ცული მომდინარეობს მოსკოვის ისტორიული მუზეუმიდან [Мунчаев Р., 1961: 59; ორჯონიკიძე ალ. 2004:67-68].

რომელთაგან ზოგიერთი (ქორეთი, ბორჯომისა და ოჟორას ცულები) ფართო ტანით, ვიწრო დაფერდებული ყუითა და სხვა ელემენტების მიხედვით უფრო უახლოვდებიან სომხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ, მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში შემავალ ქვის ცულებს (კეტი, აიგესტენე, გნიშეკა, ეჩმიაძინი, პეზმაშენი, განდლიჟა, შენგავითი [Баибуртян Е. 1937: 208; სურ. 1,2; Петросян Л. 1989: 20-21; Хазандян Э. 1967: 106; ტაბ. VIII, IX]. ისინი გარკვეულ მსგავსებასთან ერთად (სამკუთხა ფორმა, მომრგვალებული ყუა და ა.შ.) რამდენადმე განსხვავდებიან კოლხეთის ამ რიგის იარაღებისაგან. ეს უკანასკნელი კი ფართო ყუით, თანაბრად განვითარებული სწორი ტანით უფრო მიილტვის ჩრდილო კავკასიის, კატაკომბურ, ფატიანოვოს, ადრე და შუაბრინჯაოს ხანის საბრძოლო ქვის ცულების კულტურის წრეში შემავალ ამ რიგის იარაღების ზოგიერთი სახეობისკენ [Крупнов Е. 1951: 9, 29; Попова Т. 1955: 24, სურ. 39; Марковин В. 1960: 74,8,9; Мунчаев Р. 1961: 55-56].

კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულსა და შუაბრინჯაოს ხანაში, განსაკუთრებით მდ. ენგურის ქვემო წელის აუზის ნამოსა-ხლარებზე, საკმაოდ მრავლადაა გამოვლენილი ყუახვრელიანი ქვის ცულები. მათთვის დამახასიათებელია ფართო ზურგი, მომრგვალებული ყუა და სწორი, სოლისებური მოყვანილობის ტანი, რომელიც პირისკენ თანდათანობით ფართოვდება. ტანის ზედა ნაწილში დატანილი აქვთ 2X2 და 3X3 სმ. დიამეტრის მქონე ცილინდრული ფორმის ხვრელი, რომელიც ტექნოლოგიურად როგორც ცალმხრივი, ასევე ორმხრივი ხეხვით მაღალ დონეზეა შესრულებული. ქვის ცულების სიგრძე მერყეობს 12-13 სმ. შორის [ჯიბლაძე ლ. 2007: 40].

ისინი წარმოდგენილია შემდეგ პუნქტებში: ფიჩორის ცენტრალური ბორცვი (V, VI ფენა), ფიჩორის N6 გუმუბა, ერგეტა, ანაკლია I (II ფენა) და განმუხური (დაახლოებით 10 ერთეული) [Куфтин Б. 1950: ტაბ. 64-17; ჯიბლაძე ლ. 1992; ჯიბლაძე ლ. 2007: 9-40; პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2004: ტაბ. XXIX-9]. კარგად ზედაპირნაპრიალები, მრგვალხვრელიანი ქვის ცული იშვიათად გვხვდება ისპანში, საელიაოს კურზიას ადრებრინჯაოს ხანის ფენაში, საკირე გორაზე და ჭოლიპაში [გრიგოლია გ. და სხვ. 1973: 21, 92; მურვანიძე ბ. 2001: 37]. ჩვენს მიერ მოხსენიებული ცულებისგან რამდენადმე განსხვავდება ნოსირის ნამოსახლარის I კულტურულ ფენაში გამოვლენილი ცულ-

წერაქვი [გოგაძე ელ. 1982: 103, ტაბ. 46[2506]; ჯიბლაძე ლ. 2007: 39]. ამ ნიმუშს ფორმის მიხედვით ძალზე უახლოვდება ოდიშის ნეოლითურ სადგომზე აღმოჩენილი სატარე ხვრელთან გადატეხილი ქვის ცული. ეს ნივთი (ცულ-წერაქვა?) ზედაპირულადაა მოძიებული და უნდა ეკუთვნოდეს ადრებრინჯაოს ხანას [ნებიერიძე ლ. 1975: 55; ტაბ. XXXIV-2,3]. აღსანიშავია, რომ კოლხეთის დაბლობის (ამ შემთხვევაში ძირითადად მხედველობაში გვაქვს ფიჩორის ნივთები) ქვის ცულები ორი სახის მასალისგანაა დამზადებული. მათი ნაწილი ზედაპირნაპრიალებია და დამზადებულია გრანიტის ქვისაგან. ისინი ტოვებენ იმპორტული ნივთის შთაბეჭდილებას. უფრო მეტად კი დასტურდება შედარებით რბილი ჯიშის ქვისაგან ნამზადი ნიმუშები, რომელთაც ზედაპირ-ნაპრიალობა არ ახასიათებთ [ჯიბლაძე ლ. 2007: 40]. ცულების უმრავლესობის ადგილზევე დამზადებას მოწმობს ფიჩორის ცენტრალურ ბორცვზე დადასტურებული რამდენიმე მზა ნაწარმი, რომელთაც გარეგნულად დასრულებული ფორმა გააჩნია, ხოლო ყუა ბოლომდე არ არის გახვრეტილი [5].

ცილინდრულნახვრეტიანი სოლისებური ფორმის ქვის ცულები იშვიათადაა გამოვლენილი კოლხეთის მთისწინა და მთიან ზოლში გუმისთის ნამოსახლარზე და ლ. სოლოვიოვის მიერ იქვე გათხრილ N 4 ყორღანში [Бжания В. 1969: 58; Воронов Ю. 1969: 31; ტაბ. XIII-15,16,21; Соловьев Л. 1958: 153].

ჩვენთვის ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით მდ. ენგურის ქვემო წელის აუზისთვის ცნობილი ქვის ცულები ხშირად გვხვდება ქ. სოხუმსა და ქ. სოჭს შუა მდებარე ტერიტორიაზე. აქ გამოვლენილ ნიმუშებს (ფსოუ - 1, ფსოუ - 3, ახალი ათონი და სხვ.) მსგავსებასთან ერთად (სოლისებური, სამკუთხა ტანი, მომრგვალებული ყუა)

[5] საბრძოლო ქვის ცულების მატარებელი კულტურების ხალხთა მიგრაციული პროცესები მოიცავდა უზარმაზარ ტერიტორიას, თითქმის მთელ ევროპას. დაწყებული, ყოფილი სსრკ ევროპული ზოლიდან-მდ. ვოლგიდან, მდ. რაინამდე, ფინეთიდან სამხრეთ სკანდინავია-შვეიცარიამდე [Монгаит А. 1973: 280]. ეს კულტურა წარმოადგენდა მრავალ კულტურათა გაერთიანებას: ფატიანოვო, შუადნეპრული, ბალანოვო, პოლტავური, ძველორმოიანი-კატაკომბური, ზონარისებური ორნამენტიანი კერამიკის მატარებელი კულტურები, საქსო-ტიურინგიის, ზლოტის და მისი მონათესავე კულტურები შუა ევროპაში და ა.შ. საბრძოლო ქვის მატარებელი კულტურების დასაწყისად თვლიან 2200-2100 წწ., რომელიც გრძელდება დაახლოებით 1900-1800 წწ-მდე [Брюсов А. 1961: 23; Монгаит А. 1973:280-282]. ამ კულტურებისათვის დამახასიათებელია ყორღანული და ბრტყელი სამარხები, ძირითადად კი საბრძოლო დაწახნაგებული ყუახვრელიანი ქვის ცულები. ზოგჯერ სამარხებში ატანდნენ ხვრელიან ქვის ცულებს [Брюсов А. 1961: 15]. საბრძოლო ქვის მატარებელ კულტურებს ქონდათ ბევრი საერთო ნიშანი. ბევრი მკვლევარი თვლის, რომ ამ კულტურის მატარებელი უნდა ყოფილიყვნენ ინდოევროპული მოდგმის ხალხი

გააჩნია მცირედი განმასხვავებელი ნიშნებიც [6]. მხედველობაში გვაქვს ის, რომ მათ უკანა მხარეს მიუყვება მკვეთრად გამოყვანილი ვერტიკალური წახნაგი [Воронов Ю. 1979: სურ. 1712,14,18]. ნაწილი კი ზუსტად იმეორებს კოლხეთის დაბლობის (მდ. ენგურის ქვემო წელის აუზი) ქვის ცულების მოყვანილობას.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, მდ. ენგურის ქვემო წელის აუზის ნამოსახლარებზე შუაბრინჯაოს ხანაში დასაშვებად მიგვაჩნია ჩრდილოეთიდან ზედაპირნაპრიალები, გრანიტისგან დამზადებული ქვის ცულების შემოღწევა. მხედველობაში გვაქვს კატაკომბურ და ჩრდილოეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურებიდან ცალკეული ნიმუშების იმპორტირება, შორეული იმპულსები (გაცვლა-გამოცვლა, ტექნოლოგიური გავლენები). ამგვარი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას გვაძლევს რეგიონული სიახლოვე, ქვის ცულების ფორმათა იდენტურობა, ზედაპირნაპრიალობა, კოლხეთის დაბლობისათვის უცხო, გრანიტის ქვისგან ცულების დამზადება, ქრონოლოგიური დამთხვევები და სხვა ფაქტორები.

როგორც ცნობილია, ყუახვრელიანი ქვის ცულები ძირითადად დამახასიათებელია ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონისათვის. იგი აქ ჩნდება ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულს და ძირითადად ვრცელდება ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში [Крупнов Е. 1951: 9-29; Мунчаев Р. 1961: 55-56][7]. თუმცა მათი ზოგიერთი სახეობა თავს იჩენს გვიანბრინჯაოს ხანაშიც (ძვ.წ. XV-XII სს-ები).

ვ. მარკოვინს ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე ადრეული ყუახვრელიანი ქვის ცულები შეტანილი აქვს ამ რეგიონის ბრინჯაოს ხანის კულტურის განვითარების ქრონოლოგიური ცხრილის I ეტაპზე (ძვ.წ. 2000-1700 წლები) [Марковин В. 1960: სურ. 74-7,8]. უფრო მოგვიანო ხანაში (II-III ეტაპზე) აქ ვრცელდება ჩაქუჩისებური ფორმის ყუის

---

[6] არქეოლოგმა მ. ბარამიძემ ჩვენთან პირად საუბარში აღნიშნა, რომ ცილინდრულნახვრეტიანი ქვის ცულები დაცულია ახალი ათონის ისტორიულ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომლებიც ტიპოლოგიურად უახლოვდებიან მდ. ენგურის ქვემო წელის აუზში გამოვლენილ ამ რიგის იარაღებს.

[7] საინტერესოა, რომ ყაზბეგში ადგილ გერგეტაში შემთხვევით არის აღმოჩენილი შავი ჯიშის ქვისაგან (ნახევრად ძვირფასი ქვა-სერპანტინი) დამზადებული ტიპური ჩრდილო კავკასიური ყუახვრელიანი ცული. ასევე იხსენიებენ გერგეტის მსგავსი ყუახვრელიანი ქვის ცულის აღმოჩენას სოფ. დირბში (ქარელის რ-ნი) [Цитланадзе А. 2004:137]. ჩრდილო კავკასიური ტიპის ყუახვრელიანი ქვის ცული, რომელსაც კვერთხისთავს უწოდებენ, დაცულია ცაგერის ისტორიულ მუზეუმში [აღაპიშვილი თ. 2014:31-32].

მქონე გრძელტანიანი, წელში მორკალური ქვის ცულები (ზემო რუხტა, კუმბულთა) [Марковин В. 1960: სურ. 7,20,22,23]. როგორც ვხედავთ, გომისა და აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული ყორღანული კულტურისათვის (მარტყოფი, ტყემლარა) დამახასიათებელი ხვრელიანი ქვის ცულების მსგავსი არტეფაქტები ჩრდილოეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურაში არ გვხვდება. მათი ზოგიერთი სახეობა უფრო ახლოს დგას კოლხეთის დაბლობის სოლისებური და სამკუთხა ფორმის ტანიან ქვის ცულებთან.

ადრეკატაკომბურ, ბალანოვოს, ფატიანოვოს, აბაშევსკის, გვიანორმოიან და სხვა საბრძოლო ქვის ცულების მატარებელ კულტურებში ამ რიგის იარაღები ჩნდება ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე [Ошибкина 1987: 181; рис. 25; Брюсов А., Зимина М. 1966: 37, 47; Кривцова-Гракова О. 1947: 22-23; Крупнов Е. 1957: სურ. 194]. აღნიშნულ რეგიონებში შედარებით მოგვიანო პერიოდში ქვის ცულებს ჩაქუჩისებური ფორმის ყუა უყალიბდებათ. შუა და გვიანბრინჯაოს საწყისი ეტაპის ზედა ყუბანისპირეთისა და ყაბარდოს ამ სახის იარაღები ბრინჯაოს ყუადაქანებული ცულის ფორმას მოგვაგონებს. ისინი თავსდებიან ვ. მარკოვინის მიერ გამოყოფილი ჩრდილოეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურის განვითარების III-II ეტაპის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში (ძვ.წ. 1700-1500 და 1500-1000 წწ.).

სხვადასხვა მკვლევარმა სპეციალური კვლევა-ძიება მიუძღვნა ცილინდრულ-ნახვრეტიანი ქვის ცულების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას. ზოგმა სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად განიხილა ეს პრობლემა [Брюсов А. 1961: 14-33; Брюсов А, Зимина М. 1966; Gimbutas M. 1956: 152; Gimbutas M. 1965: 246-247 და სხვ.] [8]. მათ შორის გვინდა გამოვყოთ ა. ბრიუსოვისა და მ. ზიმინას ერთობლივი ნაშრომი. ამ მკვლევარებმა აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში გავრცელებულ ცილინდრულხვრელიან ქვის ცულებში ცხრა ტიპი[9]

[8] არსებობს ყუახვრელიანი ქვის ცულების არაერთი კლასიფიკაცია: მ. მალმერი, ა. ოლდენბერგი, ი. გლობი, მ. კრაინოვა და ა.შ. [Брюсов А., Зимина М. 1966: 73, 75; ტაბ. 10-ა; 11-1; 12-I; 18].

[9] ესენია სამკუთხა, სოლისებური, ბარისებური, ჩაქუჩისებური, კვერთხისებური, ყუიანი, ჯვრისებური, ფილთაქვისმაგვარი და რომბისებური ფორმის ყუახვრელიანი ქვის ცულები. აღსანიშნავია, რომ ამ კლასიფიკაციაში არ გვხვდება ადრეული ყორღანული კულტურისათვის დამახასიათებელი ყუახვრელიანი ქვის ცულები. ზოგჯერ კი წარმოდგენილია გომის ტიპის ქვის ცულები. მოხსენიებული მკვლევარები კოლხეთის დაბლობზე ცნობილ სოლისებურ და სამკუთხატანიან ყუახვრელიან ქვის

როგორც აღინიშნა, ყუახვრელიანი ქვის ცულები იშვიათად დასტურდება მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში შემავალ ძეგლებზე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მტკვარ-არაქსისა (ვგულისხმობთ აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიას) და ადრეული ყორღანების კულტურებში (მარტყოფი, სამგორი) სხვა ელემენტებთან ერთად ამ სახის იარაღების შემოღწევა ხდება ჩრდილოეთ კავკასიიდან და სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან [ჯაფარიძე ოთ. და სხვ. 1986: 39-40].

გ. ჩაილდის აზრით, ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში, სადაც ყუახვრელიანი ქვის ცულები დასტურდება, ბრინჯაოს ხანის კულტურა ევროპულ ხასიათს ატარებს. იქნებ დასაშვები იყოს აქ ამგვარი ნივთების ბალკანეთიდან მოხვედრა, კერძოდ, დუნაის აუზის კულტურებიდან. თუმცა რამდენადმე განსხვავებული ყუახვრელიანი ქვის ცულები ცნობილია აღმოსავლეთ ანატოლიაში-კორუთეფეს ადრებრინჯაოს ხანის II ფენაში, ალიშარისა და თეფე-გავრას ნამოსახლარებზე, ასევე ტროაში. როგორც ვარაუდობენ, ევროპისგან განსხვავებით წინა აზიაში ყუახვრელიანი ქვის ცულები მაინდამაინც არ გავრცელებულა [Куфтин Б. 1944: 116; ორჯონიკიძე ალ. 2004: 68]. საერთოდ გ. ჩაილდს დასავლეთ ანატოლიის პლატო მიაჩნდა ერთგვარ დამაკავშირებელ ხიდად ევროპულ და მესოპოტამიურ ცივილიზაციებს შორის [Чаилд Г. 1952: 65-66]. მისივე აღნიშვნით, ტროა II, თერმი I და სხვა ძეგლების ხვრელიანი ქვის ცულების ფორმები უნდა მიგვითითებდეს მათ ადგილობრივ წარმომავლობაზე.

ყუახვრელიანი ქვის ცულების სხვადასხვა ტიპი, მათ შორის სოლისებური და სამკუთხატანიანი, ევროპაში (ფინეთი, შვეცია, დანია, გერმანია, შვეიცარია და სხვ.) დასტურდება ძვ.წ. III ათასწლეულში და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში. მას ვხვდებით ლენდელის (უნგრეთი, 2600-2100 წწ.), უნეტიცკის, საქსო-ტიურენგიის [2200-2100, 1900-1800 წწ.), ზლოტის (2200-1700), ზონარისებური ორნამენტიანი კერამიკის (ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრული) და სხვა საბრძოლო ქვის ცულების მატარებელ კულტურებში [Монгаит А. 1973: 280-283; Gimbutas M. 1965: 274-389].

საბრძოლო ქვის ცულების მატარებელ კულტურებში (ზონარისებური კულტურა) უფრო იშვიათად დასტურდება ვიწროტანიანი ორპირა ხვრელიანი ქვის ცულები, რომლებიც

ცულებს მიიჩნევენ საბრძოლო ქვის ცულების კულტურებში ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ და გავრცელებულ ფორმად [Брюсов А., Зимина М. 1966: 14-27].

ფორმის მიხედვით ახლოს დგას გომის ამ რიგის ქვის არტეფაქტთან. როგორც ჩანს, ევროპაში სხვა რეგიონებთან შედარებით ყუახვრელიანი ქვის ცულების დამზადების ტრადიციას უფრო ადრე ეყრება საფუძველი (ძვ.წ. V-IV ათასწლეულები, ევროპული ადრენეოლითიდან II-შუანეოლითზე გარდამავალი საფეხური – მიხელბერსკის, კარანოვოსა და სხვა კულტურები) [Монгаит А. 1973: 229]. იქნებ ეს რეგიონი წარმოადგენდა ყუახვრელიანი ქვის ცულების წარმომავლობის პირველ წყაროს.

ამრიგად, გომის ორპირა ხვრელიანი ქვის ცული მიგვაჩნია საბრძოლო ქვის ცულების მატარებელი კულტურების წრეში შემავალ არტეფაქტად, რომლის მთავარი დანიშნულება საბრძოლო ფუნქცია უნდა ყოფილიყო[10]. იგი ფორმის მიხედვით ახლოს დგას აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ძვ.წ. III ათასწლეულში ცნობილ ზოგიერთ ყუახვრელიან ქვის ცულთან (ზონარისებური ორნამენტიანი კერამიკის მატარებელი საბრძოლო ქვის ცულების კულტურა) [Монгаит А. 1973: 282, 284; Европа без границ. Четвертое-первое тысячелетиядо н.э. Каталог 2013: 342, 343, 362-363, სურ. 33.2; 14. 1; 42. 1; 48.1]; ბრიუსოვასა და ზიმინას მიხედვით V ტიპთან (რომბისებური ფორმის), მალმერის კლასიფიკაციის მიხედვით E-1 და გლობის I-1 ტიპთან [Брюсов А. Зимина М. 1966: 73,75, ტაბ. 5,10-ა,11,12-I,18].

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა საბრძოლო ქვის ცულების მატარებელი კულტურების გავრცელების ცენტრების შესახებ [Чаилд 1952: 11-12; Брюсов А., Зимина М. 1966: 5, 10, 23; Брюсов А. 1981: 15; Монгаит А. 1973: 279; Gimbutas M. 1956: 152]. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ თავდაპირველად სადაც დაიწყო ამ კულტურის მატარებელი ტომების მოძრაობა, ეს იყო ჩრდილო გერმანია, სკანდინავია, ანდა პოლონეთი და სამხრეთ რუსეთის სტეპები.

---

[10] საქართველოს ტერიტორიაზე ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში ყუახვრელიანი ქვის ცულების კლასიფიკაცია ასე გვესახება: 1. ვიწროყუიანი და სოლისებურტანიანი ცული; 2. ცალკე ტიპად უნდა ჩაითვალოს ქვის ცული, რომელსაც ყუის ტანისაგან გამოყოფა ახასიათებს. ჩვენი აზრით, ფორმის მიხედვით ეს ნიმუში ახლოს დგას საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ცნობილ სპილენძისა და ბრინჯაოს ყუადაქანებულ ცულებთან, რომლებიც მომდინარეობს ნოვოსვობოდნაიასა და კოსტრომსკიას ყორღანებიდან; 3. სოლისებურტანიანი ქვის ცულები, რომელთაც გააჩნია სწორი თანაბრად განვითარებული ტანი და ფართო მომრგვალებული ყუა; 4. რომბული ფორმის ქვის ცული. პირველი და მეორე ტიპი გვხვდება მტკვარ-არაქსისა და ადრეული ყორღანების კულტურაში (მარტყოფისა N1 და ტყემლარას N4 ყორღანები); მესამე და მეოთხე ტიპი გავრცელებულია კოლხეთის დაბლობზე და მის მთისწინა ზოლში [ჯიბლაძე ლ. 1992: 1-28, ტაბ. IX; ჯიბლაძე ლ. 2007: 39-45]. ამას უნდა დაემატოს გომის სწორტანიანი, ორპირა ყუახვრელიანი ქვის ცული.

ვფიქრობთ, ხაშურის ორპირა ხვრელიანი ქვის ცულის წარმომავლობა დიდი ალბათობით უნდა ვივარაუდოთ ანატოლიის ტერიტორიდან. ეს ცული შესაძლოა მოხვდა მტკვრის ხეობის გავლით საქართველოს ტერიტორიაზე.

გომის ხვრელიანი ქვის ცული ყურადღებას იპყრობს აღმოჩენის ვითარების გამოც. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ეს ნივთი გამოვლინდა მდ. მტკვრის კალაპოტში, ქვიშის კარიერში, ინერტული ქვიშნარ ფენაში. შემთხვევით მოხვედრასთან ერთად არ უნდა გამოვრიცხოთ მისი წყალში აღმოჩენა ვოტიური დანიშნულების მიხედვით, როდესაც მდინარეს მიზნობრივად სწირავდნენ ქვისა და ბრინჯაოს ნივთებს.

ლითონის ნივთების მიზნობრივად წყალში გადაყრის ტრადიცია გავრცელებული იყო ევროპაში, სადაც ძალზე ხშირია საბრძოლო იარაღების აღმოჩენის ფაქტები ტბებში, წყალსაცავებსა და განსაკუთრებით მდინარეებში. ისინი ერთხმადაა აღიარებული ვოტივური დანიშნულების ნივთებად [ლორთქიფანიძე ოთ. 2001: 183; Хансен Е. 2013: 284]. უკანასკნელ პერიოდში ასეთი ფაქტები გამოვლინდა სვანეთში (მდ. ენგური), სამეგრელოსა (მდ. ხობისწყალში) და ზემო იმერეთში მდ. ძირულაში [კვიციანი ზ., ჯიბლაძე ლ. 2015; ჯიბლაძე ლ., კვირკვაია რ. 2019: 72-77]. საინტერესოა, რომ ევროპაში ნეოლითის ეპოქიდან ჩნდება მდინარეებში ქვის ცულების მიზნობრივად ჩაძირვის წესი [Хансен Е. 2013: 288]. გაგვიჩნდა მოსაზრება რომ, მდ. მტკვარში გომის ცულის სახით, ასეთი წესის გამოვლენასთან ხომ არ გვაქვს საქმე. ამ ეტაპზე ამ მოსაზრების შესამაგრებლად რაიმე შედარებით მყარი არგუმენტი არ გაგვაჩნია და იძულებული ვართ მხოლოდ ჰიპოტეზით შემოვიფარგლოთ. თუმცა ამასთან ერთად არ უნდა გამოვრიცხოთ ვარაუდი, რომ გომის ცული შესაძლოა მდ. მტკვარში აღმოჩნდა შემთხვევით, კულტურული ფენების ჩამორეცხვის შედეგად.

ბიბლიოგრაფია:

1. აღაპიშვილი თ., ცაგერის ისტორიული მუზეუმის კოლექცია (პალეოლითი, ნეოლითი, ქალკოლითი), ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები I, ცაგერის ისტორიული მუზეუმი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი. თბილისი, 2014. გვ. 30-32.

2. კვიციანი ზ., ჯიბლაძე ლ. არქეოლოგიური აღმოჩენები სვანეთში (ლითონის არტეფაქტები), ,,არტანუჯი“. თბილისი, 2015.

3. კიკვიძე ი., ხიზანაანთ გორას ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, თბილისი, მეცნიერება, 1972.

4. ლორთქიფანიძე ოთ., განძები კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა). კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. ძიებანი, დამატება N6, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბილისი, 2001. გვ. 178-194.

4. მურვანიძე ბ., რამდენიმე ექსპონატი ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან, კრებული გურია III, მეცნიერება, თბილისი, 2001, გვ. 73-77.

5. ნებიერიძე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, ,,მეცნიერება“. თბილისი, 1975.

6. ორჯონიკიძე ალ., სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში, ,,მეცნიერება“. თბილისი, 1983.

7. ორჯონიკიძე ა., მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, არქეოლოგიის კვლევის ცენტრი, 2004.

8. შატბერაშვილი ზ., შატბერაშვილი ვ., ნიკოლაიშვილი ვ. ტყემლარას ბრინჯაოს ხანის სამარხები. ბაქო-თბილისი–ჯეიჰანი. სამხრეთ კავკასიის მილსადენი და 8. არქეოლოგია საქართველოში, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისი, 2010, გვ. 185-206.

9. ჯაფარიძე ოთ., ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1961.

10. ჯაფარიძე ოთ., ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვით მესამე ათასწლეულში, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.

11. ჯაფარიძე ოთ., ავალიშვილი გ., წერეთელი ა. კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1980-1981 წლების მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, მეცნიერება, თბილისი, 1986. გვ. 29-35.

12. ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ყუახვრელიანი ქვის ცულების წარმომავლობის საკითხისათვის, პრეპრინტი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბილისი, 1992.

13. ჯიბლაძე ლ., ქვის იარაღების ერთი ჯგუფი ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის (აფხაზეთის) ტერიტორიიდან. საისტორიო ძიებანი III, თბილისის სახელმწიფო უნივერტიტეტი, თბილისი, 2000, გვ. 181-184.

14. ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბილისი, ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტი, 2007.

15. ჯიბლაძე ლ., კვირკვაია რ. კოლხეთის მდინარეებში აღმოჩენილი არეფაქტები-შემთხვევითობა თუ მსხვერპშეწირვის რიტუალის გამოვლინება? არქეოსპექტრი, 2, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისი, 2019. გვ. 72-77.

16. Баибуртян Е., Новые находки каменного века в Армении. Советская археология, №3, Издательство Академии наук СССР, Москва, 1937. стр. 206-208.

17. Бжания В., Результаты обследования Гумистинского поселения в 1964 г. – Краткие сообщения Института археологии АН СССР, №116, Издательство Академии наук СССР, Москва, 1969. стр. 58-62.

18. Брюсов А., Зимина М. Каменные сверленные боевые топоры на территории Европейской части СССР. Свод археологических иссточников,выпуск, В 4-4, „Наука“, Москва, 1966.

19. Брюсов А., Об экспансии культур с боевыми топорами в конце III тысячелетия до н.э. Советская археология, №3, Издательство Академии наук СССР, Москва-Ленинград, 1961. стр. 14-33.

20. Европа без границ. Четвертое- первое тысячелетиядо н. э. Каталог 2013. Сант-Петербург, стр. 279-289 (научный редакор каталога Ю. Пиотровскый)

21. Воронов Ю., Древности Сочи и его окрестностей, Краснодар, Краснодарское книжное издательство, 1979.

22. Крупнов Е., Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, Материалы и исследования по археологии СССР, № 23, Издательство Академии наук СССР, Москва-Ленинград, 1951. стр. 17-74.

23. Крупнов Е., История и культуры Кабарды, Москва, Издательство Академии наук СССР, 1957.

24. Крупнов Е., Древняя история Северного Кавказа, Москва, Издательство Академии наук СССР, 1960.

25. Куфтин Б., К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии. XII, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე-B, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, Тбилиси, 1944, стр. 291-416.

26. Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды, том II, Тбилиси,издательство техника и шрома, 1950.

27. Марковин В., Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы (II тыс. до н.э.), Материалы и исследования по археологии СССР, № 93, Москва, Издательство Академии Наук СССР, 1960.

28. Монгаит А., Археология Западной Европы. Каменный век. Москва, „Наука“, 1973.

29. Мунчаев Р., Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа. Материалы и исследования по археологии СССР, № 100, Москва, Издательство Академии наук СССР, 1961.

30. Ошибкина С., Энеолит и бронзовый век Севера Европейской части СССР, Археология СССР, „Наука“, Москва, 1987. стр. 147-246.

31. Кривцова-Гракова О., Хронология памятников фатиановской культуры, Краткие сообшения Института истории материальной культуры АН СССР, вып. XVI, Издательство Академии наук СССР, Москва-Ленинград, 1947. стр. 22-33

32. Петросян Л., Раскопки памятников Кети и Воскоеаска (III-I тыс. до н.э.), Ереван, Издательство АН Армянской ССР, 1989.

33. Попова Т., Племена Катакомбной культуры. Труды Государственный исторический музей, Москва, Издательство Культурно-просветительной литературы, 1955.

34. Соловьев Л., Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы. Стоянка воронцовской пещеры. Труды Абхазского ин-та языка, литературы и истории, т. XXIX, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლება, Сухуми, 1958, стр. 115-135.

35. Хазандян Э., Культура Армянского нагорья в III тыс. до н.э., Ереван, Издательство АН Армянской ССР, 1967.

36. Хансен Е,. Клады в Европе.Бронзовый век. Европа без границ.Четвертое-первое тысячелетия до н.э. Сант-Петербург, ,,Чистый лист“, 2013, стр. 279-289 (научный редактор каталога Ю. Пиоровский).

37. Цитланадзе Л., Каменный топор из Гергети. Археология, этнология, фольклористика Кавказа. Международная научная конференция, ,,ნეკერი“ , Тбилиси, 2004 стр. 137.

38. Чаилд Г., У истоков Европейской цивилизации, Москва, ,,Издательство иностраннои литературы“, 1952.

39. Gimbutas M., The prehistory of Eastern Europe. vol. I, Cambridge, Massachusets, 1956.

40. Gimbutas M., Bronze Age Culture in Central and Eastern Europe, The Haygue, 1965.

ტაბ.1

ტაბ. I. ქვის ორპირა ცულის აღმოჩენის ადგილი. ფოტო ამოღებულია გუგლის საძიებო სისტემიდან.



ტაბ. II - 1,2- გომის ორპირა ყუახვრელიანი ქვის ცული.

გურამ ყიფიანი

ეცერის ელინისტური სიმაგრე და სვანეთის მიკრო-ურბანული სისტემები

ამ ტერმინში - ,,მიკრო-ურბანული სისტემები“ სვანურ სიმაგრეებს ვგულისხმობ. წერილის მიზანია სვანურ გამაგრებულ დასახლებებზე ახალი თვალსაზრისი გაჩნდეს და თუ იგი ამის ღირსად გამოდგება, შემდგომი განვითარება ჰპოვოს.

რაც შეეხება ტერმინს ,,მიკრო-ურბანული სისტემები“-ს სიტყვათა კუნსტრუქციას აქ ურბანულობა რამდენადმე პირობითად შეიძლება მივიღოთ, თუნდაც გამაგრებულ დასახლებათა მცირე ფართობების გათვალისწინებით. სვანეთის ურთულესი რელიეფის გამო ცხადია აქ ვერ შეიქმნებოდა ისეთი საქალაქო სივრცე, რომლის თვალთახედვის არეში ვრცელი ტერიტორია მოხვდებოდა და წარმოიშობოდა მასზე დაქვემდებარებული ,,ქვე მიწა“, ანუ ქვეყანა. ანუ ვერ შეიქმნებოდა მაკრო-ურბანული სამყარო. ამასთანავე, თუ ჩვენ ქალაქს მივიჩნევთ ისეთ პუნქტად და ცენტრად გარკვეული ტერიტორიისათვის საიდანაც გადანაწილების პროცესები მიმდინარეობს (სასაქონლო, ადმინისტრაციული, რელიგიური წარმოდგენების, სამხედრო თვალთახედვების და ა. შ.), მაშინ გამაგრებული ციხე-სახლებიც ქალაქებად უნდა მივიჩნიოთ, საიდანაც თემების ადმინისტრირება ხდება, ის უთუოდ სასაქონლო გადანაწილების პუნქტებსაც წარმოადგენდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ,,დასახლებანი“ უგამონაკლისოდ შეიცავენ საფორთიფიკაციო სისტემებს ანუ ,,urb”-ს. აქედანვე გვაქვს თანამედროვე ტერმინებიც: ,,ურბანიზაცია“, ურბანული განვითარება და მრ. სხვა. საქმე ისაა, რომ ანტიკური სამყარო (არც ბერძნული და არც რომაული) ქალაქად არ მიიჩნევდა ისეთ დასახლებას, რა დიდ ფართობზეც არ უნდა ყოფილიყო იგი განფენილი, თუ არ შეიცავდა სიმაგრეს - urb-ს.

ძეგლი, რომლის განხილვით უნდა დავიწყო თხრობა, ერთგვარ ამოსავალ პუნქტად მესახება შემდგომი მსჯელობისათვის. იგი ეცერის თემის ტერიტორიაზე სოფ. ფხუტრერთან მდებარეობს, იმ ბორცვზე, რომელიც ,,ეცერის გორის“ სახელითაა ცნობილი და ზღვის დონიდან 1527მ. სიმაღლეზე ძევს.

იგი ცნობილი არქეოლოგის შოთა ჩართოლანის მიერაა გამოვლენილი. მას აღარ დასცალდა ეცერის სიმაგრის სრულფასოვანი შესწავლა და აქ ჩვენ მხოლოდ მის მიერ

გამოქვეყნებული ,,ანგარიშები“-ს მიხედვით შეგვიძლია ძეგლზე ორიოდე სიტყვის თქმა [ჩართოლანი შ. 1996: 146-147]. ჩემი ეს ნარკვევიც მის ნათელ ხსოვნას ეძღვნება. ისე კი ეცერის სიმაგრე ხანგრძლივ კვლევას მოითხოვს.

ბორცვის თხემზე განფენილი სიმაგრის შიდა, კედლებით შემოსაზღვრული ფართობი 1728მ^2-ს მოიცავს. მისი გეგმარებითი სქემა რელიეფსაა დამორჩილებული, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმართულ სამკუთხედს წააგავს. სიმაგრის აღმოსავლეთ კუთხეს სწორკუთხა კოშკი აბოლოვებს.

ამჟამად სიმაგრეზე მხოლოდ ორი კოშკი იკითხება: სასიმაგრო კედლებში ჩართული, უკვე მოხსენებული აღმოსავლეთისა და გეგმით ტრაპეციული მოყვანილობის - სამხრეთისა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სიმაგრე სულ ცოტა ერთ კოშკს კიდევ შეიცავდა დასავლეთითაც, რომლის საშუალებითაც აქედან შედარებით ვრცელი ტერიტორია გაკონტროლდებოდა. ბორცვის ეს მხარე ჩამეწყრილია და სამწუხაროდ მონაცემებს აღარ შეიცავს. მგონია, რომ ერთ მცირე კოშკს კარიბჭის შიდა სივრცეც შეიცავდა.

არქეოლოგიურად გამოვლენილი სიმაგრის ერთადერთი კარის სიგანე მხოლოდ 0.7მ-ია და იგი მის სამხრეთ-აღმოსავლეთის არეშია გამართული.

ბ-ნი შ. ჩართოლანი ძეგლს ზოგადად ელინისტური ხანით ათარიღებდა აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით [ჩართოლანი შ. 1996: 146-147]. ამავე თარიღზე მიანიშნებს სიმაგრის სამშენებლო წყობის ხასიათიც. ძეგლი აზომილია არქიტექტორ მანუჩარ ყარაშვილის მიერ და მის მიერ შესრულებული გეგმა, რომელიც ამ წერილს თან ახლავს დიდად სანდოა [ტაბ. I], თუმც ზოგად გეგმარებით ანაზომში ცალკეული სამშენებლო დეტალები ვერ აისახებოდა.

ამ სასიმაგრო სისტემას არაერთხელ განუცდია ცვლილებები, გადაკეთებებისა თუ დანამატების სახით. ყოველი სამშენებლო ფენის განხილვას ვერ დაიტევს ამ მოკლე ნარკვევის ფორმატი და ამიტომ ჩვენ მხოლოდ გეგმის ძირითად მახასიათებელ ელემენტებს შევეხებით.

კედლების სიგანე, როგორც კურტინებისა[1], ასევე აღმოსავლეთის კოშკისა 1.8მ-ია. ამას გარდა საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ კედლების წყობა აქ ხასიათდება, როგორც ბერძნული ტრადიციული ენპლექტონი[2] [ყიფიანი გ. 2016: 393, N8].

იმ მონაცემთა მიხედვით, რაც გეგმაზე იკითხება, საქმე გვაქვს გამაგრებულ, კურტინებითა და კოშკებით დაცულ ტერიტორიასთან - მცირე ქალაქთან.

ეცერის სასიმაგრო კომპლექსში ყურადღებას უთუოდ იპყრობს კოშკთა განთავსება. ე.ი. მათი ჩართულობა სიმაგრის საერთო სისტემაში. როგორც უკვე აღინიშნა აღმოსავლეთის კოშკი აბოლოებს სამკუთხედის წვერს, მაგრამ იგი კედლების საერთო მასივიდან მხოლოდ ოდნავაა წინგამოზიდული, სამხრეთისა კი მთლიანადაა გამოცალკავებული სიმაგრის შიდა ფართობისაგან.

აქ გარკვეული თავდაცვითი აზროვნება იკითხება: სამხრეთის კოშკი თავისი აღმოსავლეთის მხრით უსწორდება კარიბჭეში შემავალ ,,ბილიკს“, მათ შორის მანძილი 27მ-ია. აღმოსავლეთის კოშკის ფუნქცია სრულიად განსხვავებულია. იგი თავისი სამხრეთის ,,ფრონტით“ სიმაგრის ,,ჯიბეს“ (იგივეა რაც ,,ტომარა“) აკონტროლებს [ტაბ. II, III]. ეს საფორთიფიკაციო ერთეული თავისი ჩამოყალიბებული სახით ძალიან ადრე შეიქმნა. საკმარისია თვალი შევავლოთ გვიანხეთური ქალაქის გეგმას და მის თავდაცვით სისტემას (სენჟირლი - Zincirli)[3] [Adam J-P. 1982: სურ. 3], [ტაბ. IV]. აქ პირველი კარიბჭის შესაძლო გარღვევის შემდგომ მომხდური ექცევა სასიმაგრო კედლებით შემოსაზღვრულ დაუსახლებელ ტერიტორიაზე, ფაქტიურ ალყაში და ხდება მისი განადგურება.

პერგამონის ელინისტური ხანის კარიბჭე კი ნამდვილი ხაფანგია [ტაბ. V], [Adam J-P. 1982: სურ. 3][4]. თუ მომხდური ცენტრალური კარიდან ახერხებს შესვლას ,,ტომარაში“ იგი

---

[1] კურტინა (ფრ. courtine) ფასადის ის ნაწილი, რომელიც ნაგებობის ორ ფრთას შორისაა მოქცეული. მიწაყრილი, რომელიც ორ ბასტიონს შორისაა შექმნილი. საფორთიფიკაციო კედელი, რომელიც თავდაცვით კოშკებს ართიანებს. იგივეა რაც ბერძნული (μεσο-πύργιον) - მესოპირგონი - საბრძოლო კოშკებშორისი შუალედი, კოშკებშორისი კედელი.

[2] ენპლექტონი (ბერძ. εν-πλεκτόν) სიტყვასიტყვით: დაწნული, გადაბმული. ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი კედელთა სტრუქტურა, მათი სამნაწილიანობა - როცა ორ საპირე წყობას შორის სიცარიელე ხასიათდება იმით, რომ საპირე კვადრების მხოლოდ საფასადე მხარეები მუშავდება, ხოლო მათ შორის სივრცე დაუმუშავებელი ქვების, საპირე მხარეთა წყობის შესაბამისადაა ნაგები. ანტიკურ სამყაროში ენპლექტონის სამი ძირითადი სახე გამოიყოფოდა.

[3] ადამი იმოწმებს ანგარიშს: Ausgrabungen in Sendschirli, I-V, Berlin, 1893.

[4] ალექსანდრე კონცეს გათხრები.

უშუალოდ ყრუ კედელს აწყდება. მარცხენა კარიდან შემსვლელი კი პირდაპირ საბრძოლო კოშკისაკენ მიემართება და ა. შ.

ეცერის სიმაგრის ჯიბეც ,,ხაფანგია“. თუ კარი გაარღვია მტერმა და მარჯვნივ გაემართა იგი ვიწრო დერეფნის მეშვეობით პირდაპირ საბრძოლო კოშკს ეჯახება.

პირდაპირი გზა კიდევ ერთ დამატებით ,,ჯიბეში“ თავსდება, მარცხენა მიმართულება კი არავითარ პერსპექტივას არ იძლევა, რადგან ეს ბილიკი ორივე მხრიდან კარგად კონტროლდება [ტაბ. III].

შესადარებლად, თუნდაც მარტოოდენ კოშკთა დაგეგმარების მხრივ, სასიმაგრო სისტემის სტრუქტურაში, ურიგო არ იქნება თუ ელინისტური ხანის სიმაგრეს მოვიხმობთ ლიკიიდან (ამ პუნქტს ბეი მადექი ეწოდება), სადაც დასავლეთის კოშკი კედლების საერთო მასივშია ,,ჩაჭედილი“, ხოლო ჩრდილოეთისა ჩვენი შემთხვევის ანალოგიურად მთლიანადაა გაზიდული კურტინიდან [ტაბ. VI], [Mac Nicoll A., Winikoff T. 1983: 313-317; სურ. 2,4].

ვთვლი, რომ ეცერის სიმაგრე, რომელიც მოკლედ დავახასიათედ, პროტოტიპად ისახება სვანურ ,,ციხე-სახლების“ ტიპოლოგიური მოდელისათვის, ისეთი გამაგრებული ტერიტორიებისათვის, როგორიცაა მაგ. სოფ. ცოგბაშში ჩარკვიანებისა ან ბარში-ს დადეშქელიანების გალავნიანი კომპლექსებისათვის [ქალდანი ა. 1990: 114-115; სურ. 65, 66, 67-69] და მრ. სხვათათვის.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამაგრებული ტერიტორიების კუთხეებში, ან კედლიდან მთლიანად გამოზიდული კოშკები ელინისტურ ხანაში უმეტესად საარტილერიო დანიშნულებისანი იყვნენ, და რომლის სივრცეში, ანუ სართულებში განთავსებული იყო სატყორცნი დანადგარები [Ober J. 1987: 507 და შმდ.; სურ. 30].

ცალკე აღსანიშნავია სვანურ კოშკთა ზედა სტრუქტურები. სულერთია ეს კოშკები ციხე-სახლთა შემადგენელი ელემენტებია, თუ ცალკეული კოშკურა სახლებისა. ეს გეგმით კვადრატულები (ან კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედები გეგმით), მაღლივი ნაგებობები უგამონაკლისოდ ორფერდა სახურავებს შეიცავს.

მაგრამ ეს ყველარი როდია - ყველა სვანური კოშკი გარდა მისი გადახურვის ორფერდიანობისა სრულდება ,,ქუდით“, ანუ თაღოვანი ,,მუზარადით“. ეს მას

განუმეორებელ არქიტექტურულ ხიბლს სძენს და ამავე დროს ანტროპომორფულ იერსაც ანიჭებს. ჩემი სუბიექტური აზრით ყოველი სვანური კოშკი სიმბოლურად აღნიშნავს გვარს და მის წინამძღოლს.

რა თქმა უნდა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთელს კავკასიონზე (იგულისხმება, როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ მთისწინეთი), კოშკურა კულტურის მქონე რეგიონებიდან სვანეთი კოშკთა დაგვირგვინებით ერთადერთი გამონაკლისია. ყველა სხვა შემთხვევაში კვადრატული ფუძეების მქონე კოშკები ოთხფერდა, კვადრატის უმარტივესი ლოგიკიდან გამომდინარე, პირამიდულ გადახურვებს ფლობდა [ტაბ. XVIII], [Марковин В. И. 1980: 206 და შმდ.; ტაბ. XIX; Калдани А. М. 1986: 10 და შმდ.; მაკალათია ს. 1984: 118-119]. კავკასიის მთიანეთში საბურველ-სახურავი ფილაქნებისაგან (იგივე ,,სიპედი“ - ხევსურული სამშენებლო ტერმინი, სახურავის კონსტრუქციის აღმნიშველი) შედგებოდა [მაკალათია ს. 1984: 118-119]. ფილაქნის სამშენებლო-კონსტრუქციული, ჰორიზონტალურ განფენილობათა სისტემა კვადრატული ფუძისათვის სწორედ პირამიდას წარმოშობს.

ფილაქნებითვეა შედგენილი (ზოგჯერ კი ყავარით) სვანურ ორფერდა სახურავთა საბურველები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფილაქვა კრამიტადაა გააზრებული. აქ იგი სწორედ ბრტყელი კრამიტის ფუნქციას ასრულებს ორფერდა გადახურვების დახრილ კალთებზე.

ბერძნულ სამყაროში, სწორედ კრამიტმა, როგორც არქიტექტურული ორდერის ბოლო, დამაგვირგვინებელმა საფეხურმა ჩამოაყალიბა და დაასრულა კონსტრუქციული და ესთეტიკური ერთიანობის პროცესი.

საკმარისია გავიხსენოთ სტრაბონის ცნობა იბერიის ქალაქთა შესახებ. მან სწორედ კრამიტით განსაზღვრა (ანუ ორქანობიანი სახურავებით), იბერიის ქალაქთა სახე - ,,არქიტექტურულად მოწყობილი“, ანუ მათი არაბარბაროსული იერი[5] [ყაუხჩიშვილი თ. 1957: 127; ყიფიანი გ. 1991: 4 და შმდ.].

[5] ,,მართლაც იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაცა და დაბებითაც, ისე რომ იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო [დაწესებულებანი]“.

აღსანიშნავი მგონია კიდევ ერთი რამ, თუმც კომენტარის გარეშე, როგორც ფაქტის კონსტატაცია - სვანური კოშკების გადახურვის კალთის დახრის კუთხე თითქმის ზუსტად იმეორებს ბერძნული თავდაცვითი მაღლივი ნაგებობის კალთების დაქანებას [შდრ. ტაბ. XII და ტაბ. XVII].

ანალოგიურია ბერძნულ და სვანურ კოშკთა სივრცეთა ვერტიკალური ორგანიზაციაც. სართულებშორის ორივე შემთხვევაში ხის საბრძოლო კიბეები გამოიყენებოდა [ტაბ. XIII, XIV].

უთუოდ იმსახურებს ყურადღებას სვანურ ციხე-სახლებში ჩართულ კოშკთა ორიენტაცია და ზედმეტი არ იქნება ალბათ თუ მას ბერძნული ფორთიფიკაციის ზოგიერთ მეთოდთან შევადარებთ.

საქმე ისაა, რომ ანტიკური ხანის, სასიმაგრო სისტემებში ჩართული და ორქანობიანი სახურავებით აღჭურვილი კოშკები უმეტესად საარტილერიო ბატარეებს წარმოადგენდა [Ober J. 1987: 509], საიდანაც ქვის სფერულ ჭურვებისა და პილუმების ტყორცნა ხორციელდებოდა კატაპულტებიდან[6] [Толстого И.И. 1940: 282-286; Шперк В.Ф. 1946: 45]. და ამ ფუნქციის კოშკები გარე, ,,მტრის“ მხარეს სწორედ ფრონტალური მხრით უნდა ყოფილიყვნენ მიმართულნი [ტაბ. XV]. ეს ელემენტარული თავდაცვითი ლოგიკაა - ცხადია, რომ თუ გარე მხრისაკენ კოშკს სახურავის კალთით მიმართავდნენ მტრის მიერ ნატყორცნი ბირთვები (ჭურვები) მთლიანად მოსპობდა საბურველს და გააშიშვლებდა სახურავის ხის კარკასს და შემდეგ არც ცეცხლოვანი ისრები დააყოვნებდნენ.

ზუსტად ასეთივე სურათი გვაქვს ნებისმიერ სვანურ ციხე-სახლში და აქ გამონაკლისი არ არსებობს - კოშკები ,,გარე სამყაროსადმი“ მხოლოდ ფრონტითაა მიმართული.

შესაძლოა ეს ადრე შეძენილი დამოკიდებულებებისა და ტრადიციათა გაზიარების ხარჯზე დამკვიდრდა. დანამდვილებით არ ვიცით ოდესმე ამ სვანურ კოშკებს კატაპულტებით ქვის ჭურვებს საბურველთა ჩამოშლის მიზნით სტყორცნიდნენ თუ არა, მაგრამ სავარაუდო ნამდვილადაა. საქმე ის გახლავთ, რომ ბიზანტია-სპარსეთის ხანგრძლივი ომის დროს (527-562წწ.) სპარსთა სარდალმა, რომელიც საისტორიო წყაროების მიხედვით სამხედრო ტალანტად გამოიყურება, მოულოდნელად შესძლო

[6] ,,კატაპულტა“ (cătăpulta) განიმარტება, როგორც კრებითი სახელი ყველა სახის სატყორცნი დანადგარისა, ისეთისა მაგ. როგორიცაა ონაგრი (ბერძნ. ,,monankon”, ლათ. Onager), ან ბალისტა (,,balista” და სხვ.).

ლეჩხუმისა (სკვიმნია) და სვანეთის დაპყრობა. ამ მოქმედებებით, ანუ მთის რეგიონების პყრობით სპარსთა სარდალმა მერმეროემ, მუდმივი ტაქტიკური უპირატესობა მოიპოვა ბიზანტიელთა და ლაზთა, ბარში განფენილ არმიებზე[7] [გეორგიკა, ტ. 2, 1965: 202].

ლეხტაგის კომპლექსი[8] კლასიკური ნიმუშია საფორთიფიკაციო აზროვნებისა მიკრო სისტემების ფარგლებში [Джандиери М., Лежава Г. 1963]. მისი სამრეთ-დასავლეთი კოშკი განაშენიანების კუთხეს ქმნის და გარე ტერიტორიის ძირითადი მაკონტროლირებელია, ჩრდილოეთის კოშკი ძირითადად შიდა ტერიტორიას ,,მართავს".

კოშკები ერთმანეთისადმი დიაგონალურადაა მიმართული, ამასთანავე ჩრდილოეთის კოშკი, რომელიც ძირითადად შიდა ტერიტორიას მეთვალყურეობს გაცილებით მაღალია კუთხის კოშკთან შედარებით. კოშკები ,,გარე სამყაროსადმი" როგორც წესი ,,ფრონტითაა" მიმართული [ტაბ. VII-XI].

აუცილებლად უნდა შევეხო კიდევ ერთ საყურადღებო დეტალს, იგი სოფ. ჩაჟაშში დააფიქსირა ბ-ნმა გიორგი ლეჟავამ. ესაა კოშკებისა და კურტინის ურთიერთკავშირი [ტაბ. XVI]. საქმე ისაა, რომ ანტიკური ხანის ფორტიფიკაციის თეორეტიკოსები ამ შემთხვევაშიც კონკრეტულ რეკომენდაციას იძლევიან: კოშკი და კურტინა არ უნდა შეიცავდნენ საერთო კონსტრუქციულ ელემენტებს, არ უნდა მოხდეს მათი სამშენებლო-კონსტრუქციული გადაბმულობა [Winter F. 1971: 167]. წინააღმდეგ შემთხვევაში კედლის სარღვევი იარაღების (ტარანი ან კრიო და სხვ.)[9] დარტყმების შედეგად კურტინის რღვევა მექანიკურად იწვევს კოშკის რღვევასაც და პირიქით. ჩაჟაშის კოშკები და კურტინა სწორედ ამ რეკომენდაციის აღსრულებაა.

---

[7] პროკოპი კესარიელი - ,,ასე ჩაიგდეს ხელში სპარსელებმა უქიმერიონის ციხე და მტკიცედ დაეპატრონენ ლაზიკეს. მაგრამ მარტო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სკვიმნიაცა და სვანიაც, და ამრიგად, მოხირისიდან იბერიამდე მთელი მიწაწყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს. მტრის მოგერიება არ შეეძლოთ არც რომაელებსა და არც ლაზებს, რადგან ისინი ვერ ბედავდნენ ვერც მთებიდან ან სიმაგრეებიდან ჩამოსვლას და ვერც რამენაირად მტერთან შებმას.

[8] ამ წერილში მე უხვად ვსარგებლობ არქიტექტორ გიორგი ლეჟავას ბრწყინვალე ანაზომებითა და ჩანახატებით. მის გრაფიკულ ნამუშევრებს ბადალი არ მოეძებნება.

[9] ტარანი - ტარანდოს - ი (ბერძ. ταρανδος - ალბათ ცხენ-ირემი) საალყო ტექნიკის (პოლიორკეტიკის) ერთ-ერთი დანადგარი, კედლების სარღვევი იარაღი. მისი ძირითადი დეტალი დიდი ზომის მორია, რომელიც რკინის ურნალითაა აღჭურვილი. იგი დაკიდებული იყო ბაგირებითა და ჯაჭვებით ჰორიზონტალური მდგომარეობით ვერტიკალურად აღმართულ ძელზე. მექანიკური შესაძლებლობებით იგი ურნალის მხრით მიემართებოდა დიდი ძალით ქვის კედლისაკენ და აღრვევდა მას. კრიო - კრიოსი (ბერძ. κρίός) ვერძი - კედლის სარღვევი დანადგარი.

დადეშკელიანების ციხე-სახლი ბარში-ში, თავისი ლაკონიკური, მხატვრული სისადავითა და გამომსახველობით მე არქიტექტურულ კლასიკად მიმაჩნია [ტაბ. XIX].

მე მგონია, რომ აქ შეიძლება შევწყვიტო თხრობა, დანარჩენი ახალგაზრდა თაობების საქმეა. ვთვლი, რომ ამ ჩემს მოკლე ნარკვევში კვლევით მიმართულებებზე მინიშნებები გავაკეთე.

რაც შეეხება ეცერის სიმაგრეს: დასაწყისში აღვნიშნე, რომ ეს ძეგლი რთულ და ხანგრძლივ კვლევას მოითხოვს და ესეც არქეოლოგთა ახალგაზრდა თაობებმა უნდა შესძლონ, მაგრამ ისინი ამას შესძლებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ძალიან კარგად გაერკვევიან ძველი სამყაროს არქიტექტურაში - არქიტექტურაში, როგორც არქეოლოგიის გრამატიკაში.

ბიბლიოგრაფია:

1. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 2. ტექსტი ქართული თარგამნითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1965.

2. მაკალათაია ს., ხევსურეთი, ,,ნაკადული“. თბილისი, 1984.

3. ქალდანი ა., ცენტრალური კავკასიის მთიელთა კოშკურა კულტურა. თბილისი, 1990.

4. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია. თბილისი, 1957.

5. ყიფიანი გ., ნიშანთა ფუნქციის შეცნობისათვის კოლხურ და იბერიულ კრამიტებზე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1991.

6. ყიფიანი გ., ძველი სამყაროს არქიტექტურული ლექსიკონიდან, ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი ,,კადმოსი“, N8, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2016. გვ. 477-493.

7. ჩართოლანი შ., ძველი სვანეთი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი, 1996.

8. Джандиери М., Лежава Г., Архитектури Сванетии. Тбилиси, 1963.

9. Калдани А.М., К вопросу классификации башенной культуры Чечни, Кавказский этнографический сборник VI. Тбилиси, 1986.

10. Марковин В.И., Памятники зодчества в горной Чечне (по матерялам наследований 1957-1965гг.). Северный Кавквз вдревности и всредние века, ,,Наука”. Москва, 1980.

11. Толстого И.И., Элинистическая техника, Сборник статей под редакцией академика. М-Л., 1940.

12. Шперк В.Ф., Фортификационный словар, Москва, 1946.

13. Adam J-P., L’Architecture Militaire Grecgue. Paris, 1982.

14. Mac Nicoll A., Winikoff T., A Hellenistic Fortress in Lycia - The Isian Tower? American journal of Archaeology. V. 87, N3. 1983.

15. Ober J., Early Artillery Towers: Messenia, Boiotia, Attica, Megarid. America journal of Archaeology. V. 91. N4. 1987.

16. Winter F., Greek Fortifications. London, Toronto, 1971.



I. ეცერის გორა გეგმა (მ. ყარაშვილის ანაზომი)



II. ეცერის გორა, ძირითადი სტრუქტურის გეგმა (მ. ყარაშვილი)



III. ეცერის გორა, აქსონომეტრიული სქემა (გ. ყიფიანი)



IV. ხეთური ქალაქის, სინჟირლის (Zincirli) საფორთიფიკაციო სისტემა (ჟ-პ ადამის მიხედვით)



V. პერგამონის კარიბჭე



VI. ელინისტური ხანის ლიკიური სიმაგრე - ბეი მადექი (ა. მაკ ნიკოლისა და ტ. ვინკოფის მიხედვით)



VII. სვანეთი, სოფ. ლეხტაგი (მ. ჯანდიერისა და გ. ლეჟავას მიხედვით)



VIII. სოფ. ლეხტაგი. კოშკების განთავსების სისტემა (მ. ჯანდიერისა და გ. ლეჟავას მიხედვით)



IX. სოფ. ლეხტაგი. ციხე-ქალაქის საერთო ხედი (გ. ლეჟავას ნახატი)



X. სოფ. ლეხტაგი. ციხე-ქალაქის ფასადი (გ. ლეჟავა)



XI. სოფ. ლეხტაგი. გეგმა (მ. ჯანდიერისა და გ. ლეჟავას მიხედვით)



XII. ლიკიური სიმაგრე - კიდნა, კოშკისა და კურტინების ასახულობა შიდა მხრიდან (ჟ-პ. ადამის მიხედვით)



XIII. კიდნა - კოშკების სივრცეთა ვერტიკალური ორგანიზაცია (ჟ-პ. ადამის მიხედვით)



XIV. სვანური კოშკი. სივრცის ვერტიკალური ორგანიზაცია (გ. ლეჟავა)



XV. კიდნა. საფორთიფიკაციო სისტემის გეგმარება (ჟ-პ. ადამის მიხედვით)



XVI. კოშკები და კურტინა. სვანეთი, სოფ. ჩაჟაში (მ. ჯანდიერისა და გ. ლეჟავას მიხედვით)



XVII. სვანური კოშკების ტიპები (მ. ჯანდიერის და გ. ლეჟავა)



XVIII. კავკასიის მთის რეგიონთა ტიპური კოშკი სიპედის ჰორიზონტალური წყობით მიღებული პირამიდული სახურავით (ვ. მარკოვინის მიხედვით)



XIX. დადიშკელიანების ციხე-სახლი, სოფ. ბარში - ჩრდილო-დასავლეთის ფასადი (გ. ლეჟავა)

ალექსანდრე ნონეშვილი

იბერიაში რომაული სამხედრო ქვედანაყოფების დისლოკაციის შესახებ

(არქეოლოგიური მასალების მიხედვით)

აღმოსავლეთ ქართულ სამეფოში, კავკასიის იბერიაში, რომაული სამხედრო შენაერთების დისლოკაციის შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

მკვლევართა ერთი ნაწილის თანახმად აღმოსავლეთ საქართველოში რომაული სამხედრო შენაერთები არ იდგა [Меликишвили Г.А. 1959: 71; Ломоури Н.Ю. 1981: 131 და სხვები]. არის საწინააღმდეგო მოსაზრებანიც, რომლის მიხედვითაც რომაული ქვედანაყოფები განლაგებულნი იყვნენ იბერიის დედაქალაქ მცხეთაში [Моммзен Т. 1942: 358 და სხვები].

ჩვენ მიგვაჩნია, რომ რომაელები იდგნენ არა მარტო მცხეთაში, არამედ ძალისაში, იბერია ალბანეთის საზღვართან და დარიალის ხეობაში [ნონეშვილი ალ., თოდუა თ. 2013: 119].

ამ დასკვნის გამოტანის საფუძველს გვაძლევს მთელი რიგი არქეოლოგიური მასალები, რომლებიც საგრძნობლად გამრავლდა უკანასკნელი დროის განმავლობაში.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ძალისის კომპლექსი [ბოხოჩაძე ალ. 1981; ბოხოჩაძე ალ. 1987: 25-30; მირიანაშვილი ნ. 2005; გამყრელიძე გ. 2013: 598-600], რომელიც ტიპიურ რომაულ ,,ვილა ურბანას“ წარმოადგენს. როგორც ჩანს, რომაულ-იბერიული ,,მეგობრულ-მოკავშირული“ ზავის დადების შემდეგ აშენდა ეს გრანდიოზული რეზიდენცია. აქ უნდა დაბინავებულიყო რომაელი დიდმოხელე (შესაძლოა პროკურატორის რანგში), რომელიც ზედამხედველობას გაუწევდა იბერიაში რომის სახელმწიფო ინტერესების დაცვასა და გატარებას. მოგვიანებით კი, ,,ვილა ურბანა“ უნდა დაეკავებინა რომის მოქალაქეს, იბერიის სამეფოს არმიის სარდალს პუბლიკიოს აგრიპას. ჩვენი ვარაუდით იმპერატორ ჰადრიანეს მიერ ,,ნაჩუქარი“ სამხედრო შენაერთი და საბრძოლო სპილოც, სწორედ აქ, ძალისაში უნდა დაბანაკებულიყო.

მცხეთაში, ბორში, ზღუდერში, ნასტაკისში და სხვ. დადასტურებულია ახ. წ. I-IIსს. დათარიღებული რომაული ნაწარმი. ბრინჯაოსა და ვერცხლის ფიალები, თასები, პატერები, ეინოხოიები, ბატილიუმები და სხვ. [ლორთქიფანიძე ოთ. 1968: 78-80, 86-99].

შესაძლოა ამ ძვირფასი იმპორტული ნივთების ნაწილი, რომაელების სამხედრო თუ პოლიტიკურ სამსახურში მყოფი იბერიელებისათვის, რომის ხელისუფალთა მიერ ნაბოძებ საჩუქრებსა თუ ჯილდოებს (ფალერებს) წარმოადგენენ [ლორთქიფანიძე გ., ნონეშვილი ალ. 2017: 109].

ამ მრავალრიცხოვან ნივთებს შორის ორი ნივთი გამოირჩევა. პირველი წარმოადგენს ოქროს 22 ფურცლისაგან შედგენილ საპატიო (ტრიუმფალურ) სამხედრო გვირგვინს [სურ. 1, 2], რომელიც 1956 წელს სოფ. რუისში მცხოვრებ ყარამან კვარიანთაშვილის საკარმიდამო ნაკვეთში, საძირკვლის გათხრის დროს აღმოჩნდა. გვირგვინი დაცულია სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ინვ. N7482)[1]. აგრეთვე პირდაპირ კავშირშია რომაულ სამხედრო ქვედანაყოფებთან 1975 წელს მცხეთაში, სვეტიცხოვლის უბანზე, N6 კრამიტსამარხში აღმოჩენილი ე.წ. ,,ლეგიონერის“ რკინის ბეჭედი, რომლის თვალბუდეში ჩასმულია სარდიონის ინტალიო. მასზე ამოკვეთილია მრგვალ კვარცხლბეკზე მჯდარი არწივი, რომლის მარჯვენა და მარცხენა მხარეს ლეგიონის შტანდარტებია გამოსახული [სურ. 3]. სამარხი ახ. წ. I-IIსს. თარიღდება [მცხეთა II, 1978: 70-73; სურ. 432-449].

მსგავსი გამოსახულებიანი ბეჭედი გამოქვეყნებული აქვს ვატსონს [Watson G.R. 1993: 84; სურ. 19], რომელიც კარგად თარიღდება ახ. წ. II საუკუნით [სურ. 4].

პირდაპირ წერილობით, გნებავთ პოლიტიკურ-მილიტარისტულ საბუთად შეიძლება მივიჩნიოთ ბერძნული მთავრული წარწერა, რომელიც გზის გაფართოებისას, შემთხვევით აღმოჩნდა იბერიის დედაქალაქ მცხეთის მახლობლად.

საყოველთაოდ ცნობილ წარწერაში მოხსენიებულნი არიან ახ. წ. I საუკუნის რომის სამი იმპერატორი, ვესპასიანე, ტიტე და დომიციანე, რომლებმაც იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და იამასასპოის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთ მოყვარულს, და (იბერიის) ხალხს, ეს კედლები განუმტკიცეს [სურ. 5, 6], [წერეთელი გ. 1958: 13-14].

[1] მადლობას მოვახსენებთ ს. მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლებსა და დირექციას მოწოდებული ინფორმაციისთვის.

აღნიშნული წარწერა პირდაპირ მიგვანიშნებს მცხეთაში რომაული სამხედრო ქვედანაყოფების არსებობის აუცილებლობაზე, სამხედრო სამშენებლო-საინჟინრო ნაწილების მაინც.

რომაული არმიის სამხედრო აღჭურვილობას განეკუთვნება იბერიაში აღმოჩენილი შემდეგი სამი არტეფაქტი, რომლებიც მნიშვნელოვნად ამყარებს მოსაზრებას აღმოსავლეთ საქართველოში რომაული არმიის ქვედანაყოფების არსებობის შესახებ.

პირველი მათგანი, რომაული ტიპის ჯავშნები ე.წ. ,,ლორიკები" აღმოჩნდა დედოფლისგორის ნამოსახლარის ძვ. წ. I-ახ. წ. I საუკუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენაში [გაგოშიძე ი. 2004: 128-132].

მეორე არტეფაქტი წარმოადგენს რომაელი ლეგიონერის ბრინჯაოს მუზარადს [სურ. 7-16]. მუზარადი მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიაურში (ყოფილი სოფ. ულიანოვკა), მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროზე. იგი ნახევარსფერული ფორმისაა, თავზე, ცენტრში ამოშვერილი კოპით. გააჩნია კისრის დამცავი ფირფიტა, რომელიც წერტილოვანი ორნამენტით არის შემკული. მუზარადზე დატანილია ორი ლათინური ასონიშანი F da R. აკლია ლოყის დამცავი ფირფიტები. ნახვრეტების განლაგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მუზარადს ნიკაპზე შესაკრავი ტყავის თასმაც უნდა ჰქონოდა.

პიტერ კონოლი ასეთ მუზარადებს მონტეფორტინოს ტიპს მიაკუთვნებს და ახ. წ. I საუკუნით ათარიღებს [Connoly P. 1981: 228; სურ. 8].

მესამე არტეფაქტიც განეკუთვნება რომაელი ლეგიონერის აღჭურვილობას და ასევე წარმოადგენს ბრინჯაოს მუზარადს [სურ.17]. იგი დაზიანებულია, მას ნახევარსფერული ფორმა აქვს, სიმტკიცისათვის შუბლთან დამატებით ბრინჯაოსვე სარტყელია მირჩილული, ხოლო კისრის დამცავ ფირფიტაზე სამი ჰორიზონტალური სარტყელი. მუზარადზე შეიმჩნევა ექვსი სამანჭვლე ნახვრეტი, სადაც დამაგრებული უნდა ყოფილიყო ორნამენტები, შესაძლოა ისეთივე როგორც ეს კოლჩესტერში აღმოჩენილ მუზარადზეა [Webster, 1985; სურ. 19]. ჩვენ მუზარადს ლოყის დამცავი ფირფიტები აკლია. მსგავსი მუზარადები დადასტურებულია გერმანიში [Connoly P. 1981: 228], ბრიტანეთში [Webster G. 1985: სურ. 19] და ახ. წ. I საუკუნით თარიღდება.

მუზარადი 1986 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ქედში აღმოჩნდა შემთხვევით, საცურაო აუზის გათხრის დროს. დაცულია დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ინვ. N3145).

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს რომაული მცირე პლასტიკის ნიმუში, რომის ,,იმპერატორის" ქანდაკების ფრაგმენტი (დაცულია ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიურ მუზეუმში). შემორჩენილია ქანდაკების 11.5სმ-ის სიმაღლის ნაწილი [სურ. 18-21]. ფიგურა ჩაცმულია მაღალი რანგის სამხედრო ტანსაცმელსა (ტოგა) და ტორსის დამცავ ჯავშანში. ჩვენმა კოლეგამ, იტალიელმა არქეოლოგმა პროფ. ლივიო ზერბინამ (ფერარას უნივერსიტეტი), ქანდაკების დათვალიერებისას ივარაუდა, რომ ის იმპერატორ ტრაიანეს უნდა გამოსახავდეს.

ნიშანდობლივია, რომ ქანდაკება 2021 წელს, შემთხვევით აღმოჩნდა პრაქტიკულად იგივე ადგილას, სადაც ზემოთაღწერილი მუზარადი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ქედთან.

ამრიგად არაერთ არქეოლოგიურ არტეფაქტზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რომაული სამხედრო ქვედანაყოფები დისლოცირებულნი იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს, კავკასიის იბერიის ტერიტორიაზე. ხოლო იბერია-ალბანეთის საზღვრის უშუალო სიახლოვეში ლეგიონერების ორი მუზარადისა და ბრინჯაოს ,,იმპერატორის" ქანდაკების აღმოჩენა, უნდა მეტყველებდეს რომაული სასაზღვრო შენაერთების არსებობის შესახებ იბერიის მხრიდან, იმპერიის შორეული მისადგომების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

ილუსტრაციები

სურ. 1

სურ. 2



სურ. 3

სურ. 4



სურ. 5



სურ. 6

სურ. 7

სურ. 8

სურ. 9



სურ. 10

სურ. 11

სურ. 12



სურ. 13

სურ. 14

სურ. 15

სურ. 16

სურ. 17

სურ. 18

სურ. 19

სურ. 20



სურ. 21. გრაფიკული ჩანახატი შეასრულა პროფ. გურამ ყიფიანმა

ბიბლიოგრაფია:

1. ბოხოჩაძე ალ., ძალისი, არქეოლოგიური გათხრები აღაიანსა და ძალისში. ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები I, ,,მეცნიერება“, თბილისი 1981.

2. ბოხოჩაძე ალ., ძალისას ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სასახლე. ძეგლის მეგობარი N4, 1987, გვ. 25-30.

3. გაგოშიძე ი., პირველი საუკუნის იბერიელი მხედარი. ძიებანი 2004, N13-14, გვ. 118-142.

4. გამყრელიძე გ., ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. თბ., 2013, გვ. 598-600.

5. ლორთქიფანიძე ოთ., ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია). ,,მეცნიერება“, თბილისი 1968.

6. ლორთქიფანიძე გ., ალექსანდრე ნონეშვილი. ქართლის (იბერიის) სამეფო და რომის იმპერია I-III საუკუნეებში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ივანე ჯავახიშვილი - 140, შრომები ,,მარადისობის გზა“. თბილისი 2017, გვ. 108-112.

7. მირიანაშვილი ნ., ახალი არქეოლოგიური მონაცემები ძალისას ნაქალაქარიდან. იბერია-კოლხეთი N2, საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, ძიებანი - დამატებანი XIV, თბილისი 2005.

8. მცხეთა II, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ,,მეცნიერება“, თბილისი 1978.

9. ნონეშვილი ალ., თოდუა თ., რომაული არტეფაქტი ქვემო ქედიდან. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, N3. გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბილისი 2013, გვ. 119-120.

10. წერეთელი გ., მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია. ენათმეცნიერების ინსტიტუტი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი 1958, გვ. 5-20.

10. Ломоури Н.Ю., Грузино Римские взаммоотношения, Тбилиси 1981.

11. Меликишвили Г.А., К истории древней Грузии, Тбилиси 1959.

12. Моммзен Т., История Рима, книга V. М., 1942.

14. Connolly P., Greece and Rome at war. London 1981.

15. Watson G.R., The Roman soldier. Aspects of Greek and Roman life. Cornell University Press, New York, 1993.

16. Webster G., The Roman Imperial Army. London 1985.

მედეა შეროზია, მარიამ ქორიძე

ე. პახომოვის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი

2020 წელს ქართული ნუმიზმატიკის ამაგდარს, უდიდეს მკვლევარს, ევგენი პახომოვს, დაბადებიდან 140 წელი შეუსრულდა.

შეუფასებელია მისი როლი ქართული მონეტების შეგროვება-გადარჩენასა, მეცნიერულ შესწავლასა და პუბლიკაციაში, ასევე, ქართული მონეტების კოლექციის გამდიდრებაში.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ე. ა. პახომოვი თვალსაჩინო ნუმიზმატი, ორიენტალისტი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის წ/კ. დაიბადა 1880 წ. 25 თებერვალს სტავროპოლში. 1896 წელს დაამთავრა თბილისის რეალური სასწავლებელი, შემდგომ, სანკტ-პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი. პარალელურად, სწავლობდა არქეოლოგიის ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1900 წელს. 1902 წელს დაიწყო სამსახური ამიერკავკასიის სააქციზო სამმართველოში. 1916-18 წლებში მონაწილეობდა ყარსი-არდაგან-ერზერუმის რკინიგზის მშენებლობაში. 1919 წლიდან ცხოვრობს ბაქოში და ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მას ეკუთვნის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ეხება საქართველოსა და აზერბაიჯანის ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, ისტორიული გეოგრაფიის, არქეოლოგიის, ეპიგრაფიკის, გლიპტიკისა და ნუმიზმატიკის საკითხებს [დუნდუა გ., ჯალაღანია ი. 2009: 129].

პახომოვის ფუნდამენტალური ნაშრომი ნუმიზმატიკაში „Монеты Грузии“-ის I ნაწილი, С-Пб, 1910 წელს გამოიცა. 1911 წელს რუსეთის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ ეს მონოგრაფია ვერცხლის მედლით დააჯილდოვა. პირველმა მსოფლიო ომმა და განვითარებულმა სოციალ-პოლიტიკურმა მოვლენებმა შეუძლებელი გახადა მეორე ნაწილის წიგნად გამოცემა. მე-2 ნაწილის პუბლიკაცია შესაძლებელი გახდა 1970 წელს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოაქვეყნა ნაშრომი. მას რედაქტირება გაუწია დავით კაპანაძემ, ასევე, დაურთო კომენტარები.

მიუხედავად ქართული ნუმიზმატიკური დარგის დიდი წარმატებისა, ე. ა. პახომოვის ეს ნაშრომი დღემდე ინარჩუნებს მეცნიერულ ღირებულებას. მსგავსი უნივერსალური

ტიპის ნაშრომი დღემდე არ გამოქვეყნებულა. ის უბადლოა იმ მხრივაც, რომ მასში თავმოყრილია ქართული მონეტების მეცნიერული აღწერილობა. ასევე, დიდია ე. ა. პახომოვის დამსახურება კავკასიაში აღმოჩენილი ფულადი განძებისა და ცალკეულად ნაპოვნი მონეტების ტოპოგრაფიის შედგენის მხრივაც [Пахомов Е.А. 1926-1966].

ცნობილია, რომ ე. ა. პახომოვს ჰქონდა უმდიდრესი პირადი ნუმიზმატიკური კოლექცია, რომელსაც იგი 70 წელი საგულდაგულოდ აგროვებდა და მისი სიცოცხლის ბოლოს, იგი იყო მსოფლიოში უმდიდრესი ნუმიზმატიკური კოლექციის მფლობელი. ამ კოლექციის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ქართული მონეტების გამორჩეული, იშვიათი ეგზემპლარებით მდიდარი, საკმაოდ მრავალრიცხვანი კოლექცია.

ე. ა. პახომოვის კოლექცია 46 671 ერთეულს ითვლიდა და იმ დროისათვის, დაახლოებით, 300 000 რუსულ რუბლად ფასდებოდა. მისი გარდაცვალების შემდგომ, ანდერძის თანახმად, კოლექცია განაწილდა ოთხ მუზეუმს შორის: ერმიტაჟს (11 000-ზე მეტი მონეტა), ისტორიულ მუზეუმს მოსკოვში, საქართველოს ისტორიის მუზეუმს (4200 ც.) და აზერბაიჯანის ისტორიულ მუზეუმს. ეს იყო უპრეცედენტო საჩუქარი თითოეული მუზეუმისათვის. ერმიტაჟის წარმომადგენელი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ნ. სპასკი ამ საჩუქრის შესახებ ამბობდა: მსგავსი შევსება ხდება 50 წელიწადში ერთხელ. მიუხედავად იმისა, რომ ერმიტაჟი ფლობს უმდიდრეს კოლექციას, პახომოვის კოლექციას აქვს განსაკუთრებული ღირებულება [Минкевич-Мустафаева 1965: 301-303; Каджая В. 1965].

დავით კაპანაძე ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ წერს: „1965 წ. პროფ. ე. პახომოვის მიერ მემკვიდრეობით დატოვებულმა კოლექციამ საგრძნობლად შეავსო ხარვეზები. ერთი სიტყვით, გამომზეურდა დღემდე გაფანტული, ჩვენთვის მიუწვდომელ და ზოგჯერ სრულიად უცნობი მასალა“ [კაპანაძე დ. 1969: 3].

როგორც აღვნიშნეთ, ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმს გადაეცა (აქტი № 51, 1/12 1966 წ.) პროფესორ ე. ა. პახომოვის მიერ ანდერძით დატოვებული ნუმიზმატიკური კოლექცია, 4200 ცალი (მათ შორის, ათი ოქროსი). ეს საგანძური საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა ჩაიბარა 1965 წლის ბოლოს.

აღნიშნული მასალის მეცნიერულ დამუშავებასა და დავთრებში რეგისტრაციას დიდი დრო სჭირდებოდა, რისთვისაც, მუზეუმის დირექციის ბრძანებით (1965 17/XII №257),

ნუმიზმატიკის განყოფილებას მიეცა ვადა 1965 წლის ბოლომდე. ამის შესაბამისად, ნუმიზმატიკის განყოფილებამ შემდეგი სამუშაოები ჩაატარა:

ქართული მონეტების ძირითადი ფონდი №№ 3824–5868; №№ 5885-6133.

ქართული მონეტების ძირითად ფონდში გაატარა 2 068 (აქედან ორი ოქროა, საინ. №№3824); წინასწარი შეთანხმების თანახმად, ერმიტაჟის, მოსკოვის და ბაქოს მუზეუმისათვის გასაცვლელად გადასდო 1 698 ც. (შემდგომ ეს მონეტებიც ადგილზე დარჩა და გატარდა შესაბამის ფონდებში); განძების ფონდში გაატარა 9 ც. (საინ. №№ 11721-11729); კლასიკური მონეტების ფონდში გაატარა 6 ც. (საინ. №№1995-2000); ტრაპიზონის მონეტების ფონდში გაატარა 163 ც. (საინ. №№697-860); ევროპული მონეტების ფონდში გაატარა 5 ც. (საინ. №№2841-2845); თურქული რვა ოქროს მონეტა. გაატარა 8 ც. (საინ. №№6489-6496); რუსული მონეტების ფონდში 248 ც. (№№4629-4826),

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკურ კოლექციაში, რომელშიც ქართული მონეტების ყველაზი დიდი, ყველაზე მნიშვნელოვანი და სრულყოფილი კოლექციაა ზოგადად, პახომოვის მიერ ნაანდერძევი მონეტების ხვედრითი წილი ძალზედ დიდია, როგორც რაოდენობის თვალსაზრისით, ასევე, ცალკეული მონეტების მნიშვნელობით.

აქ არის: პირველი ტიპის კოლხური დიდრაქმა (ქ.ძ. 3824), მეორე ტიპის კოლხური დიდრაქმა 2 ცალი (ქ.ძ. 3825, 3826), რომლებიც იშვიათ მონეტათა რიგს განეკუთვნება. კოლხური ნახევარდრაქმიანების დიდი კოლექცია, მათ შორის, ასოებით (ქ.ძ. 3992; 3993-4022; №№40230-4025; №4027); ლისიმაქეს სტატერის მინაბაძი (ქ.ძ. 4028); დიოსკურიის საქალაქო მონეტები 6 ცალი (ქ.ძ.4029-4034); ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის მინაბაძი 6 ერთეული (ქ.ძ. 4049-4054); უკიდურესად იშვიათი ქართულ-სასანური მონეტები 5 ცალი, აქედან სამი ანონიმური (ქ.ძ. 4055,4056, 4057), ერთი გურგენი (ქ.ძ. 4058) და ერთი სტეფანოზი (ქ.ძ. 4059); თბილურ-არაბულები 10 ერთეული (4060-4069, სხვადასხვა წელი); ჯაფარიდები ორი ერთეული (4070, 4071); ბაგრატ IV, ოთხი ერთეული (ქ.ძ. 4072-4075); ქართული, გაურკვეველი (სპილენძი), XI საუკუნის 21 ც.; დემეტრე I, 13 ც. (4098-4110); გიორგი III, არაწესიერი ჭ. I ტიპი. 13 ც. (4111-4122. 4153); გიორგი III, არაწესიერი ჭ. II ტიპი. 29 ც. (4123-4151); გიორგი III, წესიერი ჭედვის, შევარდნით 8 ც. (ქ.ძ. 4154-4161); გიორგი III და თამარი 12 ც. (4162-4173) და კიდევ 2 ც. (4180, 4181); თამარი, ვენზელით 6 ც. (4174-4179); ლაშა გიორგი, უწესოდ მოჭრილი 3 ც. (4182-4184); ლაშა

გიორგი „ჯავახთუფალი“ 5 ც. (4185-4189); ჯალალ-ედ-დინ 6 ც. (4190-4195); რუსუდან დედოფალი (სპილენძი) 3 ც. (4196-4198); რუსუდანის დრამა 22 ც. (4199-4220); ანონიმური მონღოლური 7 ც. (4221-4227); დავით ნარინი (სპილენძი), დმანისში მოჭრილი 3 ც. (4228-4230); დავით ნარინი, სპილენძი, თბილისში მოჭრილი 17 ც. (ქ.ძ. 4231-4247); დავით ნარინი (ცხენოსანი), ვერცხლი, მარჯვნივ 5 ც. (4248-4252), მარცხნივ მიმართული 2 ც. (4253-4254); დავით ულუ (დავით გიორგის ძე) ვერცხლი, 3 ც. (ქ.ძ. 4255-4257); დავით ულუ (დავით გიორგის ძე), სპილენძი, 5 ც. (ქ.ძ.4258-4262); ორი დავითი, 2 ც. (ვერცხლი) (ქ.ძ. 4263,4264); მანგუ ყაენი, სხვადასხვა წლები, ვერცხლი, 28 ც. (4265-4292); მანგუ ყაენი, ფელსი, სპილენძი, სხვადასხვა წელი, 15 ც. (ქ.ძ. 4293-4307); ყაანური, I ტიპისა, სხვადასხვა წლები, ვერცხლი, 20 ც. (4308-4327); ყაანური, II ტიპისა, სხვადასხვა წლები, ვერცხლი, 135 ც. (4328-434354; 4356-4463); ყაანური, II ტიპისა, სხვადასხვა წელი, სპილენძი, 3 ც. (ქ.ძ. 4464-4466); ყაენურების თანადროული ფელსები 5 ც. (ქ.ძ. 4467- 4471); ქართულ-ჰულაგუიდური, ვერცხლი, სხვადასხვა წელი. 73ც. (4472-4544); ქართულ-ჰულაგუიდური, სპილენძი. 10 ც. (4545-4554); დემეტრე II, XIII ს. 80-იანი წლები. სპილენძი. 8 ც. (ქ.ძ. 4555-4562); ვახტანგ III, ჰ. 698 თბილისი, 20 ც. (4563-4583); ვახტანგ III, I ტიპის ფელსი (სპილენძი) 4 ც. (4584-4587); ვახტანგ III, II ტიპის ფელსი (სპილენძი), 3 ც. (4588-4590); დავით VII, XIII ს. ბოლო. სპილენძი. 3 ც. (4591-4593); „სომხითის ფელსი“, XIII ს. ბოლო. 2 ც. (4594, 4595); კირმანეული, ვერცხლი. 54 ც. (4596-4649); ყაზან ყაენი, ჰულაგუიდი, თბილისი. 3 ც. (4650-4652); ოლჯაითუ ჰულაგუიდი, თბილისი, სხვადასხვა წელი, ვერცხლი 16 ც. (4653-4668); აბუსაიდ ჰულაგუიდი, თბილისი, სხვადასხვა წელი. ვერცხლი. 39 ც. (ქ.ძ. 4669-4707); არპა ხანი. თბილისი. 736 წ. ვერცხლი ქ.ძ.4708; მუჰამედ ჰულაგუიდი თბილისი. ვერცხლი (ქ.ძ. 4709); საით ბეგ ჰულაგუიდი თბილისი. 740 წ. 7 ც. ვერცხლი (ქ.ძ. 4710-4716); სულეიმან ჰულაგუიდი. თბილისი. 741 წ. 7 ც. ვერცხლი (ქ.ძ. 4717-4723); ნუშირვან ჰულაგუიდი. თბილისი. 753 წ. 26 ც. ვერცხლი (ქ.ძ. 4724-4749); აბუ-საიდ ჰულაგუიდი. თბილისი. სპილენძი. 6 ც. (ქ.ძ. 4750-4755); ოლჯაითუ ჰულაგუიდი. თბილისი. სპილენძი. 4 ც. (ქ.ძ. 4756-4759); საით ბეგი. თბილისი. სპილენძი (ქ.ძ. 4760); ჰულაგუიდი. სპილენძი. 2 ც. (ქ.ძ. 4761,4762); XIV საუკუნის გიორგაულის მიმბაძველობა. ვერცხლი (ქ.ძ. 4763); XIV საუკუნის ქართული მონეტები. ფრინველის გამოსახულებით 16 ც; მხეცის გამოსახულებით 6 ც; ჯიხვის გამოსახულებით 9 ც. (ქ.ძ. 4764-4794); ჯანი-ბეკი ჯუჩიდი. თბილისი. ვერცხლი. 2 ც. (ქ.ძ. 4795,4796); შეიხ უვეის ჯელაირი. თბილისი. ვერცხლი. 17 ც. (ქ.ძ. 4797-4813); გიორგი VII.

ვერცხლი. 12 ც. (ქ.ძ. 4814-4825); ყვარყვარე ათაბაგი, თევზის გამოსახულებით. ვერცხლი. 6 ც. (ქ.ძ. 4826-4831); XIV საუკუნის გაურკვეველი მონეტები. ვერცხლი. 3 ც. (ქ.ძ. 4832-4834); ბაგრატ იმერთ მეფე. ვერცხლი. 3 ც. (ქ.ძ. 4835-4837); შაჰ-აბას I-ის სახელით მოჭრილი აბაზიანი. თბილისი. ვერცხლი. 5 ც. (ქ.ძ. 4838-4842); თურქული აყჩეს მინაბაძი. ვერცხლი. 10 ც. (ქ.ძ. 4843- 4852); XVII საუკუნის თბილური ვერცხლი. სხვადასხვა წელი და სხვადასხვა ნომინალი. 122 ც. (ქ.ძ. 4853-4974); ახმედ III, თბილისი, 1115 წ. ჰ. ოქრო. 2 ც. (ქ.ძ. 4975, 4976); ახმედ III, თბილისი, 1115 წ. ჰ. ვერცხლი. ონლიყი. 13 ც. (ქ.ძ. 4977-4989); ახმედ III, თბილისი, 1115 წ. ჰ. სპილენძი. 2 ც. (ქ.ძ. 4989,4990); ახმედ III, თბილისი, 1115 წ. ჰ. ვერცხლი. ბეშლიყი. 11 ც. (ქ.ძ. 4992-5002); ახმედ III, თბილისი, 1115 წ. ჰ. ვერცხლი. ნიმბეშლიყი. 2 ც. (ქ.ძ. 5003, 5004); მაჰმუდ I, თბილისი. 1143 წ. ჰ. ონლიყი 12 ც. ბეშლიყი 2 ც. ნიმბეშლიყი 1 ც. (ქ.ზ. 5005-5019); მაჰმუდ I, თბილისი. 1143 წ. ჰ. სპილენძი მოგრძო. 1 ც. (ქ.ძ. 5020); ნადირ-შაჰის თბილური ვერცხლი. სხვადასხვა წლები და სხვადასხვა ნომინალი. 30 ც. (ქ.ძ. 5021-5050); იბრაჰიმ-შაჰი, თბილური აბაზი, 1162 წ. ჰ. 9 ც; 1 ც. შაური. (ქ.ძ. 5057-5060); XVIII საუკუნის თბილური ვერცხლი. სხვადასხვა წელი და სხვადასხვა ნომინალი. 11 ც. (ქ.ძ. 5061-5071); XVII-XVIII საუკუნეების თბილური ვერცხლი. 18 ც. (ქ.ძ. 5072-5089); უსახელო თბილური სპილენძი. სხვადასხვა წელი და სხვადასხვა ნომინალი. 54 ც. (ქ.ძ. 5090-5143); მე-13 საუკუნის გაურკვეველი სპილენძი. 1 ც. (ქ.ძ. 5144); ვახტნგ VI. 1708 წ. 1709 წ. სპილენძი. 12 ც. (ქ.ძ. 5145-5156); სვიმონი. სპილენძი. 12 ც. (ქ.წ. 5157-5168); ბაქარი. სპილენძი. 1130 და 1131 წწ. 21 ც. (ქ.ძ. 5170-5189); ალი-მირზა. სპილენძი. 10 ც. (ქ.ძ. 5190-5199); თეიმურაზ II. 1162 წ. ჰ. 1166 ჰ. სპილენძი. 17 ც. (ქ.ძ. 5200-5216); თეიმურაზ II და ერეკლე. 1168 ჰ. სპილენძი. 19 ც. (ქ.ძ. 5217-5235); ერეკლე II. სხვადასხვა წელი და სხვადასხვა ნომინალი. სპილენძი. 123 ც. (ქ.ძ. 5236-5358); გიორგი XII, 1213 ჰ. სპილენძი. 14 ც. (ქ.ძ. 5359-5372); სირმა აბაზი, უზალთუნი, სირმა შაური, მარჩილი, 1/3 მარჩილი, სხვადასხვა წელი, ვერცხლი. სულ 322 ც. (ქ.ძ. 5373 - 5694); მედალი თბილისის ზარაფხანის გახსნისადმი მიძღვნილი. ვერცხლი. (ქ.ძ5695); „უ“ ქართული თეთრი. ორი აბაზი. სხადასხვა წელი (ქ.ძ. 5696 - 5775); „ს“ ქართული თეთრი, აბაზი. ვერცხლი. სხვადასხვა წელი. 49 ც. (ქ.ძ. 5776- 5824); „რ“ ქართული თეთრი. უზალთუნი. სხვადასხვა წელი. 24 ც. (ქ.ძ. 5825-5848); ქართული ფული, სხვადასხვა წელი და სხვადასხვა ნომინალი. სპილენძი. 20 ც. (ქ.ძ. 5849-5868); სხვადასხვა მსგავსი მონეტა (249 ერთეული). გატარებულია ქართული მონეტების ძირითად ფონდში №№5885-6133; ქართული მონეტების სადუბლეტო ფონდში გატარდა

ქართული ფული, სხვადასხვა პერიოდის ვერცხლი და სპილენძის (ქართ.დ. №№1865-2642), სულ. 1346 ერთ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი მონეტებით გამდიდრდა სხვა ფონდებიც: განძების ფონდი დაბინავდა 1958 წელს ხინისლში (შემახის მახლობლად, აზერბაიჯანის რესპუბლიკა) ნაპოვნი ალექსანდრე მაკედონელის დრაქმების ალბანური მინაბაძი (გ.ფ. 11721-11729) 9 ც.; კლასიკური მონეტების ფონდი: რომაული დენარის მინაბაძები (კლ.ძ. №№ 995–2000) 6 ც.; აღმოსავლური მონეტების ფონდი: თურქული ოქროს მონეტები (მურად სელიმის ძე, სულეიმან II, მურად სელიმის ძე, სულეიმან I 2 ც., სელიმ II, აჰმედ I, მუჰამედ IV (აღ.ძ. №№ 6489 – 6496) ოქრო, 8ც.; ბიზანტიური მონეტების ფონდი: ტრაპიზონული ვერცხლისა და სპილენძის მონეტები (ბიზ.ძ. №№ 697–859) სულ 163 ც.; რუსული მონეტების ფონდი: XVII-XVIII საუკუნეების დასაწყისის ვერცხლის კაპიკიანები და ერთი ცალი პეტრე I-ის წვერის გადასახადის სპილენძის ნიშანი (რუს.ძ. №№ 4629-4876), სულ 248 ერთ.; ევროპული მონეტების ფონდი: ევროპული ვერცხლის ტალერები (ევროპა ძ. №№ №№ 2841 – 2845) 5 ც.

ეს მარტივი ჩამონათვალიც კი თვალსაჩინოს ხდის, თუ რა შეუფასებელი სიმდიდრე უსაჩუქრა ევგენი პახომოვმა საქართველოს და ქართველ ხალხს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირადი კოლექციის ამგვარ გადანაწილებას უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. აზერბაიჯანის საზოდაგოებამ და სამეცნიერო წრეებმა გამოხატეს უკმაყოფილება. მოლოდინი იყო, რომ სიმდიდრე მთლიანად აზერბაიჯანის ისტორიულ მუზეუმს დარჩებოდა. მათ იერიში მიიტანეს ანდერძის განმახორციელებელზე, ე. ა. პახომოვის მეუღლეზე და მოითხოვდნენ სასამართლო პროცესის წამოწყებას მის მიმართ, როგორც ანდერძის იურიდიულად არამართლზომიერ განმახორციელებელზე.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკის უჯრედში დაცულია დ. კაპანაძის მიერ დაარქივებული საბუთები და საგაზეთო პუბლიკაციები, მიძღვნილი ამ მოვლენებისადმი („მასალები ე. პახომოვის მემკვიდრეობით ჩაბარების შესახებ“, ყდა N6.6, 106 გვერდი. 14/4 1965წ). ამ საბუთებს შორის არის დაცული პახომოვის მეუღლის, ე. ვ. პახომოვას ბაქოდან გამოგზავნილი მადლობის წერილი, მუზეუმის იმჟამინდელი დირექტორის ნ. ჩერქეზიშვილისადმი, რომელიც შემდეგი შინაარსისაა (დაწერილია რუსულ ენაზე):

ღრმად პატივცემულ ამხანაგ ჩერქეზიშვილს!

უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ჩემი განსვენებული მეუღლის, პროფესორ ევგენი ალექსანდრეს ძე პახომოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად მატერიალური დახმარების გამოყოფაში გამოჩენილი ინიციატივისთვის.

ევგენი ალექსანდრეს ძე საქართველოს ყოველთვის თვლიდა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის, როგორც ნუმიზმატისა და არქეოლოგის, სამშობლოდ. სწორედ საქართველოს არქეოლოგიურმა ძეგლებმა და მისმა ნუმიზმატიკამ, უბიძგა მას თავისი ცხოვრების გზის არჩევაში, გამხდარიყო სწავლული არქეოლოგი და ნუმიზმატი. მან საქართველოს მიუძღვნა თავისი პირველი სამეცნიერო ნაშრომები.

მას სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია კავშირი საქართველოსთან, ყოველთვის ინტერესდებოდა ყველა სამეცნიერო ნაშრომით არქეოლოგიაში, ისტორიასა და ნუმიზმატიკაში.

სწორედ საქართველოს სახსრებით დაიდგა ძეგლი მის საფლავზე.

მე ძეგლის დადგმა დავამთხვიე მისი გრდაცვალების წლისთავს - 1966 წლის 2 მაისს და ძალიან მინდა, რომ ამ დღეს დაესწროს რომელიმე თქვენი თანამშრომელი. განსაკუთრებით მოხარული ვიქნები, თუ ეს იქნება დავით გიორგის ძე კაპანაძე, რომელთანაც ჩემს მეუღლეს აკავშირებდა მრავალი წლის მეგობრობა.

გულწრფელი პატივისცემითა

და მადლიერებით ე. ვ. პახომოვა

1966 წლის 24 აპრილი

ქ. ბაქო

ევგენი პახომოვმა, როგორც ერთადერთმა პროფესიონალმა, ყოველმხრივ განსწავლულმა ნუმიზმატმა, დიდი სამუშაოები ჩაატარა იმდროისათვის საქართველოში არსებული ნუმიზმატიკური კოლექციების მოწესრიგებაში. ამის შესახებ ინფორმაცია მოიპოვება ექვთიმე თაყაიშვილის ანგარიშში „მცირე უწყება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის პირველი ათი წლის

განმავლობაში (1907-1917)“, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენი ქართული ფულების კოლექცია ახლა ერთი უკეთესთაგანი არის ცნობილთა შორის. იგი შედგება სამი კოლექციისაგან: საფუძვლად დაედო იაკობ სერგის ძე მედვედევისაგან ნაყიდი, მიემატა ამაზე არა ნაკლები კოლექცია თავჯდომარისა, რომელმაც გადასცა საზოგადოებას, და შეუერთდა ის ქართული ფულები, რომელიც იყო კირიონ II კოლექციაში (ეს უკანასკნრლი ცალკე ინახება, მაგრამ კატალოგში საერთოდ არის აღნიშნული). ამგვარად შეიქმნა კარგი კოლექცია, რომელიც ახლა დალაგებულია და აღნუსხვული დროთა, მეფობათა და დინასტიათა მიხედვით. ამ დალაგებაში დიდი დამსახურება გაგვიწია ქართული ფულების კარგად მცოდნემ, ევგენი ალექსანდრეს ძე პახომოვმა. ვარგისი და ყალბი ფულები გამოვრიცხეთ“ [თაყაიშვილი ე. 1966:196; ი. მეგრელიძე. 1989: 158].

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის მედლების ფონდში დაცულია სპილენძის პლაკეტი, მიძღვნილი ე. პახომოვის საიუბილეო თარიღისადმი. მ.ფ. № 761 ზომა: 112/56

პლაკეტი მოქალაქე რომან ვლადიმერის ძე შეინისაგან მიიღო მუზეუმმა შემოწირულობის სახით (აქატი №6 1964 წ. 12 მარტი).

აღწერა: რვაკუთხა სპილენძის ფირფიტაზე გამოსახულია ე. ა. პახომოვის რელიეფური ბიუსტი, მიმართული მარჯვნივ. ბიუსტის ქვემოთ პალმის რტო, რომელზეც რუსულად აწერია: 75 ЛЕТ.

ქვემოთ ოთხ პწკარად:

НУМИЗМАТИЧЕСКОЙ

ДЕЯТЕЛЬНОСТИ

ПРОФЕССОРА

Е. А. ПАХОМОВА

(პროფესორ ე. ა. პახომოვის ნუმიზმატიკური მოღვაწეობის 75 წელი).

წარწერის ქვემოთ ხაზოვანი დეკორი (იხ.ს.№2).

პლაკეტის მეორე მხარეზე, ქვემოთ, წარწერა ორ პწკარად:

ОТ А. ВАСИЛЬЕВА И Р. ШЕЙНА

БАКУ. 24. II. 62 г.

(ა. ვასილევისა და რ. შეინისაგან)

ბაქო. 24. II. 62 წ).

(იხ. სურ. №16)

ბიბლიოგრაფია:

1. დუნდუა, გ. ჯალაღანია ი. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბილისი, 2009.

2. თაყაიშვილი ე. მცირე უწყება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის პირველი ათი წლის განმავლობაში (1907-1917). 1966.

3. აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. (ნ. ბერძენიშვილი, გ. ლომთათიძე. ვ. დუნდუა, დ. ხახუტაიშვილი, კ. გრიგოლია, დ. ქუთათელაძე, გ. ჩუბინაშვილი, გ, ჩიტაია, ალ. ბარამიძე, მიხ. ჩიქოვანი, დ. მუსხელიშვილი, ივ. სურგულაძე, ე. თაყაიშვილი). კრებული, გვ. 191-205. თბილისი, 1966.

3. კაპანაძე დ. ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი, 1969.

4. მეგრელიძე ი. ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი, 1989.

5. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I. თბილისი, 1984. გვ. 716.

6. Каджая В., „Наследство нумизмата“. გაზეთი “ИЗВЕСТИЯ“ N297 (15076) 17 декабря 1965 г.

7. Минкевич-Мустафаева Е.А., Пахомов. СА. №4. 1965. Ст. 301-303.

8. Пахомов Е., Монеты Грузии. ч . I. С-ПБ. 1910.

9. Пахомов Е., Монеты Грузии. Тбилиси, 1970.

10. Пахомов Е.А., Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. I-X. Баку. 1926-1966

ტაბულა



სურ. 1

სურ. 2

სურ. 3

სურ. 4

სურ. 5

სურ. 6

სურ. 7

სურ. 8

სურ. 9

სურ. 10

სურ. 11

სურ. 12

სურ. 13

სურ. 14

სურ. 15

სურ. 15

75 ЛЕТ
НУМИЗМАТИЧЕСКОЙ
ДЕЯТЕЛЬНОСТИ
ПРОФЕССОРА
Е.А.ПАХОМОВА
От А.Васильева
и Р.Шейна
Баку 24.II.62г.

სურ. 16

ტაბულის აღწერილობა

1. ე. ა. პახომოვი
2. კოლხური თეთრი, დიდრაქმა
3. დიოსკურიის საქალაქო მონეტა
4. ავგუსტეს დენარის მინაბაძი
5. ქართულ-სასანური დრამა, ერისმთავარი გურგენი
6. ქართულ-სასანური დარმა, ერისმთავარი სტეფანოზი
7. თბილურ-არაბული დირჰემი 248 ჰ.
8. თბილურ-არაბული დირჰემი 294 ჰ.
9. ორი დავითი
10. ბაგრატ იმერთ მეფე
11. ბაგრატ იმერთ მეფე
12. აჰმედ III თბილისი ჰ. 1115 წ.
13. აჰმედ III თბილისი ჰ. 1115 წ.
14. მაჰმუდ I თბილისი ჰ. 1143 წ.
15. ბაქარი 1/2 ბისტი ჰ. 1131 წ.
16. თეიმურაზ II 1/2 ბისტი ჰ. 1162 წ.
17. პლაკეტი, მიძღვნილია ე.ა. პახომოვის სამეც. მოღვაწეობის 75 წლისთავთან დაკავშირებით

ლია ბუაძე

სახელი ნიშანია - აღალმა

მსოფლიოს მეცნიერთა ნააზრევი ხელოვნების წარმოშობისა და დედამიწის სხვადასხვა კონტინენტზე აღმოცენებულ უძველეს ცივილიზაციებში გამოვლენილი ე.წ. უნივერსალური ტენდენციების შესახებ, თვალნათლივ არის გაცხადებული ძირძველ ქართულ ხელოვნებაში. ფერის, სხვადასხვა მასალისაგან ფორმათა ქმნადობის, ხმისა თუ ნაირგვარი სანახაობების მეშვეობით სამყაროს აღქმა საკუთარი გამომსახველობითი საშუალებებით, განპირობებულია იმ მრავალფეროვანი, მდიდარი გეოგრაფიული გარემოთი, რომელშიც ჩაისახა და ვითარდებოდა ენა ქართული - ხუროთმოძღვრების, ქანდაკების, მხატვრობის, მუსიკის, სათეატრო ხელოვნების და ა.შ. სახით. ძველი ლათინები ამბობდნენ „სახელი ნიშანია“. მართლაც, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ქართულმა ენამ დღემდე შეინარჩუნა საყოველთაოდ გავრცელებული არქიტექტურის, მეტალურგიის, სკულპტურის აღმნიშვნელი საკუთარი სახელები: ხუროთმოძღვრება, მელითონეობა, ქანდაკება. ლითონის დამუშავებით დაკავებულ ხელოვანებს მათი საქმიანობის აღმნიშვნელი ქართული სახელი ჰქვიათ. მე-12 საუკუნეში ბექა ოპიზარი მოხსენიებულია როგორც „ოქრომჭედელი“ და „ოქროისმქანდაკებელი“. ამ თვითმყოფადი მხატვრული ენის გადასარჩენად საქართველოს ოდითგანვე უწევდა ბრძოლა სხვადასხვა დამპყრობელთან, ვინაიდან სწორედ თვითმყოფადობა წარმოადგენს ძირითად საყრდენს (დავესესხები „ეროვნული ენერგიის“ იდეის ავტორს გერონტი ქიქოძეს) ეროვნული მეხსიერების შესანარჩუნებლად. ერთმორწმუნე დამპყრობელს, ფაქტების გაყალბებით, მიჩქმალვითა თუ დამახინჯებით, თავისი საკუთარი სტანდარტები ჰქონდა შემუშავებული ეროვნული კულტურული მეხსიერების წასაშლელად. სწორედ ამან მიკარნახა წარმომეჩინა ქართული ხელოვნების ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ ქართველ მეცნიერთა ნაღვაწი და მის ფონზე - მხატვრული აზროვნების უწყვეტი ჯაჭვი ხელოვნების სხვადასხვა დარგში. ჩემს მიზანს წარმოადგენს დასაბუთება იმისა, რომ ქართულ ვიზუალურ-პლასტიკურ ხელოვნებაში არ ჰქონია ადგილი წყვეტას არც რუსეთის მიერ საქართველოს მიერთებამდე და არც მის შემდგომ, რაც ცხადია, ეწინააღმდეგება საბჭოთა სახელოვნებათმცოდნეო კვლევის სტანდარტებს. სახელოვნებო ტრადიციების

შენარჩუნება-განვრცობისკენ ლტოლვის და ეროვნული მეხსიერების არსებობის მკაფიო გამოვლინებაა ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი: სწორედ აღნიშნულ თემაზე მუშაობის პროცესში წავაწყდი მსოფლიოს სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერებაში დამკვიდრებული ტერმინის - ბიუსტი შესატყვის ქართულ სიტყვას, რაც სიმბოლურად დაკავშირებულია იმ მოქანდაკის შესახებ არსებული მასალების მოძიებასთან, რომელიც ასევე წარმოადგენს გარკვეულ სიმბოლოს მქანდაკებლობის უწყვეტი ჯაჭვის არსებობისა. ამან განაპირობა ის, რომ ჩემი ძირითადი სათქმელი ამჯერად დაეთმობა მხოლოდ მრგვალ ქანდაკებას.

საბჭოთა სახელოვნებათმცოდნეო კვლევის სტანდარტების ანარეკლს გახსნილი ტექსტით ადგილი აქვს სახელოვანი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის შესახებ არსებულ მონოგრაფიებსა თუ ქართული ქანდაკებისადმი მიძღვნილ გამოცემებში. ყველგან აღნიშნულია, რომ „იაკობ ნიკოლაძის შემოქმედება მრავალსაუკუნოვანი დუმილის შემდეგ პირველი სიტყვაა ქართულ პლასტიკაში“. „ი. ნიკოლაძემ პირველმა აღადგინა საუკუნეთა მანძილზე შეწყვეტილი განვითარება ქართული ქანდაკებისა“. „სახელოვნებო სივრცეში მის გამოჩენამდე თბილისის გუბერნიაში მხოლოდ რუსი მოქანდაკეები მუშაობდნენ. პირველი ძეგლი თბილისში XIX საუკუნის II ნახევარში დაიდგა. ეს მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის სამმეტრიანი ბრინჯაოს მონუმენტი იყო. ქანდაკება მოქანდაკე ნიკოლოზ პიმენოვს (1812-1864) ეკუთვნოდა. მოქანდაკის გარდაცვალების შემდეგ ძეგლი დაასრულა და პეტერბურგში ჩამოასხა მისმა მოწაფე თეოდორ კრეიტანმა ვორონცოვის ძეგლი 1867 წლის 25 მარტს გაიხსნა“ [კიკნაძე ე. 2016: 8] ამ ფაქტიდან აშკარად ჩანს, თუ როგორ ზრუნავდა იმპერია საკუთარი ძალის დემონსტრირებაზე მხოლოდ საკუთარი ძალებით. ამის საილუსტრაციოდ ყურადსაღები შეფასება აქვს თავად იაკობ ნიკოლაძეს. „...ვის ჭირდებოდა რამდენიმე ქართველი მხატვარი და მოქანდაკე მაშინ თბილისში? ... კავკასიაში მეფის ნაცვალი საქართველოს ხელოვნების სფეროში უფრო დაინტერესებული იყო იმით, რომ რაც შეიძლება მცირე ყოფილიყო ქართული მოტივები, ქართული შინაარსი, ქართული ნაციონალური ფორმები“ [ნიკოლაძე ბ. 1964. გვ.68]. მონოპოლისტური იდეოლოგია ვერ უარყოფდა მქანდაკებლობის უძველეს და უმდიდრეს ტრადიციებს საქართველოში, სადაც არა მხოლოდ წერილობითი წყაროები, არამედ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი უნიკალური ძეგლები ავლენენ ხელოვნების ამ დარგის განვითარების უმაღლეს დონეს. სამაგიეროდ, მრგვალი ქანდაკების „მივიწყებული ტრადიციის“ აღორძინებას ხსნიდა მხოლოდ და მხოლოდ იმპერიის ძალისხმევით. „ქართული დაზგური

ქანდაკების განვითარება გზაშეზღუდულად ან თავისებურად კი არ მიმდინარეობდა, არამედ სავსებით შეწყდა ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის დამკვიდრების დროიდან. ი. ნიკოლაძე პირველი აღუდგა წინ ეროვნული ქანდაკების ამ საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებულ უბედობას“.

საქმე ისაა, რომ იაკობ ნიკოლაძის გენიალურობა და უნიკალურობა არა მისი „პირველობაა“, არამედ ის პლასტიკური აზროვნებაა, რომლის წყალობით მიქელანჯელოს „მონებსა“ და როდენის ქანდაკებაში ნიკოლაძემ შეიგრძნო ქვაში დაუნჯებული სხეულის გამოთავისუფლებისკენ სწრაფვა. და ეს შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. „არავის საქართველოში, ჩვენი დროის სახვითს ხელოვნებაში იაკობ ნიკოლაძეზე უკეთ არ უგრძვნია და არ გამოუხატავს თანამედროვეობის სული: შეიძლება იმიტომ, რომ სანამ თანამედროვე საზოგადოების პორტრეტისტი გახდებოდა, <u>მან თავისი დიდი წინამორბედების სკოლა განვლო“</u> (ხაზი ჩემია. ლ.ბ.), [გ. ქიქოძის წინასიტყვა. 1963წ.]. სავარაუდოდ, ფორმისმიერი ქმნადობის სწორედ ეს განსაკუთრებული უნარი აღმოაჩინა მასზე ექვსი წლით უფროსმა ქართველმა მოქანდაკემ, სერაფიმ პოლოლიკაშვილმა, როცა ურჩია ფერწერის კლასიდან გადასულიყო ქანდაკების კლასში. არც მისთვის ყოფილა შემთხვევითი ამგვარი წვდომის უნარი.

ქართული ხელოვნების ისტორიისთვის არსებითი და მიჩქმალული ფაქტების გამომზეურების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორმა, ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრა წერეთელმა თავისი სადისერტაციო ნაშრომით „ქართული საბჭოთა პორტრეტული ქანდაკება 1921-1941“ (1958წ.), რომელიც წიგნად გამოიცა 1959წელს. ამასთან, ა. წერეთელი პირველი მეცნიერია, რომელიც გარკვეულწილად იმეორებს „საბჭოთა სტანდარტს“ ქართულ ქანდაკებასთან მიმართებაში და იმავდროულად გვაწვდის უაღრესად მნიშვნელოვან მტკიცებულებას მის გასაბათილებლად. „XIX საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ქართული კულტურა ახალ ნიადაგზე და ახალი გზით იწყებს განვითარებას. რუსეთის მოწინავე დემოკრატიულმა აზროვნებამ, მისმა პროგრესულმა მხატვრულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ახალი ქართული მწერლობისა და ხელოვნების განვითარებაში... XIX საუკუნის დასაწყისიდანვე საქართველოში სისტემატურად მოგზაურობენ და მოღვაწეობენ რუსი და აგრეთვე უცხოელი მხატვრები და მოქანდაკეები. ბევრი მათგანი საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდა და

მუშაობდა თბილისში თუ ძველმა ქართულმა მხატვრობამ და არქიტექტურამ მიუხედავად მრავალი ისტორიული ჭირ-ვარამისა XIX საუკუნემდე მოიტანა თავისი ეროვნული სახე და ტრადიციები, ქართულ დაზგურ ქანდაკებას ასეთი ტრადიცია არ ჰქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წინაქრისტიანული ხანის ქანდაკებას. იგი მივიწყებული იყო. ქართველ საზოგადოებაში დაზგური ქანდაკებისადმი ინტერესის გაღვიძებას ერთგვარად ხელი შუწყო ჩამოსულ მოქანდაკეთა მოღვაწეობამ“ [წერეთელი ა. 1959: 10-13].

განიხილავს რა თბილისში ჩამოსული მოქანდაკეების ფ. ხოდოროვიჩის, შლიტერის და სხვ. შემოქმედებას, ამასთანავე, ქართველთა შორის მქანდაკებლობის ხელოვნების პოპულარობისა და მისი გავრცელების არეალის წარმოსაჩენად, ავტორი ასახელებს ქანდაკებით გატაცებულ ახალგაზრდა ქართველ ოფიცერს, ვლ. გედევანიშვილს, რომელიც, როგორც მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლების პრესიდან ირკვევა, საკმაოდ პოპულარული ყოფილა საზოგადოებაში [გვ. 14]. ა.წერეთლის მიერ მითითებული პრესის გაცნობამ მომცა საფუძველი იმის სათქმელად, რომ კონკრეტულ ისტორიულ პირთა სკულპტურული პორტრეტების შექმნა, რაც სირთულეებთან არის დაკავშირებული და გარკვეულ პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას საჭიროებს, შეუძლებელია ჩვეულებრივ სამოყვარულო გატაცებით შემოიფარგლოს. შესაძლოა, ამ შემთხვევაშიც თავი იჩინა პლასტიკური აზროვნების მამა-პაპისეულმა ტრადიციებმა. „ხელოვნება თანდათან იძენს ჩვენში მიმდევართა და თაყვანის მცემელთ. ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ შრომა ახალგაზრდა ოფიცრის ვლ, გედევანიშვილისა, რომელიც სამსახურისაგან გადარჩენილს თავისუფალ დროს მოქანდაკობას ანდომებს, ყმაწვილკაცს სწავლა პოლტავის სამხედრო გიმნაზიაში მიუღია და ქანდაკობაც იქ დაუწყია თურმე. ეხლა ამ საგანში საკმაოდ დახელოვნებულა და ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ ბ. გედევანიშვილსა სწადიან თავის ხელოვნება ჩვენის მწერლების თიხით გამოხატვას მოახმაროს. ამ ჟამად იგი შრომობს გიორგი ერისთავის ბიუსტის გაკეთებისათვის და მასუკან გრ. ორბელიანის ბიუსტს შეუდგება“ [„დროება“, 1885: N48, 5 მარტი]. როგორც 7 წლის შემდგომ იუწყება ამჯერად გაზეთი „ივერია“, იგი არ შემოფარგლულა მხოლოდ ამ ორი ბიუსტის შექმნით. „ქანდაკების მოყვარულს აფიცერს გედევანიშვილს, რომელმაც უკვე გააკეთა ბიუსტი შოთა რუსთაველისა, წმ. ნინოსი, მეფე ირაკლი II -სა და კ.ქ. მამაცაშვილისა, განუზრახავს ახლა გაკეთება თამარ-მეფის ქანდაკებისაცა, რომელიც ამ დღესასწაულებისათვის იქნება კიდეც მზადაო“ [„ივერია“, 1892: N262, 10 დეკემბერი].

ალექსანდრა წერეთელი გვევლინება საბჭოთა პერიოდის პირველ მეცნიერად, რომელმაც ინტერესი გამოიჩინა იმ ქართველი პროფესიონალი მოქანდაკის შემოქმედების მიმართ, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა იაკობ ნიკოლაძის არჩევანში. „90-იან წლებში ქანდაკებაში მუშაობას იწყებს სერაფიმ პოლოლიკაშვილი, რომელმაც გარკვეული როლი ითამაშა იაკობ ნიკოლაძის ცხოვრებაშიც. როგორც თვით ი. ნიკოლაძე აღნიშნავს, ოდესაში სამხატვრო სასწავლებელში სწავლის დროს ს. პოლოლიკაშვილის, რომელიც მას აქ დახვედრია, დაჟინებითი რჩევით ი. ნიკოლაძე ფერწერის კლასიდან გადასულა ქანდაკების კლასში პროფ. იორინისთან“ [დასახ. წიგნი გვ. 15]. ნაკლებად ცნობილი, მაგრამ მის სიცოცხლეში აღიარებული ქართველი მოქანდაკის სერაფიმ პოლოლიკაშვილის (1870-1918) შემოქმედების წარმოჩენა ქართული თანამედროვე პორტრეტული ქანდაკების წინმსწრებ ფაქტორად, ავლენს მეცნიერის მიზანს ხაზი გაუსვას მრგვალი ქანდაკების ტრადიციების უწყვეტობას. ამავე მიზანს ემსახურება მეორე პროფესიონალი მოქანდაკის - ალექსანდრე თარხნიშვილის შემოქმედების მოკლე მიმოხილვა (ისიც 90-იანი წლების მეორე ნახევარში გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე). ამასთან, ნაშრომი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადენს შემდგომი სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის, ვინაიდან: 1. მასში ზუსტად არის მითითებული ადგილსამყოფელი, მოცემულია ფოტო და აღწერილობა ს. პოლოლიკაშვილის ქმნილებებისა, რომლებიც დღეისათვის დაკარგულია ან მიუწვდომელი. მათ შორისაა ლადო მესხიშვილის სკულპტურული პორტრეტი, რომლის აღწერილობა და ფოტო გამოქვეყნებულია წიგნში. გარდა ამისა, მითითებულია ადგილსამყოფელი (ქუთაისის დრამატული თეატრი) და საინტერესო დეტალი: ეს პორტრეტი მას „ნატურიდან გაუკეთებია“. [დასახ. წიგნი. გვ. 15] აღნიშნულმა ფრაზამ დამანახა აუცილებლობა სადისერტაციო ნაშრომის მოძიებისა, რომლის საფუძველზეც გამოიცა მითითებული წიგნი. და მართლაც, მივაგენი მნიშვნელოვან დეტალებს. კერძოდ, ა. წერეთელს დასახელებული აქვს პორტრეტის ნატურიდან შესრულების შესახებ ინფორმაციის წყარო - („შალვა დადიანის ცნობით“). ამასთან იქვე, სქოლიოში აღნიშნულია, რომ „ამ ნამუშევრის დადგენასა და ფოტოს გადაღებაში დიდი დახმარება გამიწია ქუთაისის დრამატული თეატრის დირექტორის მოადგილემ დ. ჭეიშვილმა“). 2. გარდა ამისა, წიგნში იკითხება: „ჩვენს მიერ შეკრებილი ცნობებით, მოქანდაკეს უკეთებია მცირე ზომის როგორც ცალკეული ფიგურები, ისე ჯგუფური ქანდაკებანი (რუსი გლეხი ქალი და კაცი, თაბაშირი; რომეო და ჯულიეტა, თაბაშირი; ტირორელი კაცი, შეღებილი თაბაშირი და სხვ.). სადისერტაციო ნაშრომის სქოლიოში კი მითიებულია ინფორმაციის წყარო -

„დოც. ფატი გოკიელის ცნობით“. 3. წიგნში დასახელებულია მოქანდაკის კიდევ ერთი ნამუშევარი: „მას გაუკეთებია აგრეთვე ღვთისმშობლის ქანდაკება, ე.წ. „ლურდის ღვთისმშობელი“, რომელიც მდგარა ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში“. სადისერტაციო ნაშრომის სქოლიოში აქაც მითითებულია: „მოქანდაკე ვალერიან მიზანდარის ცნობით“. სქოლიოში დაფიქსირებული განმარტებებით აშკარაა, რომ მეცნიერი ქუთაისში უშუალოდ ეცნობა ს. პოლოლიკაშვილის ნამუშევრებს და იძიებს სანდო ინფორმაციას პროფესიონალებისა თუ კონკრეტული პასუხისმგებელი პირებისაგან. ლოგიკურად ჩნდება კითხვის ნიშანი: თუ გასული საუკუნის 50-იან წლებში ს. პოლოლიკაშვილის ნამუშევრების ადგილ-სამყოფელი ჯერ კიდევ ცნობილი იყო, რატომ გაქრა მათი კვალი შემდგომ პერიოდში და რატომ არის ნაკლებად ცნობილი მხატვარი, რომლის შემოქმედება ა. წერეთელს განხილული აქვს საქართველოში მრგვალი ქანდაკების ტრადიციის ისტორიულ ჭრილში. 4. არის კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ერთგვარ გზამკვლევად აღიქმება ს. პოლოლიკაშვილის შემოქმედებით დაინტერესებულ მკვლევართათვის. ეს არის იაკობ ნიკოლაძის მოგონებები. „ქუთაისში დაბრუნებულს უმუშავნია ქანდაკებაში მხატვარ-რეტუშორად, შენობათა ჩუქურთმებით შემკობაზე. როგორც ი. ნიკოლაძე თავის ხელნაწერ „შენიშვნებში“ აღნიშნავს, 1898-1899 წლებში მას პოლოლიკაშვილთან ერთად გაუფორმებია სტეფ. ფეიქაროვის (ფეიქრიშვილის) სახლის ფასადი ქუთაისში. ყოფილა პარიზშიც იაკობ ნიკოლაძესთან, მაგრამ სასწავლებლად დარჩენა იქ ვერ მოუხერხებია უსახსრობის გამო“ [გვ. 15].

ა. წერეთლის დამოკიდებულება ს. პოლოლიკაშვილის შემოქმედების მიმართ შემთხვევითი არ უნდა იყოს. მის შესახებ არსებული ინფორმაციის მოძიების შედეგად, ცნობილი გახდა, რომ იგი „ქუთაისის საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ჩარიცხულ იქნა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1925წ.“ [ნეკროლოგი. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. 1970წ. 1 მაისი „ლიტერატურული საქართველო]. მაშასადამე, ალექსანდრა წერეთლის ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები სწორედ ის პერიოდია, როცა ქუთაისის მდიდარ სახელოვნებო სივრცეში დაცული და ძალზე ფასეულია იმხანად აღიარებული მოქანდაკის ხელთქმნილი ნაკეთობანი. ის, რომ ქანდაკება მისი არა მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომის თემა, არამედ ინტერესის განსაკუთრებული სფეროა, ჩანს ს. ნაციაშვილის წერილიდან [ნაციაშვილი ს. 1964: N12], საიდანაც გამოვყოფ ორ დეტალს: მან დაასრულა მუშაობა

პირველი მოქანდაკე ქალის - ნინო წერეთლისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაზე და ფრანგულიდან თარგმნა რომენ როლანის თხზულება მიქელანჯელოზე.

ს. პოლოლიკაშვილის პოპულარობისა და ამასთანავე, თვითსრულყოფისაკენ მისი ლტოლვის დასტურია იმჟამინდელი პრესა, რომლიდანაც გამოვყოფ ერთ პუბლიკაციას. ვფიქრობ, მან ერთგვარი ისტორიული როლიც კი შეასრულა ქართული სახელოვნებათმცოდნეო ტერმინოლოგიის აღმოჩენის თვალსაზრისით.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ N261 1897წ. 22ივლისი

ამხანაგი. „ქუთაისი. ახალგაზრდა მხატვარი-მოქანდაკე“

„ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება ერთი აქაური ახალგაზრდა ქართველი მხატვარი-მოქანდაკე ს. პოლოლიკაშილი, რომელმაც სწავლა ოდესაში მიიღო. ეს ყმაწვილი საუცხოვოდ ხატავს სხვა-და-სხვა სურათებს და აკეთებს გამოქანდაკებულ სახეებს. ამ დღეებში მან დაამთავრა შოთა რუსთაველის **<u>აღალმა</u>** (ბიუსტი), (ხაზი ჩემია ლ.ბ.) რომელიც სწორედ შესანიშნავის სინამდვილით არის გამოქანდაკებული გოლოვნიას სურათიდან: შოთას წინ გამოყვანილია „ვეფხისტყაოსანი“. წიგნს ზედ ადევს დაფნის გვირგვინი; აღალმის დასადგამი გარშემო შემკულია სუროს ფოთლებით. მალე კიდეც ჩამოასხამს და შემდეგში ყველას შეეძლება იქონიოს სახლის დასამშვენებლად ჩვენის უკვდავის მგოსნის აღალმა; ფასიც იაფი ექნება: თითო ეღირება რვა აბაზ-ნახევრად (1მ. 70კ.); მნახველი იმდენი მოდის, რომ ტევა არ არის ოთახში; ყველა აღტაცებულია ყმაწვილის ხელოვნებით. ეხლა ის შეუდგა ჩვენის საუკეთესო მსახიობის ვლ. ალექსი-მესხიშვილის აღალმის კეთებას. ყმაწვილი სწავლის განსაგრძობად სტამბულს აპირებს წასვლას, მაგრამ მეტის-მეტი სიღარიბე ხელს უშლის. იმედია, ჩვენი ქართველობა, როგორც ხელოვნების მოტრფიალე ხალხი, აღალმის ყიდვით, თუ კერძო დახმარებით შემწეობას აღმოუჩენს ამ ყმაწვილს და შეაძლებინებს სწავლის გაგრძელებას. სწორედ ცოდვა იქნება, რომ ასეთი მდიდარი ნიჭი სიღარიბის გამო არ განვითარდეს“.

ბიუსტის ქართულ შესატყვისობად აღალმა-ს გამოყენება, აქამდე, პირველ შემთხვევად მეგულება. მის განმარტებას მივაგენი სულხან-საბას ლექსიკონში: „აღალმა - ხატი, გინა ხელით ქმნული. ხატი, გინა კერპი. აღალმა არის ხატი, გინა კერპი ხელით-ქმნული“ [სულხან-საბა ორბელიანი. გვ. 75].

რუსთაველის პორტრეტული ქანდაკების ხატთან, კერპთან გაიგივება გამომდინარეობს უპირველესად პოეტის გამოსახვის შინაარსიდან, რაც ვლინდება მისი გარემომცველი ელემენტების ლოგიკურ დაქვემდებარებაში პოეტის პორტრეტთან. ამასთან, გადამწყვეტი მისია ძლიერი ემოციური მუხტისა და სათანადო ფსიქოლოგიური განწყობის შესაქმნელად, მაინც ფორმათქმნადობის დახვეწილ, შინაარსთან შესაბამის მანერას აკისრია. ამდენად, ს. პოლოლიკაშვილის მიერ ქმნილი რუსთაველის გამოსახულების მოხსენიება აღალმად სრულიად ბუნებრივად აღიქმება. ეს კი ასევე ლოგიკურად აკავშირებს მას ქართული მრგვალი ქანდაკების ტრადიციებთან, რაც სულხან-საბას ეპოქაშიც არსებობდა. ვინაიდან ს. პოლოლიკაშვილის ნამუშევრის აღალმად მოხსენიება ქართულ პრესაში ერთადერთი შემთხვევაა, ინტერესი გამოიწვია „ამხანაგის“ ფსევდონიმით ხელმოწერილი სტატიის ავტორის ვინაობამ. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საარქივო ფონდის განყოფილების უფროსის ქალბატონ მაია მიქაბარიძის დახმარებით, დადგინდა, რომ ეს იყო დავით ავალიანი (1874-1932) - მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე (დაბ. ადგილი ქვემო ქვიტირი, წყალტუბოს რ.), დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. იყო კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ორგანიზაციების (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, წიგნის საგამომცემლო ამხანაგობა, ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება და სხვ.) აქტიური მონაწილე. 1897 წლიდან მისი წერილები, ნარკვევები, თარგმანები, თეატრალური რეცენზიები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ და რუსულ პრესაში („ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „სახალხო ფურცელი“, „გრუზია“, „ვოზროჟდენიე“, „ჩერნომორსკი ვესტნიკი“, „ს. პეტერბურგსკიე ვედომოსტი“) ფსევდონიმებით: „დონ-ვალიანი“, „დამსწრე“, „ამხანაგი“, „ისარი“, „კირაკოზა“, „OH“, „Neuter“. თარგმნა უცნობი ავტორის „ორი მხატვარი“ (1912, თბილისი), მ. დიმიტრიევის „პაწია და ბუნგლია“ (1902, 1926 ქუთაისი), ი. მავრის „ჩადრი“, რ. თაგორის საყმაწვილო მოთხრობები და სხვ. [წყარო: საქ. ენციკლოპედია ტ. I თბ. 1997 გვ.58]. წყაროში მისი სპეციალობა მითითებული არ არის. თუმცა მთარგმნელობითი საქმიანობიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, ლინგვისტი უნდა იყოს. ამდენად, „აღალმის“ ხმარება კონტექსტში სანდოა და შემთხვევითობას გამორიცხავს.

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის 10-იანი წლების გამოჩენილი, იმჟამინდელი საზოგადოების მიერ აღიარებული პროფესიონალი მოქანდაკის, შოთა რუსთაველის

პირველი ქანდაკების ავტორის - სერაფიმ პოლოლიკაშვილის შემოქმედება, ვფიქრობ, სავსებით მიზანდასახულად, საბჭოთა სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერების იდეოლოგიიდან გამომდინარე, მიეცა დავიწყებას და არა აქვს მიჩენილი ის ადგილი ქართული პროფესიული ქანდაკების ისტორიაში, რასაც იგი ჭეშმარიტად იმსახურებს. არგუმენტებს აღნიშნული მოსაზრების დასამტკიცებლად მოგვიანებით წარმოვადგენ. მანამდე კი, ს. პოლოლიკაშვილის შემოქმედების განხილვას დავიწყებ იმით, რომ მისი პროფესიული არჩევანი და ლტოლვა თვითსრულყოფისკენ არ იყო შემთხვევითი. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მოქანდაკის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სტატიის „ქუთაისი - რუსთაველის ქანდაკების სამშობლო“ ავტორი ი. ჯავახიშვილი, რომელსაც ჰქონდა საშუალება უშუალოდ გაცნობოდა მისი ქალიშვილის - მხატვარ მარგარიტა პოლოლიკაშვილის ხელთ არსებულ მასალებს. „ისინი კი იმაზე მეტყველებენ, რომ პოლოლიკაშვილებიც რუსთაველის სამშობლო მხარიდან ყოფილან... სერაფიმეს ხელოვნება იტაცებდა და უპირატესად ხატვა-ძერწვა უყვარდა... რამდენიმე წინაპარი ჭედურობისა და ფუნჯის ოსტატები ჰყოლია... ბავშვობიდანვე ხატავდა და ძერწავდა. ცხოველებისა და საყოფაცხოვრებო სიუჟეტების ქაღალდზე თუ ტილოზე ასახვით თვითნასწავლი მხატვრის სახელი მოიხვეჭა. ამან გააძლიერა მისი სწრაფვა - სრულყოფილად დაუფლებოდა ფერწერისა და ქანდაკების საიდუმლოებას“ [ჯავახიშვილი ი. 1966წ. 4 სექტემბერი].

ი. ჯავახიშვილის აღნიშნულმა ჩანაწერმა მიკარნახა მომეძებნა ის წინაპრები და სავარაუდოდ - საგვარეულო დინასტია, რომელთა უნარ-ჩვევები და სახელოვნებო გამოცდილება აირეკლა სერაფიმე პოლოლიკაშვილის გენეტიკურ მეხსიერებაში. ი.ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს დედის გვარი - ბალახაშვილი, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია მესხეთში. დახმარებისთვის მივმართე სამცხე-ჯავახეთის სახელწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ქალბატონ ცირა მესხიშვილს, რომელიც წლების განმავლობაში მოღვაწეობდა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში და იკვლევდა მესხეთის სახელოვნებო-საგანმანათლებლო კერებისა და ხალხური რეწვის ოსტატთა ისტორიას. ქალბატონმა ცირამ დამიდასტურა ქვის კვეთის ოსტატ ბალახაშვილთა არსებობის ფაქტი. ამდენად, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ს. პოლოლიკაშვილის შემოქმედება კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია როგორც ლითონმქანდაკებლობის, ასევე ქვის კვეთის ოსტატთა დინასტიების არსებობისა

საქართველოში. მასში გაცხადდა ქართული ხალხური რეწვის ოსტატთა გენეტიკური მახასიათებლები: სწრაფვა განათლებისა და პროფესიული სრულყოფისაკენ; ტრადიციის შენარჩუნება და ამასთან, ზრუნვა მის განვრცობა-განვითარებაზე სახელოვნებო სივრცეში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებთან მიმართებაში. ამ თვალსაზრისითაც, ი. ჯავახიშვილი მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის მკითხველს ემოციურად, მისთვის დამახასიათებელი ხატოვანი ხელწერით. „სერაფიმ პოლოლიკაშვილი მის ნათესავებს დაუდეგარ და მოუსვენარ ადამიანად ჩარჩათ მეხსიერებაში. სად არ დადიოდა! უყვარდა მოგზაურობა, ხალხთა ყოფაცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების შესწავლა. მოიარა აზერბაიჯანი, შუა აზია, თურქეთი, იერუსალიმი. ვინ იცის, იქნებ ჯვარის მონასტრის სტუმარიც იყო… პირველი სერიოზული ნამუშევარი, რომელმაც მტკიცედ დაუმკვიდრა მას მოქანდაკის სახელი, სწორედ რუსთაველის სკულპტურული პორტრეტი გახლავთ. იგი გამოძერწა 1897 წელს. მოდელი ქუთაისში, თავის სახელოსნოში შექმნა და თაბაშირით იქვე ჩამოასხა სერიულად.“ „მხარბეჭიანი, ტანადი, სუფთად ჩაცმული, ცისფერთვალება ქუთაისელი ოდესაში გაემგზავრა და სამხატვრო სასწავლებელში შევიდა. გულმოდგინედ იმეცადინა. ბევრი ღამე თეთრად გაათენა საცხოვრებელსა და სახელოსნოში. ბეჯითობით სტუდენტთა და პედაგოგთა სიყვარული დაიმსახურა. იმ ხანად ოდესაში იაკობ ნიკოლაძე გაიცნო და გულწრფელი მეგობრობა გააჩაღა მომავალ დიდ სკულპტორთან. ი. ნიკოლაძე თავის ოჯახში ხშირად იგონებდა პოლოლიკაშვილთან გატარებულ დღეებს. ამ მეგობრობამ ხომ ღირსსამახსოვრო კვალი დააჩინა ი. ნიკოლაძის ფართო ასპარეზზე გამოსვლას. სერაფიმე გახდა მეგობრის ცხოვრებაში ახალი ხანის დაწყების ერთგვარი ბიძგის მიმცემი. სწორედ მისი რჩევით გადავიდა ი. ნიკოლაძე ფერწერის კლასიდან ქანდაკების კლასში... გმადლობთ პოლოლიკაშვილო! - შეგვიძლია აღტაცებით წამოვიძახოთ დღეს, როცა იაკობ ნიკოლაძის სკულპტურულ ხვავს გადავავლებთ თვალს და ქედმოხრილი, დუმილით პატივს ვცემთ დიდი მოქანდაკის ხსოვნას“.

ი. ჯავახიშვილი პირველია, ვინც პერსონალურად მიუძღვნა სტატია სერაფიმე პოლოლიკაშვილს, რომლის მეოხებით ქუთაისი რუსთაველის ქანდაკების სამშობლოდ გამოაცხადა პოეტის 800 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით. იგი არ შემოიფარგლა არა თუ რუსთაველის პორტრეტული ქანდაკებით, არამედ არც იმ ინფორმაციით, რომელსაც გაეცნო ა. წერეთლის წიგნში. ი. ჯავახიშვილის დამსახურებაა ს. პოლოლიკაშვილის მოღვაწეობის თანადროული პრესის „აღმოჩენა“, ქუთაისისა და

ბათუმის შენობათა ფასადების მხატვრული გაფორმების კონკრეტული მაგალითების განხილვა. აღნიშნული ფაქტი კი, დასტურია იმისა, რომ ევროპაში ყოფნის დროს, კონკრეტულ არქიტექტურულ სივრცეში უშუალოდ ნანახი, აღქმული და გაცნობიერებული თანამედროვე ტენდენცია ევროპული ქალაქის იერსახის შექმნისა, აირეკლა ს. პოლოლიკაშვილის მხატვრულ კონცეფციაში.

მოქანდაკის არა მხოლოდ მხატვრული გემოვნების, არამედ მისი პატრიოტული სულისკვეთების ამსახველია ის ფაქტები, რომლებზეც აქცენტირებას ახდენს სტატიის ავტორი: 1. „სერაფიმემ ატელიეს კედლები დაამშვენა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის და ლადო მესხიშვილის ფერწერული პორტრეტებით. გამოძერწა ამ უკანასკნელის ქანდაკებაც, რომელიც ამჟამად ქუთაისის თეატრს ამკობს.“ 2. „1907 წელს მოსკოვში გამოიცა ქუთაისელი კომპოზიტორის ა. კვაჭანტირაძის მუსიკალური ნაწარმოები „დარდი საქართველოზე“. ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ვალსის ნოტების სატიტულო ფურცელი მხატვრობით შეამკო ს. პოლოლიკაშვილმა. წიწამურ-საგურამოს ლამაზი ხედისა და მთის ფერდობზე დადგმული ტყისმცველის ქოხის ფონზე მაღლა მოჩანს ზედაზნის მონასტრის შენობა. მანამდე გაცილებით ადრე კი მრავალი საინტერესო სკულპტურული ფიგურა შექმნა.“ 3. „მოქანდაკე ს. პოლოლიკაშვილი ქართული თეატრის დიდი მოტრფიალეც ყოფილა“. ი. ჯავახიშვილი აღწერს ექიმ გაბრიელ გოკიელის ბინას, რომელსაც „ასევე ამშვენებდა რუსთაველის ქანდაკება და სადაც ხშირად იკრიბებოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ლადო მესხიშვილი, იაკობ ნიკოლაძე და სხვა ქართველი მოღვაწეები. ეს სახლი - გვაცნობა მათი სტუმრობის მოწმემ - არქიტექტურულად, გემოვნებით გააფორმა სერაფიმ პოლოლიკაშვილმა. ლავგარდანში ჩააქსოვა მუსიკალური საკრავები - დაფი, ნაღარა, თარი. საძინებელი ოთახის სამკაულად მოჩანდა მანდილოსანთა თავები, ხოლო საბავშვო ოთახი დამშვენებული იყო საპლაფონე მხატვრობის ნიმუშებით.“ სტატიის ავტორი აგრეთვე აღწერს ბათუმში განხორციელებულ სამუშაოებს. „ბათუმში ჩუქურთმებით შეამკო საბაშვილის სახლი. კათოლიკური ეკლესიის ფასადი დაამშვენა ორიგინალური ორნამენტებით. 1918 წელს მახინჯაურში მხატვრულად აფორმებს ე.წ. „ფესენკოს აგარაკს“, რომელიც ახლაც იმავე ადგილას დგას და დღესაც გამოირჩევა მოჩუქურთმების სილამაზით. ამ სახლზე მუშაობა მისთვის საბედისწერო შეიქმნა. მახინჯაურში შემოიჭრა თურქების ბანდიტური რაზმი და 43 რჩეული ქართველი დაატყვევა. მათ შორის იყო

ალალმართალი ს. პოლოლიკაშვილიც. თურქებმა ისინი აჭარისწყლის პირას დახვრიტეს და გვამები მდინარეში გადაყარეს.“

ქართველი მოქანდაკის შემოქმედების შესახებ ახალი, მანამდე უცნობი ინფორმაციის მომპოვებელი ავტორი, ცხადია, იმსახურებს ყურადღებას. საქართველოს ბიოგრაფიულ ლექსიკონში მოვიძიეთ იმ პერიოდის ყველა პუბლიცისტი ი. ჯავახიშვილი. მათგან, აღნიშნული სტატიის ავტორის წერის მანერა და მისი ინტერესის სფერო ესადაგება მხოლოდ ერთ ივანე ჯავახიშვილს - 1911 წელს დაბადებულ დრამატურგს, კომპოზიტორსა და მსახიობს, რომელიც „1935 წლიდან შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობია... გამოდიოდა ესტრადაზეც; <u>დაწერილი აქვს პიესები,</u> რომლებიც იდგმებოდა რესპუბლიკის სახელმწიფო და სახალხო თეატრებში. <u>წერდა მუსიკას სიმღერებისათვის ფანდურის თანხლებით...</u> (ხაზი ჩემია. ლ.ბ.) თავადაც სიმღერების უბადლო შემსრულებელი იყო.“ 1952წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

ივანე ჯავახიშვილის წერილების ჩამონათვალის გასაცნობად დახმარება გამიწია კვლავ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საარქივო ფონდის განყოფილებამ (ქალბატონი მაია მიქაბერიძე). აღნიშნულ ჩამონათვალში (სულ 82 პუბლიკაცია, მათ შორის 22 - გაზეთში „ქუთაისი“) არ აღმოჩნდა წერილი ს. პოლოლიკაშვილზე. როგორც ქალბატონმა მაიამ განმარტა, დასაშვებია ისიც, რომ გარკვეულ მიზეზთა გამო ეს სია არ იყოს სრული. აღნიშნული პიროვნების შესახებ ინფორმაციის დაზუსტებაში დახმარება გამიწიეს აგრეთვე რუსთაველის თეატრის მუზეუმის თანამშრომლებმა. მათ მიერ მოწოდებული მასალიდან შევარჩიეთ ის ეპიზოდები, რომლებიც გარკვეულწილად თანხვედრაშია მოქანდაკისადმი მიძღვნილი წერილის ავტორის ხედვასთან: „რუსთაველის თეატრში მოღვაწეობისას ივანე ჯავახიშვილმა შეასრულა მრავალი როლი კარგად ცნობილ თეატრალურ დადგმებში... მაგრამ იძულებული გახდა დაეტოვებინა თეატრი 1957 წელს საავტომობილო ავარიაში მიღებული მძიმე ტრავმით გამოწვეული შრომისუნარიანობის ნაწილობრივი დაკარგვის გამო... ნაყოფიერად მოღვაწეობდა დრამატურგიაშიც. საქართველოს სხვადასხვა თეატრში დადგმულია თოთხმეტი დასახელების მისი პიესა... პიესისათვის „უქნარა“ ივ. ჯავახიშვილს მიენიჭა საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურული პრემია დრამატურგიის დარგში“... „პარალელურად უნივერსიტეტის დიდ სააქტო დარბაზში ვახტაგ კოტეტიშვილის ლექციებს ესწრებოდა, როგორც

თავისუფალი მსმენელი... ცნობილია, რომ ვახტანგ კოტეტიშვილი ფანდურით შედიოდა აუდიტორიაში, როცა ფოლკლორზე კითხულობდა ლექციებს. დაუკრავდა, იმღერებდა, თან განმარტავდა სხვადასხვა კუთხეში როგორ კილოში იმღერებოდა ესა თუ ის სიმღერა. როდესაც „ვეფხვსა და მოყმეს“ შეეხო და მეცნიერულად გააანალიზა, ლექსი ისე წაუკითხავს ბატონ ვახტანგ კოტეტიშვილს, რომ ვანო ჯავახიშვილს თავბრუ დახვევია, გაოგნებული მისულა სახლში, ფანდურთან მივარდნილა და ერთ ღამეში შეუქმნია სიმღერა „ვეფხვი და მოყმის“ ლექსზე. მეორე დღესვე მივიდა თეატრში და მოასმენინა ლეგენდარულ რეჟისორს რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს სანდრო ახმეტელს. დაამთავრა თუ არა სიმღერა ვანო ჯავახიშვილმა, სანდრო ახმეტელს წამოუძახია - „ევრიკა, ევრიკა!!!“ „ვახტანგ კოტეტიშვილის ლექციაზე წაკითხული „ვეფხვი და მოყმე“ იყო ჩემი სიმღერის შექმნის შთაგონება. <u>ყველაზე დიდი შეფასება კი - სანდრო ახმეტელის წამოძახილი: „ევრიკა, ევრიკა!!!“</u> (ხაზი ჩემია. ლ.ბ.), აღნიშნული შეფასება თავისი ემოციური მუხტით და აზრობრივი დატვირთვით ძალზე ახლოსაა ი. ჯავახიშვილის მადლიერების გამომხატველ შეძახილთან ს. პოლოლიკაშვილის მიმართ. მისი წერილები საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში 1959 წლიდან ქვეყნდება ანუ მას შემდეგ, რაც 1957 წელს იძულებული გახდა დაესრულებინა სამსახიობო კარიერა, რამაც მეტი დრო და საშუალება შეუქმნა სამწერლობო საქმიანობის განსახორციელებლად. გარდა ამისა, არა მხოლოდ ლოგიკური ვარაუდის, არამედ შედარებითი ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა რიგი პიროვნული თვისებებისა, რაც გვაძლევს საფუძველს იმისათვის, რომ ს. პოლოლიკაშვილისადმი მიძღვნილი წერილის ავტორად ვცნოთ სწორედ ეს ივანე ჯავახიშვილი. კერძოდ: 1. ინტერესი მუსიკალური ხელოვნების მიმართ (დიდ ადგილს უთმობს ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის შემოქმედებას); 2. წერილები სახვით ხელოვნებაზე (გაზეთში „ქუთაისი“ გამოქვეყნებული წერილები თვითნასწავლ მხატვარ-დეკორატორ ს. გოლეთიანის, არქიტექტორ ი. ციციშვილის, მოსე თოიძის შესახებ); 3. ს. პოლოლიკაშვილის შემოქმედებითი სივრცის წარმოჩენა (აქცენტი მუსიკაზე, თეატრზე, საკრავებზე, ქართველ ხელოვანებზე და ა.შ.) წერის თავისებური მანერით, ჰგავს თეატრალურ სანახაობას, სპექტაკლს; 4. და ბოლოს - დავიწყებას მიცემული ღვაწლით მოსილი პიროვნების გახსენება: „დავიწყებული ალექსი“ [რუსული საოპერო ხელოვნების ამაგდარი აკ. წერეთლის ვაჟი. „ქუთაისი“. 1988, 19აპრილი]. ს. პოლოლიკაშვილისადმი მიძღვნილი წერილი კი ასე მთავრდება: „ასე მხეცურად გამოასალმეს წუთისოფელს ადამიანი, რომელიც თუნდაც მარტო იმისათვის არ უნდა დავივიწყოთ, რომ შოთა

რუსთაველის პირველი ქანდაკება გვაჩუქა! კარგი იქნება, თუ დიდი პოეტისა და მოაზროვნის პირველი ბიუსტის შემქმნელის ხსოვნის აღსანიშნავად ყოფილ ატელიეს შენობას მემორიალური დაფა შეამკობს“ [ჯავახიშვილი ი. 1966წ. 4 სექტემბერი]. ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა 1991 წლის 9 დეკემბერს. იგი დაკრძალულია მუხათგვერდის ხელოვნებისა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

იგივე საკითხს - ს. პოლოლიკაშვილის არდავიწყებისა და მისი შემოქმედების შესწავლის აუცილებლობის შესახებ - ეძღვნება ვახტანგ სიდამონიძის წერილი „ქართული მხატვრობის ქრონიკები“ [„საბჭოთა ხელოვნება“. 1978წ. N 5]. აღნიშნულ წერილში ავტორი მიმოიხილავს ორი ქართველი ხელოვანის - მხატვარ ისაია ჯანჯუღაშვილისა (რომელიც „საქართველოში თითქმის სრულიად უცნობია“) და მოქანდაკე სერაფიმ პოლოლიკაშვილის შესახებ („ჩვენამდე მცირე ცნობებია მოღწეული მის შემოქმედებით საქმიანობაზე“). წერილში მოკლედ არის მოწოდებული ის ინფორმაცია, რომელიც ვრცლად არის გაშუქებული ი. ჯავახიშვილის წერილში. ამ თვალსაზრისით იგი სიახლის შემცველი არ არის ორი მნიშვნელოვანი დეტალის გარდა: 1. „სერაფიმე ნატურიდან სწრაფად აკეთებდა ჩანახატებს და შემდეგ მათ საფუძველზე ქმნიდა მხატვრულ ნაწარმოებენს... ამავე პერიოდს მიეკუთვნება შოთა რუსთაველის ბიუსტი. ნახატებში შოთა რუსთაველი გამოხატული ჰყავს პროფილში“. აღნიშნული ჩანახატები, რომლებიც, როგორც ჩანს, ესკიზების ფუნქციას ასრულებდა სკულპტურული პორტრეტების შესაქმნელად, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მეტყველებს ს. პოლოლიკაშვილის პროფესიონალიზმზე. მათი ნახვის საშუალება წერილის ავტორს, სავარაუდოდ, ჰქონდა მაშინ, როცა, მისი თქმით, შეხვდა მარგარიტა პოლოლიკაშვილს, რომელმაც მიაწოდა გარკვეული ცნობები. 2. არის კიდევ ერთი დეტალი: „მხატვრის ნამუშევრების ნაწილი (შოთა რუსთაველი, ალ. ყაზბეგი, ლადო მესხიშვილი) დღემდე ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული“). მაშასადამე, წერილის გამოქვეყნების პერიოდისთვის (1978წ.) აღნიშნული სამუზეუმო ექსპონატები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ადგილსამყოფელს. წერილის დასასრულს, ვახტანგ სიდამონიძე კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „ამ ნიჭიერი ქართველი მხატვრის და მოქანდაკის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლა მომავლის საქმედ რჩება“.

თავის სიცოცხლეში სახელმოხვეჭილი პროფესიონალი მოქანდაკის - სერაფიმ პოლოლიკაშვილის შემოქმედება იმდენად არაპოპულარული ხდება საბჭოთა იმპერიის

პერიოდში, რომ არათუ ინფორმაცია მასზე, არამედ მისი ქმნილებებიც გამქრალი და მოსაკვლევია. ამის ძირითად მიზეზი კი ის არის, რომ მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია სრულ წინააღმდეგობაშია საბჭოთა სახელოვნებათმცოდნეო სტანდარტებთან. კერძოდ, ქვის კვეთის ოსტატთა მესხური დინასტიის გამგრძელებელი ს. პოლოლიკაშვილი დაიბადა და აღიზარდა ეროვნული კულტურისა და სულიერების შენარჩუნება-განვითარების კერად ქცეულ ქუთაისში. ქართულენოვანი სახელოვნებო სივრცით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით, სამწერლობო-საგამომცემლო საქმიანობით მდიდარ ქუთაისს ჰქონდა კიდევ ერთი პრივილეგია კავკასიაში მეფისნაცვლის სატახტო ქალაქთან - თბილისთან შედარებით. ეს იყო უშუალო კონტაქტები ევროპასთან რუსეთის „შუამდგომლობისა“ თუ „დახმარების“ გარეშე (ს. პოლოლიკაშვილის წინაპრები სწორედ იმიტომ დასახლდნენ ქუთაისში, რომ აქ, კათოლიციზმის მეშვეობით, შესაძლებელი იყო წვდომა ევროპულ ღირებულებებთან). სერაფიმეს, რომელიც მეზღვაურად მუშაობდა, ჰქონდა საშუალება ევროპის ქალაქებში უშუალოდ გასცნობოდა მრგვალი ქანდაკების როგორც რენესანსის, ასევე თანადროული ეპოქალური მნიშვნელობის ორიგინალებს. შემთხვევითი არ არის მისი არჩევანი ოდესის სამხატვრო სასწავლებელზე, სადაც იტალიელი ლუიჯი იორინი ასწავლიდა ქანდაკების ხელოვნებას. შემთხვევითი არ არის არც ის ფაქტი, რომ მრგვალი ქანდაკების მდიდარი ეროვნული ტრადიციების თანამედროვე ენით ამეტყველება ს. პოლოლიკაშვილისა და ი. ნიკოლაძის შემოქმედების სახით მოხდა ქუთაისში. ნიკოლაძეების საგვრეულო დინასტიასაც ჰქონდა გენეტიკური მიდრეკილება ფორმათქმნადობისკენ. „მამა ივანე ნიკოლაძე გიშრის კვეთის ოსტატი იყო. გიშრის წარმოებას იმერეთში: ქუთაისში, ოკრიბაში, გელათში, კურსებსა თუ შორაპანში, ბევრი მისდევდა, თუმცა ივანე ნიკოლაძის ნაკეთობები თურმე განსაკუთრებული მოწონებით სარგებლოდა, რადგან მას გიშრის ზედაპირის დამუშავების განსაკუთრებული მეთოდისთვის მიუგნია“ [კიკნაძე ე. 2016: 14]. ყურადსაღებია მისი უფროსი ძმის - ვასილის გამოცდილება თიხისგან პორტრეტის ძერწვის საქმეში (გარდაიცვალა 1908წ. 50 წლის ასაკში). „მის გარდაცვალებას ვრცელი და ემოციური ნეკროლოგით გამოეხმაურა ჟურნალი „ნაკადული“, რომელთანაც იგი წლების განმავლობაში თანამშრომლობდა... „ჟურნალის იმავე ნომერში დაიბეჭდა ვასილ ნიკოლაძის სტატია, სადაც იგი თიხისგან პორტრეტის გამოძერწვისა და ყალიბში ფიგურის ჩამოსხმის შესახებ პრაქტიკულ რჩევებს აძლევს მკითხველს... მცირე ხანს სწავლობდა პარიზში... იგი მოყვარული მხატვარი იყო და, როგორც მოქანდაკის მოგონებებიდან ვიცით, მართლაც იქონია გავლენა უმცროსი ძმის

შემოქმედებით ინტერესებზე“ [კიკნაძე ე. 2016: 17-18]. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იაკობ ნიკოლაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილ საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში იგნორირებულია ქუთაისის როლი და ხაზია გასმული საბჭოთა პერიოდის მის რეალისტურ ქანდაკებაზე. ს. პოლოლიკაშვილის „არდანახვის“ მიზეზთაგანი სწორედ ის არის, რომ მან და მისი სახით ქართულმა მრგვალმა ქანდაკებამ თანამედროვე ტენდენციები უკვე გამოავლინა როგორც დაზგურ ქანდაკებაში, ასევე ქალაქების არქიტექტურული იერსახის დამშვენებაში ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, თბილისში ჩამოყვანილი რუსი თუ უცხოელი სკულპტორების გარეშე. გარდა ამისა, მისი შემოქმედების თემიდან, ილია ჭავჭავაძესთან და მის გუნდთან, ქართული თეატრის მოღვაწეებთან მჭიდრო ურთიერთობიდან გამომდინარე, აშკარაა მისი პატრიოტული სულისკვეთება.

იმის საილუსტრაციოდ, რომ იმპერიული იდეოლოგიის სტანდარტების ახლებურად გაჟღერებას თანამედროვე ქართულ სინამდვილეში XXI საუკუნეშიც აქვს ადგილი, ადასტურებს 2002 წელს თბილისში გამოცემულ რუსულენოვან ჟურნალში გამოქვეყნებული ქართველი პუბლიცისტის სტატია (შეგნებულად არ ვასახელებ სტატიის ავტორს და ჟურნალს). სტატიის ავტორის მიერ ქართველი პოეტებისა და მხატვრების გონებრივი შესაძლებლობების, საქართველოში არსებული ქალაქების (მათ შორის ქუთაისის) იგნორირება ემსახურება ერთადერთ მიზანს, რომელიც გაცხადებულია დასკვნით წინადადებაში: „დიდი გავლენა ქართველ მემარცხენე მხატვრებზე, რომლებიც გაერთიანებულები იყვნენ ჯგუფში H2SO4, უდავოდ იქონიეს რუსეთის ფუტურისტებმა“. სწორედ ამ დასკვნამდე მისასვლელი უვერტიურა, ვფიქრობ, იმეორებს ს. პოლოლიკაშვილის არაღიარების მოტივს. „ძნელი სათქმელია, რამდენად კარგად იცნობდნენ თავიანთი იტალიელი კოლეგების თეორიასა და პრაქტიკას ქართველი ფუტურისტები. არც პირველი და არც ტექნიკური მანიფესტი რუსულად არ დაბეჭდილა 1986 წლამდე. „ბრძოლა ტრიპოლთან“ რუსულად გადაითარგმნა 1915წ; რომანი „მაფარკა-ფუტურისტი“ 1916 წ. ეს აღინიშნება იმიტომ, რომ საეჭვოა ავანგარდის ჩვენს თანამედროვე წარმომადგენლებს კარგად სცოდნოდათ ფრანგული ენა, მით უფრო იტალიური. კიდევ ერთი, ქართველმა ფუტურისტებმა დიდის ამბით აიტაცეს ლოზუნგი ურბანიზმის აუცილებელ გაბატონებაზე. ეს იყო რამდენადმე გასაოცარი, თუ გავიხსენებთ, რომ <u>მათი უმრავლესობა დაიბადა და გაიზარდა სოფლებში და</u> <u>საერთოდ, იმხანად მთელ</u>

<u>საქართველოში იყო სულ ერთი ქალაქი და ისიც სრულიად არაინდუსტრიული“</u> (ხაზი ჩემია. ლ.ბ.). აქვე უნდა გავიხსენოთ 2007 წელს თბილისში გამოცემული წიგნი „საქართველოს რუსი მხატვრები XX საუკუნე“, სადაც „რუსეთიდან ჩამოსული გამოჩენილი ოსტატები“ და საქართველოში მოღვაწე აქ დაბადებული ყველა არაქართველი მხატვარი (ფ. ხოდოროვიჩი, ე. ლანსერე, ი. შარლემანი, ბ. ფოგელი, კ. კვესი, მ. ლიაშენკო, ლ. სემეიკო, ლ. ფედორენკო, ლ. გლობა, გ. დიკი, ო. ტიმჩენკო, ა. რიაბოშენკო, ფ. პუში, რ. ფედორი, ნ. იაკოვენკო და სხვ.) მიჩნეულია რუს მხატვრად. აღნიშნული გარემოება წიგნში განმარტებულია შემდეგნაირად: „გარდა საკუთრივ რუსებისა, ალბომში ჩართულია ზოგიერთი უკრაინული, პოლონური, გერმანული, ლატვიური, და სხვა ძირების მქონე ის მხატვრები, რომელთა კუთვნილება რუსული კულტურისადმი განისაზღვრება არა საპასპორტო მონაცემებით, არამედ მასთან ღრმა სულიერი კავშირით“.

საბჭოთა იდეოლოგიის მარწუხებისგან თავისუფალ თანამედროვე მკვლევარს, ხელოვნებათმცოდნე ნინო ელერდაშვილს სწორედ ამ თავისუფლებამ მისცა საშუალება მოეძია და წარმოეჩინა ყველა იმ ავტორის ნაშრომი, რომელიც ეძღვნებოდა სერაფიმე პოლოლიკაშვილს. ამით მან გზა გაუხსნა თანამედროვე მკვლევართა ფართო აუდიტორიას განეხორციელებინა დავიწყებულ მოქანდაკესთან დაკავშირებული კვლევები სხვადასხვა მიმართულებით. ასეც მოხდა. როგორც ქალბატონმა ნინომ მითხრა, ახალი ქართული ქანდაკების სათავეების საფუძვლიანი შესწავლა-გამომზეურება აუცილებელ სამუშაოდ მიაჩნდა გამორჩეული ხედვითა და აზროვნებით აღიარებულ მეცნიერს დიმიტრი თუმანიშვილს. სწორედ მან დაავალა აღნიშნული კვლევების განხორციელება სპეციალისტს, რომელშიც, როგორც ჩანს, დაინახა მკვლევარ-შემფასებლის დამოუკიდებლობა და სითამამე. აღნიშნულმა პროფესიულმა მახასიათებელმა გაუხსნა ფართო ასპარეზი ნინო ელერდაშვილს, რათა დაეხატა იმჟამინდელი ქუთაისის სახელოვნებო სივრცე, რომელშიც წარმოიშვა ფალიაშვილების, ნიკოლაძეების, ოცხელების, პოლოლიკაშილების და მრავალი სხვა სახელოვანი მოღვაწის შემოქმედება და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - მრგვალი ქანდაკების ტრადიციის გაგრძელება- განვითარების საფუძველი.

„საქართველოში კათოლიკე მისიონერების გამალებული მოღვაწეობა XVII ს-ში დაიწყო, რასაც გაკათოლიკებული ქართველების მომრავლება მოჰყვა. XIX საუკუნეში ქუთაისში კათოლიკეთა უბანი რიონის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ იყო განლაგებული... სერაფიმეს

მშობლები: ალექსანდრე პოლოლიკაშვილი და სალომე ბალახაშვილი კათოლიკეთა ქუჩაზე ცხოვრობდნენ. ეს ქუჩა დღესაც ქუთაისის ერთ-ერთი გამორჩეულად კოლორიტული ადგილია... სერაფიმეს დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ, 1871 წლის 3 აგვისტოს, იმავე ქუჩაზე მეორე სახელოვანი ვაჟი იბადება, სახელად ზაქარია (მას ქართული კლასიკური ოპერის ფუძემდებლის მისია ხვდა წილად). ზაქარია, მთელი ოჯახის დარად, მუსიკით იყო გატაცებული, სერაფიმეს კი ხატვა და ძერწვა იტაცებდა და ეს შემთხვევითი არ იყო... საგულისხმოა, რომ კათოლიკეთა სასაფლაოზე საფლავები ქანდაკებებით იმკობოდა. პატარა სერაფიმე აკვირდებოდა ამ (ერთგვარი „ღია ცისქვეშა მუზეუმის“) ქანდაკებებს და ცდილობდა თვითონაც გამოექანდაკებინა. ალბათ სწორედ ამ ქანდაკებებმა მისცეს ბიძგი ქუთაისელ ბიჭს, დაინტერესებულიყო პლასტიკის ხელოვნებით“ [ელერდაშვილი ნ. 2007:41-42]. აღნიშნული მოსაზრების არგუმენტად წერილის ავტორი ასახელებს ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საცავში დაცულ წმ. იოანე მახარებლის ბრინჯაოს ქანდაკებას ხელში სახარებითა და ფერხთით არწივის გამოსახულებით. მუზეუმის დირექტორის ნ. კვარაცხელიას ცნობით, აღნიშნული ქანდაკება მდგარა ვინმე ბაინდურაშვილის საფლავზე. ნ. ელერდაშვილის აღნიშნულ პუბლიკაციაში დაბეჭდილი ფოტოსურათის მეშვეობით ფართო საზოგადოებისთვის პირველად გახდა ცნობილი „საფლავად დადებული მაცხოვრის“ უნიკალური ქანდაკება, რომლის არსებობის შესახებ მან დ. თუმანიშვილისგან შეიტყო და საგანგებოდ მოიძია იგი. როგორც ა. წერეთლის წიგნში მოხსენიებული ე.წ. ლურდის ღვთისმშობლის ქანდაკება, ასევე ოსტატობით გამოძერწილი, ძლიერი ემოციური მუხტით შთაგონებული მაცხოვრის ფორმისმიერი ქმნილება თავდაპირველად დაბრძანებული იყო ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში.

„ქუთაისის კულტურული და სულიერი ცხოვრების აღმავლობის“ ეპოქალური მახასიათებლების წარმოსაჩენად ნ. ელერდაშვილი ყურადღებას ამახვილებს მესხეთიდან გადმოსახლებულ კათოლიკეთა შთამომავლის - იოსებ ოცხელის (1865-1919წწ.) კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე. იოსებ ოცხელის მოღვაწეობა მნიშვნელოვანი ეპიზოდია იმ ბრძოლისა, რომელიც უწევდა ქართველ ხალხს ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. „მან ქუთაისში დააარსა საქართველოში პირველი საჩვენებელი ბაღი, მოსამზადებელი კლასიც. ამ დროისთვის რუსეთსა და საქართველოში სკოლამდელი დაწესებულებები განათლების სისტემაში არ არსებობდა. 1901წ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ იგი ქართული სკოლის

ინსპექტორად დაამტკიცა. 1905 წლიდან ქუთაისის უუფლებო სკოლა, უფლებიან გიმნაზიად გადააკეთა... ამ პერიოდში ქართული ენისა და კულტურის დევნის მიუხედავად სკოლაში ეროვნული მაჯისცემა იგრძნობოდა. ბავშვთა განვითარების მიზნით ოცხელი აწყობდა გამოჩენილი მწერლების შეხვედრებს მოსწავლეებთან, რაც იმდროისთვის უჩვეულო მოვლენა იყო. ქართულ გიმნაზიაში მოდიოდნენ: აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ანტონ ფურცელაძე, შიო მღვიმელი, იროდიონ ევდოშვილი, დავით კლდიაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი და სხვ... ი. ოცხელის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ჯგუფები, რომელთაც ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შედგენაზე დაიწყეს მუშაობა... ი. ოცხელის ძალისხმევით ქუთაისი ქართული სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემის მძლავრ კერად გადაიქცა საქართველოში... გიმნაზიის მასწავლებლობა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა წრეს შეადგენდა, რომელთაც ნათლად ჰქონდათ შეგნებული, რომ ქართულ გიმნაზიაში პედაგოგიური მუშაობა ეროვნული საქმის ერთ-ერთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან უბანზე მოღვაწეობას ნიშნავდა. სხვა სიახლეებთან ერთად გიმნაზიის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას: მუსიკას, ხატვას. ი. ოცხელი ხელს უწყობდა და ახალისებდა გიმნაზიის პედაგოგებსა და მოსწავლეებს საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენაში.“

გიმნაზიის საქმიანობასთან დაკავშირებული დიდძალი მასალის შესწავლის პროცესში ნ. ელერდაშვილმა მიაგნო კიდევ ერთ, მანამდე უცნობ, საგულისხმო ინფორმაციას ს. პოლოლიკაშვილის შესახებ. კერძოდ, ი. ოცხელის გვერდით, გამორჩეულ პედაგოგებთან ერთად, ისიც მოღვაწეობდა ქართულ გიმნაზიაში, სადაც 1909 წლამდე ასწავლიდა ხატვას. მოქანდაკის ჩართულობა ასეთ მნიშვნელოვან საქმიანობაში მისი პროფესიული სიძლიერისა და აღიარების მკაფიო მაგალითია, რაც სრულ შეუსაბამობაშია გასული საუკუნის პრესტიჟულ გამოცემებში დაფიქსირებულ განცხადებასთან იმის თაობაზე, რომ „ს. პოლოლიკაშვილი დარჩა დილეტანტის დონეზე“. საბჭოთა მეცნიერების აღნიშნული შეფასება იმ მოქანდაკის შემოქმედებასთან მიმართებაში, რომელმაც ქუთაისში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, ევროპული ვუაიაჟის შედეგად შეძენილი ე.წ. პროფესიული შთაბეჭდილებებით შთაგონებულმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბათუმის ევროპული იერსახის ჩამოყალიბებაში, აშკარად მეტყველებს ტენდენციურობაზე. აქვე მინდა ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას. ს. პოლოლიკაშვილის სწორედ ღრმა

პროფესიონალიზმის, დახვეწილი ოსტატობის დასტურია ის ფაქტი, რომ ბათუმში, საბაშვილის სახლის მდიდრულად ნაძერწი დეკორითა და ქანდაკებებით მან სრულიად ახალი ელფერი შესძინა ქალაქს, რომლის „საფასადო ქანდაკებები ანტიკური და ევროპული კულტურის ტენდენციებით ხასიათდება... მან შემატა სახლს ატლანტებისა და მუზარადებიანი ტიტანების სკულპტურული სახეები. აღნიშნულ საფასადე ქანდაკებებში კარგად ჩანს ხელოვანის ოსტატობა, ბაროკალურ-კლასიკური ფორმები, ნაძერწი დეკორისადმი ინდივიდუალური და შემოქმედებითი დამოკიდებულება, მრავალფეროვნება. სწორედ სკულპტურული მიდგომა განასხვავებს საბაშვილის სახლის ამ ქანდაკებებს, ბათუმის ურბანული სკულპტურული დეკორისაგან… ქანდაკებები წარმოადგენენ შენობის ფასადების ორგანულ და ამავე დროს დომინანტურ ელემენტებს (ხაზი ჩემია. ლ.ბ.). XIX-XX საუკუნეების ბათუმის სახლებზე წარმოდგენილი სკულპტურული დეკორის სხვა ნიმუშები, ძირითადად, საფასადო ნაძერწი დეკორის შემადგენელი ელემენტებია და მათ არ გააჩნიათ დამოუკიდებელი სკულპტურული მნიშვნელობა. შესაბამისად, არც ერთი მათგანი არ ხასიათდება სკულპტურულობით და არ იძლევა ინფორმაციას ქანდაკების, როგორც ხელოვნების დარგის ადგილისა და როლის შესახებ ძველი ბათუმის ისტორიაში“ [მოისწრაფიშვილი ნ. 2021: თავი 1].

ნ. ელერდაშვილმა, მის მიერ განხორციელებული კვლევების შედეგად, გამოააშკარავა ს. პოლოლიკაშვილის მანამდე უცნობი კიდევ ორი ნამუშევარი ქუთაისსა და თბილისში. ქუთაისში, თეთრ ხიდთან მდებარე ფოტო-ატელიეს მეორე სართულზე, საცხოვრებელი ბინის ინტერიერში მან მიაკვლია ნაძერწობას, რომელიც ბინის მეპატრონეს გერმანელების ნახელავად მიაჩნდა მაშინ, როცა იგი ს. პოლოლიკაშვილის მიერ შესრულებული გოკიელის სახლის დეკორის „არა თუ მსგავსი, არამედ ზუსტი გამეორება იყო“ [ელერდაშვილი ნ. 2006. 9:205]. რაც შეეხება მეორე ნამუშევარს, მის აღმოჩენას საინტერესო ისტორია აქვს, რაც, თავის მხრივ, შემდგომი კვლევების ერთგვარი საწინდარია. ნ. ელერდაშვილის წერილში აღნიშნულია, რომ მან მოიძია ინფორმაცია ს. პოლოლიკაშვილის ქალიშვილის - მარგარიტას შესახებ სკოლაში, სადაც იგი ხატვას ასწავლიდა, მისი ყოფილი მოსწავლის - დოდო ნამგალაძისგან. მან კი უჩვენა მარგარიტა პოლოლიკაშვილისადმი მიძღვნილი ალბომი, სადაც „ჩაკრულია თბილისში, გიორგი ათონელის N28 სახლის ფასადზე მოთავსებული ატლანტების ფოტოსურათები. მათ შესახებ თვით ქ-ნ მარგოს უთქვამს ქ-ნ დოდოსთვის, რომ ისინი მამაჩემის ნახელავიაო. შესაძლოა ამ სახლის

კარიატიდები და მთლიანად ფასადის შემკულობაც მასვე ეკუთვნოდეს - ჩვენთვის ხომ ცნობილია, რომ პოლოლიკაშვილს კარიატიდებით ბათუმსა და ქუთაისში ორი სახლი დაუმშვენებია“ [ელერდაშვილი ნ. 2006:207].

დოდო ნამგალაძის სახით ნ. ელერდაშვილმა ძალზე საინტერესო ინფორმაციის შემცველ წყაროს მიაგნო. ამაში დავრწმუნდი მას შემდეგ, რაც პირადად შევხვდი ქალბატონ დოდოს, რომელმაც დაწვრილებით მიამბო მისი ურთიერთობის შესახებ მ. პოლოლიკაშვილთან და იმ ალბომის შესახებ, რომელიც მიუძღვნა მის ხსოვნას. „ალბომის მიზანს წარმოადგენდა მარგარიტა პოლოლიკაშვილის შემოქმედების წარმოჩენა. ალბომში იყო: მამის ატლანტების ფოტოები, მარგოს მიერ შექმნილი დეკორატიული ნამუშევრები - ჩარჩოზე გადაჭიმული ფერადი ტილოები ოქროს ასოებით დაწერილი ვეფხისტყაოსნის აფორიზმებით. ამით იყო დამშვენებული კლასიკური გიმნაზიის როგორც მე-2, ასევე მე-3 სართულის დერეფნები. ეს ალბომი ინახებოდა მარგარიტას მიერ შექმნილ ხატვის კაბინეტში, სადაც ამავე დროს იყო შემდგომში სახელოვანი მხატვრების, იმჟამად მოსწავლეების: გ. აღაპიშვილის, მოქანდაკე მ. ივანიშვილის, ი. ზაუტაშვილის ფერწერული ნამუშევრები. ისინი მარგარიტას ნამოწაფარები არიან. ეს ყველაფერი იყო პოლოლიკაშვილებისადმი მიძღვნილ ალბომში, რომელიც ძმათამკვლელი ომის დროს დაიკარგა.“ მისი მონათხრობიდან საინტერესოა დეტალი ატლანტებთან დაკავშირებით: „ბავშვობიდან ვცხოვრობდი გიორგი ათონელის N18-ში. სადარბაზოს ნახევარი არის ხის მასალის, ზედა ნახევარი-შემინული ფანჯრები, რომლებსაც წინ დამცავი მოჩუქურთმებული გისოსები აქვს. სადარბაზოს იატაკი მარმარილოსია. <u>მარცხენა და მარჯვენა მხარის კიბეებთან მისასვლელი კედლები დამშვენებულია ლომების თავებით. სავარაუდოდ, ესენი უნდა იყოს სერაფიმე პოლოლიკაშვილის შემოქმედება ისევე, როგორც ატლანტები“.</u>

სერაფიმე პოლოლიკაშვილის შემოქმედების გაცნობა, შესწავლა, კვლევა იმთავითვე ახალ-ახალ აღმოჩენებთან არის დაკავშირებული. ეს იყო ჯერ ვლ. გედევანიშვილი, მერე აღალმა და დავით ავალიანი („ამხანაგი“), ივანე ჯავახიშვილი და ალექსანდრა წერეთელი, რომლებიც ასევე ნაკლებად არიან ცნობილნი და მეტს იმსახურებენ. სწორედ ეს აერთიანებს მათ.

და ბოლოს, დავუბრუნდები აღალმას. თუ ნახატში მოცულობითობის ილუზია იქმნება, ქვისგან გამოკვეთილ, ქვაში ამეტყველებულ, სამგანზომილებიან, ადამიანის სხეულის

ანალოგიურ ქმნილებაში, გამძაფრებულია მისი გაცოცხლების სურვილი. სერაფიმე პოლოლიკაშვილისა და იაკობ ნიკოლაძის ქმნილებებში გამოვლენილი აღნიშნული ტენდენცია დასტურია იმისა, რომ ეროვნულმა მეხსიერებამ გარკვეულწილად შეინარჩუნა მრგვალი ქანდაკების ტრადიციები - ცოცხალ სხეულთან მაქსიმალური მიახლოებისა. ამიტომაც ეწოდება მას აღალმა (კერპი, ხატი), რის შესახებაც ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ თუნდაც მე-17 საუკუნეში.

ზემოთ განხილული პუბლიკაციები იძლევა იმის საშუალებას, სტიმულს, რომ თანამედროვე მკვლევარებმა და შესაბამისმა უწყებებმა მოიძიონ სერაფიმე პოლოლიკაშვილისა და მისი წინმსწრები ხელოვანების მიერ ქმნილი ქანდაკებები, აღალმები და ორიგინალებთან წვდომის საფუძველზე მეცნიერულ დონეზე იკვლიონ ისინი, რათა დაიხატოს საქართველოში ქვის კვეთის ხელოვნების სრული სურათი.

ბიბლიოგრაფია:

1. აგლაძე ნ., „მოგონებები“, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, N11. 1960.

2. ამხანაგი. „ქუთაისი. ახალგაზრდა მხატვარი-მოქანდაკე“. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, N261, 1897წ. 22 ივლისი.

3. ბერიძე ვ., „თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები“, ტ. II. თბილისი, 1963.

4. გუდიაშვილი ნ., „ახალი სკულპტურის ფუძემდებელი“. „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი, 1951.

5. დუდუჩავა მ., „იაკობ ნიკოლაძე“, „ხელოვნება“. თბილისი, 1953.

6. ელერდაშვილი ნ., „ს. პოლოლიკაშვილის უცნობი ნამუშევრები“, „საქართველოს სიძველენი“, 9. 2006.

7. ელერდაშვილი ნ., „ახალი ქართული ქანდაკების სათავეებთან“ (სერაფიმე პოლოლიკაშვილი), „სპექტრი“. 2007.

8. კიკნაძე ე., „იაკობ ნიკოლაძე“ 140. თბილისი, 2016.

9. მოისწრაფიშვილი ნ., „ქართული სკულპტურის განვითარების მხატვრული ტენდენციები“ (ბათუმის ქანდაკებების მიხედვით), სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი), 2021.

10. ნაციაშვილი ს., „პედაგოგი“, ჟურნალი „საქართველოს ქალი“, N12. 1964.

11. ნიკოლაძე ბ., „მოქანდაკის მოგონებანი“. თბილისი, 1964.

12. ნიკოლაძე ი., „ერთი წელი როდენთან“ (გ. ქიქოძის წინასიტყვა), მე-2 გამოცემა, „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი, 1963.

13. სანიკიძე თ., „იაკობ ნიკოლაძე“, ,,ხელოვნება“. თბილისი, 1977.

14. სიდამონიძე ვ., „ქართული მხატვრობის ქრონიკები“, „საბჭოთა ხელოვნება“. 1978წ. მაისი.

15. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული 1, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ,,მერანი“. თბილისი, 1991.

16. შანიძე ლ., „ქართული საბჭოთა ქანდაკება“. თბილისი, 1975.

17. წერეთელი ა., „ქართული საბჭოთა პორტრეტული ქანდაკება 1921-1941“. თბილისი, 1959.

18. ჯავახიშვილი ი., „ქუთაისი-რუსთაველის ქანდაკების სამშობლო“, გაზეთი „ქუთაისი“, 1966წ. 4 სექტემბერი.

19. ჯანელიძე ო., „ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი, აკაკი ხოშტარია, მიტროფანე ლაღიძე და სხვანი“... (ალტერნატიული მედია საშუალება“). თბილისი, 2020.

20. Амиранашвили Ш., ,,Вклад Грузии в сокровищницу художественной культуры“. Издательство Академии наук Грузинской ССР. Тбилиси, 1963.

21. Беридзе В., ,,Против искажения истории Грузинского искусства» Институт истории Грузинского искусства. Тбилиси, 1949.

22. Беридзе В., Езерская Н., ,,Искусство Советской Грузии 1921-1970“, ,,Советский художник“. Москва, 1975.

23. Урушадзе И., ,,Яков Николадзе“, ,,Мерани“. Тбилиси, 1977.

ს. პოლოლიკაშვილი. ლადო მესხიშვილის პორტრეტი

ს. პოლოლიკაშვილი. საფლავად დადებული მაცხოვარი (ქუთაისი)

ს. პოლოლიკაშვილი. ნ. საბაშვილის სახლის დეკორი (ბათუმი)

ს. პოლოლიკაშვილი. ნ. საბაშვილის სახლის დეკორი (ბათუმი)

ბრინჯაოს ჭრაქი, ვანი, ძვ. წ. Iს. (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

ლერი ჯიბლაძე

რეცენზია

გელა გამყრელიძის ნაშრომზე „სახელმწიფოებრიობის დასაბამი საქართველოში და არქეოლოგია“

2022 წელს „არქეოლოგია“ სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალის N5 ნომერში გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსისა და არქეოლოგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფ. გელა გამყრელიძის საინტერესო ნაშრომი „სახელმწიფოებრიობის დასაბამი საქართველოში და არქეოლოგია“ (სტატია ელექტრონული ვერსიის სახით ასევე გამოქვეყნდა 2019 წელს იბერია-კოლხეთის N15 ნომერშიც). ნაშრომი მრავალმხრივ საყურადღებოა, განსაკუთრებით გამოვყოფდით ზოგიერთ საკითხს. კერძოდ, მანამდე არსებული შეხედულებისაგან განსხვავებით, რომელიც ეხება საქართველოს ტერიტორიაზე პროტოსახელმწიფოების წარმოქმნა-განვითარების ისტორიას, ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებაში პირველად დაისვა საკითხი, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში პროტოსახელმწიფოებრიობა ჩაისახა საქართველოს ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში, შემდგომ კი მოიცვა მისი აღმოსავლეთი მხარე; ძვ.წ. III ს-დან კი საპირისპიროდ, კოლხეთის ნაწილი მოექცა გაძლიერებული და კონსოლიდირებული იბერიის სამეფოს შემადგენლობაში.

აღსანიშნავია, რომ ეს მოსაზრება სრულიად ახალი თეორიაა საქართველოს ტერიტორიაზე პროტოსახელმწიფოებრიობის წარმოშობის საკითხში. ავტორის მოსაზრებით, ამ შეხედულებას საფუძველი შეუმზადა საქართველოში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მეტალურგიისა და მიწათმოქმედება-მესაქონლეობის განვითარებამ, რამაც აქაური სოციუმის დიფერენცირება გამოიწვია. ამდენად მკვლევარი მიიჩნევს, რომ ძვ.წ. VII საუკუნისათვის კოლხეთში უკვე ჩამოყალიბებულია სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელსაც ე.წ. ჩიფდომს უწოდებენ. მეცნიერის აღნიშვნით, არქეოლოგიაში ეს წარმონაქმნი, კოლხური ბრინჯაოს ხანის კულტურის სახელწოდებითაა ცნობილი (არქაული კოლხეთი ძვ.წ. XV-VI სს-ები), რომელიც დასტურდება გრავირებული ცულებით, მრავალფეროვანი სახის

და გაფორმებული კერამიკით, სპეციფიური სამკაულით და სხვა მთელი რიგი ნიშნების მიხედვით. განსაკუთრებით კი ხელოვნურად გამართული ბორცვ-ნამოსახლართა კომპლექსებით, თავისი დამახასიათებელი საარხო სისტემებით, რომლითაც სახელმწიფოს წარმოქმნის წინა პერიოდში, ძვ.წ. VIII-VII სს-ებში, იფარება მთელი კოლხეთის დაბლობის ტერიტორია. ავტორი საუბრობს კოლხური ბრინჯაოს ხანის კულტურის გავრცელების საზღვრებზე; გამოთქვამს ვარაუდს, რომ კოლხური კულტურის მატარებელი საზოგადოება მისი განვითარების მეორე ეტაპზე, პროტოსახელმწიფოებრივი განვითარების დონეზე უნდა ყოფილიყო. ავტორს ყურადღების მიღმა არ რჩება კოლხური კულტურის ნაირსახების ე.წ. ყობანური კულტურის მატარებელი საზოგადოების განსახლების ადგილები.

მეცნიერის ვარაუდით, ძვ.წ. IX ს-იდან საქართველოს ტერიტორიაზე იწყება რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარება, რომელიც ძვ.წ. VII ს-დან უფრო ინტენსიური ხდება. დახასიათებულია ამ პერიოდის შესწავლილი სხვადასხვა კატეგორიის ძეგლები. აღნიშნულია, რომ კავკასიაში რკინის ინტენსიური დამუშავება-განვითარებისათვის კარგი პირობები არსებობდა. აქ იყო რკინის მადნით მდიდარი რეგიონები; საწვავისთვის საჭირო ხე-ტყე და რაც მთავარია ბრინჯაოს ლითონის წარმოების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება.

საქართველოში არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი რკინის ნივთების შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ ადგილობრივი ხელოსნები სრულყოფილად ფლობდნენ მადნის ქურაში დნობას, ყალიბში ჩამოსხმას, ცხლად ჭედვასა და რკინის მეტალურგიასთან დაკავშირებულ ყველა ტექნოლოგიურ პროცესს. ავტორს მხედველობის არედან არ რჩება ბერძნულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ქართველური მოსახლეობა ხალიბები, რომლებიც ცხოვრობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და იმდროინდელ სამყაროში რკინა-ფოლადის გამომგონებლად ითვლებოდნენ.

ურარტულ წყაროებზე დაყრდნობით გ. გამყრელიძე მსჯელობს სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე, ძვ.წ. VIII ს-ში ნახსენებ კოლხეთზე, რომელიც სხვა მკვლევართა დარად თავისი სტრუქტურით მიაჩნია ადმინისტრაციული სისტემის მქონე პროტოსახელმწიფოდ. აღნიშნულია, რომ იმდროინდელი კოლხეთი

დღევანდელი საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარის დიდ ნაწილს მოიცავდა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომის ის მონაკვეთი, სადაც საუბარია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე გავრცელებულ ნამოსახლარებზე, რომლებიც ხელოვნურად მოზვინულ ბორცვებზე იყო განლაგებული. ეს სამოსახლო ბორცვები მოსახლეობის ცხოვრების ხანგრძლივ ნაკვალევს ასახავენ, სადაც ძირითადად ჯარგვალური ტიპის ხის ძელებიანი ნაგებობები იყო გავრცელებული. აღნიშნულია, რომ კოლხეთში ხელოვნური ბორცვების გარდა სხვა ტიპის ნამოსახლარებიც ჯგუფებად იყო განლაგებული ბუნებრივ შემაღლებებზე, მთის ფერდობებზე, ზღვისპირა და მდინარისპირა ტერასებზე.

ძვ.წ. VIII-VII სს-ში კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე მრავლდება ხელოვნურად გამართული სამოსახლო ბორცვები, რომელთა უფრო მეტი კონცენტრაცია შეინიშნება რიონ-ენგურის ორმდინარეთში. მათთვის დამახასიათებელია ჯგუფებად განლაგება მდინარეების ან ძველი ნამდინარევი კალაპოტების გასწვრივ, ერთ საკომუნიკაციო ხაზზე. ავტორის აღნიშვნით, მათ შორის უმეტესად კონფიგურაციითა და მდებარეობით გამოირჩევა ცენტრალური ბორცვი, რომლის ირგვლივ განფენილია შედარებით მცირე ზომის თანამგზავრი (სატელიტი) გუძუბები. მთავარი ბორცვების დიამეტრია 80-150მ, ხოლო მცირე ბორცვების - 30-80 მ, სიმაღლე 3-7მ. შორის მერყეობს. როგორც მიუთითებენ, ნამოსახლართა კომპლექსების ფართობია 10, 15, 20, 25, ჰა, რომელთა შორის გამოირჩევიან ნამარნუს, ფიჩორის, ერგეტას, ჩოლოქისპირა და ნამჭედურის ვრცელი ნამოსახლართა კომპლექსები. პროტოსახელმწიფოებრიობის წინა პერიოდი განსაკუთრებით კარგად იკვეთება ნამარნუს ნამოსახლართა სისტემაში, რომელიც წინაანტიკურ და ადრეანტიკურ ხანაში წარმოადგენდა ერთგვარ პოლიტიკურ და ჰეგემონ ცენტრს. მის ორბიტაში მოქცეული უნდა ყოფილიყო მდ. ფიჩორის შუა წელისა და მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე განლაგებული არაერთი ბორცვ-ნამოსახლარი.

გელა გამყრელიძის ვარაუდით, ბორცვთა ირგვლივ სადრენაჟო, თავდაცვითი, საკომუნიკაციო არხების გაჭრა, რომელთა სიფართე ზოგჯერ აღწევს 20, 25, 50 მ, სიღრმე კი 3-4 მეტრს, მოითხოვდა დიდი სამუშაოების ჩატარებას, რასაც აწარმოებდა მტკიცე შრომით ორგანიზაციაზე დაფუძნებული საგვარეულო თემი და თემთა გაერთიანებები.

აღნიშნულია, რომ ასეთი საარხო სისტემები კარგადაა შემორჩენილი ნამარნუში, ნაოხვამუში, ნაკარღალში, ფიჩორსა და მთელ რიგ სხვა ნამოსახლარებზე. ავტორი მართებულად შენიშვნავს, რომ ასეთი თხრილების ამოღებაში ჩაბმული უნდა ყოფილიყო რამდენიმე მეზობელი თემის გაერთიანება. ბუნებრივია, თხრილების პარამეტრები ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ ბორცვებს შორის კარგად უნდა ემოძრავათ ნავებს. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტს მეტ დამაჯერობლობას მატებს ბერძენი ექიმისა და მეცნიერის ჰიპოკრატეს (ძვ.წ. VI ს.) ცნობილი ნაშრომი „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“. აქ მოთხრობილია, რომ „კოლხები იშვიათად დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავსადგურებში, სამაგიეროდ დაცურავენ ერთ (მთლიან) ხეში ამოღებული ნავებით, რადგან იქ არხები ბევრია“. ამის პირდაპირ საბუთად თვლიან (მ. ბარამიძე), საგვიჩიოს ტერიტორიაზე, არხის ფსკერზე, ადრეანტიკური ხანის მასალებთან ერთად აღმოჩენილ ხის ნიჩაბის ნაწილს. მართალია ეს წყარო შედარებით მოგვიანო ხანისაა, მაგრამ იგი უფრო ადრეულ ეპოქასაც უნდა ეხმაურებოდეს.

ავტორის აღნიშვნით, ცენტრალური ბორცვის გამოყოფა კომპლექსში მიუთითებს გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ დიფერენციაციაზე, დაწინაურებული (ჰეგემონი) გვარის დანარჩენთაგან იზოლაციის ტენდენციაზე. იგი სამოსახლოს მეთაურია, რომელიც მთელი რიგი უფლებებით არის აღჭურვილი: მოსახლეობის შეკრება საზოგადოებრივ სამუშაოებზე, კოლექტიური შრომა სადრენაჟო თუ თავდაცვითი დანიშნულების არხებზე, ზედმეტი პროდუქტის მითვისება და გარკვეული სიმდიდრის დაგროვება. ნამოსახლართა კომპლექსში გამოყოფილი ცენტრალური ბორცვი ტომის ბელადის, თუ წინამძღოლის და პრივილეგირებული ფენის საცხოვრებელს წარმოადგენდა, გარშემო ბორცვებზე კი სახლობდა საზოგადოების ძირითადი ფენა თავისუფალი მეთემეები. კომპლექსში შემავალი სხვა დანარჩენი გუძუბები ჩნდება ქრონოლოგიურად მოგვიანო საფეხურზე. ხშირ შემთხვევაში მთავარ ბორცვზე ცხოვრების შეწყვეტისას, ანდა აქედან ჭარბი მოსახლეობის განსახლების შედეგად. ცენტრალური ბორცვის ჰეგემონობა სწორად ძვ.წ. VIII-VII სს-ებიდან უნდა ვიგულისხმოთ. აღნიშნულ ხანაში იზრდება ნამოსახლართა მასშტაბები, დასახლების ინტენსიურობა და ხელოვნური გამაგრება. შესაძლოა, ეს ხანა პროტოურბანისტული ცივილიზაციის დასაწყისადაც ჩავთვალოთ. სწორედ ამ წინაანტიკური ხანის გორა-ნამოსახლარების შემდგომ განვითარების ბაზაზე თვლიან

აღმოცენებულად კოლხეთის სამეფოს მსხვილ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ საქალაქო ცენტრებს (ვანი, საირხე, მთისძირი, დაფნარი და სხვ.).

გელა გამყრელიძის ვარაუდით, ასეთი სამუშაოების ჩატარებას ხელმძღვანელობდნენ გამორჩეული ლიდერები. თავდაცვითი და საცხოვრებელი პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით ხდებოდა გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაცია, რა დროსაც იკვეთებოდა ერთიანი წინამძღოლი, რომელსაც დანარჩენი ლიდერები ემორჩილებოდენენ. მისაღებია მეცნიერის მოსაზრება, რომელიც ამგვარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურას წინასახელმწიფოებრივიდან სახელმწიფოზე გარდამავალ პერიოდს უწოდებს. მისი აზრით, ზემოთ მოყვანილმა გარემოებებმა და ძვ.წ. VII ს-დან ბრინჯაოზე უფრო მტკიცე ლითონით რკინით ჩანაცვლებამ, ძვ.წ. V-IV სს-ში ხელი შეუწყო ძლიერი პოლიტიკური ერთეულის კოლხეთის სახელმწიფოს განვითარებას, რომელიც წერილობით წყაროებში „ოქრომრავალი კოლხეთის“ სახელითაა ცნობილი.

ავტორის აზრით, არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათლად ცხადყო, რომ თხრილებით გარშემორტყმული ხელოვნური ბორცვები სპეციფიკური კოლხური მოვლენაა. აქედან გამომდინარე სრულიად ვეთანხმებით გელა გამყრელიძის მოსაზრებას, რომ სწორედ ასეთმა გაერთიანებებმა ჩაუყარეს საფუძველი კოლხეთში სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

მეცნიერი საუბრობს იმდროინდელი მოსახლეობის საშენი მასალების, ნაგებობათა ტიპებისა და მშენებლობის ტექნიკის შესახებ. აღნიშნულია, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინა-ანტიკურ პერიოდში კოლხეთის ბარში და ბორცვოვან ზოლში გამოიყოფა ჯარგვალური, ძელური ნაგებობები, რომლის ერთი-ერთი სახეობის აღწერილობა დაგვიტოვა ვიტრუვიუსმა. ასევე მკვლევარს თვალთახედვის არედან არ რჩება ფაცხისებური სარ-ლასტით გამართული შენობების არსებობა, რომლებიც კოლხეთში ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ჯარგვალური ნაგებობების გვერდით ყოფილა გავრცელებული. გ. გამყრელიძე ყურადღებას ამახვილებს თიროვან ნიადაგში ჩაჭრილ სათავსოებზე, მიწურებზე და ნახევრად მიწურებზე, რომელზედაც ზემოდან შემდგარი ყოფილა ფაცხისმაგვარი, სარ-ლასტით გამართული შენობები.

ავტორს განხილული აქვს მეურნეობის წამყვანი დარგები, მარცვლეული კულტურის ჯიშები და მათი დასამუშავებელი იარაღები. მისი ვარაუდით, მარცვლეული

კულტურების მოსაყვანად გამოიყენებოდა შემაღლებული ადგილები. კოლხეთში მიწის დასამუშავებელ ძირითად იარაღად ხმარობდნენ სხვადასხვა ვარიანტის ბრინჯაოს თოხებს, ხის სახვნელ იარაღებს, უფრო მოგვიანო ხანაში კი რკინის სახნისებს.

მეცნიერი საკმად დაწვრილებით ეხება სახელმწიფოს წარმოშობის თეორიებს. ერთ-ერთი ვერსიის (ჰიდრავლიკური, ირიგაციული) თანახმად მდინარეების ნოყიერ ადგილებში დაიწყო მიწათმოქმედების განვითარება, რასაც ხელი უნდა შეეწყო სახელმწიფობრიობის წარმოქმნისათვის. გამოთქმული აქვს საინტერესო მოსაზრება, რომ სწორედ ასეთი სიტუაცია შესაძლოა თავის დროზე შექმნილიყო მდ. რიონის აუზშიც. მისი აზრით, სახელმწიფოს წარმოქმნაში დიდი როლი უნდა შეესრულებინა გეოგრაფიულ გარემოს (ბიო-გეოგარემო), რადგან საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში ბიოგარემოზეა დამოკიდებული სოციოგარემოს, სახელმწიფოს განვითარების მდგომარეობა.

ნაშრომში განხილულია კოლხური მეორადი დაკრძალვის კოლექტიური სამარხი ორმოები, რომლებიც სპეციფიკურ კოლხურ მოვლენადაა მიჩნეული; დახასიათებულია მასში აღმოჩენილი ბრინჯაოს ინვენტარი; გარკვეული ყურადღება აქვს დათმობილი კლასიკური ხანის სამოსახლოების დახასიათებას. ავტორი სამართლიანად მიიჩნევს, რომ სწორედ ძვ.წ. VIII-VII სს კოლხეთი პროტოსახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელსაც მმართველობის გარკვეული სისტემა ქონდა და დროთა განმავლობაში მისი ძირითადი ბირთვი მდ. რიონის აუზში განლაგდა. იგი იძლევა გვიანბრინჯაო-ადრერკინა-ანტიკური ხანის ნამოსახლარების ჩამონათვალს და გადმოგვცემს მათ მოკლე დახასიათებას.

ყურადღებას ამახვილებს ისეთ პირველხარისხოვან ძეგლებზე როგორიცაა: ანაკლია I, ანაკლია II, ნამარნუ, ერგეტა, ფიჩორი, ყულევი, ჭალადიდის ზურგა და ა.შ.

მეცნიერი განიხილავს ძვ.წ. VIII-IV სს-ებში კოლხეთში გავრცელებულ ნამოსახლართა და ნაგებობათა ტიპებს, რომლის შესახებ (ხის ნაგებობებზე) საყურადღებო ფაქტებს შეიცავენ ბერძნულ-ლათინური და არქეოლოგიური წყაროები. აღნიშნულია, რომ ეს მონაცემები ძირითადად დაცულია ქსენოფონტეს, ჰეკათეოს მილეტელის, ჰიპოკრატეს, ჰეროდოტეს, აპოლონიოს როდოსელის და სხვა ავტორთა თხზულებებში.

ავტორის აღნიშვნით, ძვ.წ. VIII-IV სს-ებში კოლხეთში დასტურდება გამაგრებული ნამოსახლარების ჩამოყალიბებული სისტემის არსებობა. ამ პერიოდში საკმაოდ მჭიდროდ ჩანს დასახლებული კოლხეთის დაბლობი, ასევე მთისწინეთი და ცალკეული ხეობები. მას მიაჩნია, რომ ამგვარი დასახლებები განცალკავებული სოფლური ტიპის იყო, რომლებიც გაშენებული იყვნენ ბუნებრივ ბორცვებზე ან ხელოვნურად გაკეთებულ მიწაყრილებზე. ეს დასახლებები ქსენოფონტესაგან განსხვავებით, უფრო ზედმიწევნით აღწერილი აქვს ვიტრუვიუსს. სტატიის ავტორი საგანგებოდ განიხილავს ბუნებრივ ბორცვებზე აგებულ ნაგებობებს, რომლის საინტერესო მაგალითად თვლის სოფ. მთისძირში ადეიშვილის გორაზე შესწავლილ ძელურ-ბათქაშოვან შენობებს. ამ ნაგებობის თავისებურებას წარმოადგენდა ქვის ცოკოლზე შემდგარი ძელური, თიხით შელესილი შენობები, რომელსაც ძელებით მოგებული იატაკი ქონია. ავტორი თვლის, რომ ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს ანტიკური ეპოქის ავტორების ქსენოფონტეს, პომპონიუს მელას და დიონისიოს ჰალიკარნასელის თხზულებებში ნახსენებ კოლხეთის ხის ნაგებობების ნაირსახეობასთან. საინტერესოა, რომ კოლხეთში ძელებით მოგებული იატაკი დასტურდება უფრო ადრეულ პერიოდში-ანაკლია II-ის შუა ბრინჯაოს ხანის ჯარგვალური ტიპის სათავსოში.

ავტორის აღნიშვნით, კოლხეთში ხის ძელებიანი ნაგებობანი კარგად არის შემორჩენილი სოფ. ანაკლიაში (დიხა-გუძუბა I, II), სოფ. რეკში ნაოხვამუზე, სოფ. საქორქიოში სიმაგრესთან, ქობულეთში ჩოლოქთან, ყულევში, სოფ. ნოსირში და ა.შ. ასევე მოგვითხრობს ხის ძელებიანი ნაგებობების არსებობაზე ვანის ნაქალაქარზე, სოფ. ვარციხესა (ვარდიგორა) და გაბაშვილების გორაზე. საუბრობს ლეჩხუმში ძვ. წ. VIII-Vსს-ების კოვრაშის ნამოსახლარზე გამოვლენილ ქვის საძირკვლიან სათავსოზე. ასეთი ტიპის ნაგებობების ნაშთები ხის ძელებითა და ბათქაშების სახით დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზეა გვხვდება. მისი აღნიშვნით ეს არქეოლოგიური ძეგლები ქრონოლოგიურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ მათში არქიტექტორიული მემკვიდრეობა იგრძნობა. მკვლევარის აღნიშვნით, კოლხეთში თლილი ქვა, ალიზის აგური და კრამიტი მხოლოდ ძვ.წ. III საუკუნიდან იკიდებს ფეხს. მანამდე კი აქ ხე ძირითადი სამშენებლო მასალა ყოფილა, რომლისაგან აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, კოშკებს, ზღუდე-მესრებს და გამაგრებულ სამოსახლოებს.

მოყავს სტრაბონისა და ვიტრუვიუსის მონაცემები კოლხეთში ტყისა და ხის საშენი მასალის უხვად არსებობაზე.

გელა გამყრელიძის აღნიშვნით, ქართველური მოსახლეობით დასახლებულ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. III საუკუნის წინა პერიოდში გავრცელებული ყოფილა ბორცვსა და გორაზე გამართული, ძელურ-ბათქაშიანი, ძელებიანი მესრით შემოზღუდული, კოშკებ-ჩართული კომპლექსები, ხისგან ნაგები გამაგრებული სამოსახლო, რომელსაც მოსუინი ეწოდება.

ავტორი თვლის, რომ ასეთი ბორცვ-გორები ალბათ იყვნენ ნათესაობრივი თემების საცხოვრებლები, რომელსაც სათავეში ადგილობრივი ხელისუფალი, ბერძნული წყაროებით რომ ვთქვათ ბასილევსკი ედგა.

გვიანბრინჯაოს ეპოქიდან მოყოლებული და განსაკუთრებით ძვ.წ. VIII-IV სს-ებში დასავლეთ საქართველოს დაბლობი და მთისწინეთი არქეოლოგიური მონაცემებით, მჭიდროდ ჩანს დასახლებული. ავტორი იზიარებს ოთ. ლორთქიფანიძე მოსაზრებას, რომ ამ პერიოდის კოლხეთში შეიმჩნევა ე.წ. დემოგრაფიული აფეთქება. მეცნიერის აზრით, არქეოლოგიური მასალების შესწავლა კოლხეთში მოწმობს სამიწათმოქმედო მეურნეობის საკმაოდ მაღალ ნიშნულზე აწევას, რასაც უნდა უზრუნველყო ზედმეტი პროდუქტის წარმოება და აქედან გამომდინარე სასაქონლო ვაჭრობის განვითარება. ამ პერიოდში შეიმჩნევა ე.წ. კოლხური კერამიკის სიმრავლე და მრავალფეროვნება, რაც ადასტურებს მეთუნე-ხელოსანთა პროფესიონალიზმს. კოლხური კერამიკა მთელი კოლხეთის ტერიტორიაზეა გავრცელებული და კოლხეთის ერთიანობის დამაჯერებელი არგუმენტია. ავტორს მიაჩნია, რომ ზემოთ ნახსენებმა მიზეზებმა და ბრინჯაოზე უფრო მტკიცე ლითონით, რკინით ჩანაცვლების დაწყებამ, ძვ.წ. VI-IV სს-ებში ხელი შეუწყო პოლიტიკური ერთეულის კოლხეთის სახელმწიფოს განვითარებას.

მეცნიერი კიდევ ერთხელ უბრუნდება კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე ხელოვნურ ბორცვებზე სამოსახლოების გამართვის თემას. აღნიშნავს, რომ დასახლების ამნაირი ტიპი კოლხეთის დაბლობზე შემთხვევით არ განვითარებულა და მისი წარმოშობა ჭაობიანი ადგილებით, ბრტყელი რელიეფითა და ჭარბწყლიანობით იყო განპირობებული. ასეთ სიტუაციაში ცხოვრებისთვის ხელსაყრელი პირობების შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო ხელოვნური შემაღლებების გაკეთება და

ბორცვების ირგვლივ თხრილების ამოღება, რომელთაც სხვა ფუნქციასთან (სადრენაჟო) ერთად, უნდა ქონოდა თავდაცვითი დანიშნულებაც (თავის დაცვა მტრისგან, მტაცებელი ცხოველისგან, წყლის სტიქიისგან).

გელა გამყრელიძის აზრით, ანტიკურ ხანაში ადგილობრივმა სამოსახლოებმა ცვლილებები განიცადეს. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ზოგიერთი სამოსახლო, რომელსაც უფრო მოხერხებული ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკურ-კომუნიკაციური ადგილმდებარეობა ეკავა, დაწინაურდა და გარკვეული რეგიონის ქალაქური ტიპის ცენტრად ჩამოყალიბდა, რომელსაც გააჩნდა მასზე დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია.

ავტორი საუბრობს კოლხეთის ზღვისპირეთში ბერძნული კოლონიზაციის მიმდინარეობის პროცესებზე. აღნიშნულია, რომ ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულიდან კოლხეთის ზღვისპირეთში ვითარდება პოლისური ტიპის ქალაქები: დიოსკურია, გიენოსი, ფასისი, ქობულეთ-ფიჭვნარი და ა.შ.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პროტოსახელმწიფოებრიობის შემდგომ ძვ.წ. V-IV სს-ებში კოლხეთის ძლიერი სამეფო განვითარდა, რომელიც დასტურდება როგორც წერილობითი, ასევე მრავალფეროვანი არქეოლოგიური მონაცემებით. ამ პერიოდში კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე იჭრებოდა თავისებური მონეტები კოლხური თეთრის სხვადასხვა ნომინალები.

არქეოლოგიური გათხრებით კოლხეთის სამეფოს უაღრესად თავისთავადი მხატვრული კულტურა წარმოჩინდა, რომლის ერთ-ერთ დაწინაურებულ დარგს ოქრომჭედლობა წარმოადგენდა. გ. გამყრელიძე საუბრობს ოქრომჭედლობის თავისებურ ნიმუშებზე (ყელსაბამები, დიადემები, საყურეები, სამაჯურები), რომლებიც მისი აზრით მხოლოდ იმდროინდელი კოლხეთისთვის იყო დამახასიათებელი (ჭედვა, ტვიფრვა, რჩილვა, ფილიგრანი, ცვარვა).

ავტორი არგუმენტირებულად მსჯელობს, რომ კოლხეთში უკვე იყო გაფორმებული ფიზიკური, გეოგრაფიული და ეკონომიკური კომუნიკაციურ საფუძველზე წარმოქმნილი ტერიტორიული ერთეულები, რომელთა სათავეში იდგნენ ადგილობრივი დაწინაურებული გვარის წარმომადგენლები. ისინი წარმოქმნის პირველ

ეტაპზე ტომების ტერიტორიული ერთეულები იყვნენ, რის შემდეგ თანდათან წინაურდება ერთ-ერთი ამ ერთეულის არისტოკრატიული გვარი, რომელიც სახელმწიფოს უკეთ სამართავად და გასამტკიცებლად ადმინისტრაციულ რეფორმებს ატარებს.

ავტორს ყურადღების მიღმა არ რჩება პონტოს მეფის მითრიდატე VI გამოჩენა კოლხეთის ზღვისპირეთში და რომი-პართიის დაპირისპირების საკითხები. აღნიშნულია, რომ სანდოდ გამოიყურება წერილობით წყაროებში დაცული ცნობები აზოსა და შემდგომში ფარნავაზის დროს (ძვ.წ. III ს. დასაწყისი) კოლხეთის ნაწილის იბერიის სამეფოს ფარგლებში მოქცევაზე. საუბრობს სტრაბონისეული კოლხეთის სკეპტუხიებად დაყოფაზე და მისი შიდა ნაწილის მოქცევაზე გაძლიერებული იბერიის სამეფოს შემადგენლობაში. ეხება პომპეუსის ლაშქრობას იბერიაში და მის გადასვლას კოლხეთის ტერიტორიაზე.

მოყავს წერილობითი წყაროების მონაცემები (პლუტარქე, დიონ კასიუსი) კოლხეთის სამეფოს შიდა დაყოფაზე. იგი ამახვილებს ყურადღებას იმ საკითხზე, რომ იბერიის სამეფოსთან კოლხეთის ნაწილის ინკორპორაციამ მისი პოლიტიკური სტატუსის შეცვლა გამოიწვია.

სტატიის გარკვეული ნაწილი დათმობილი აქვს იბერიის სამეფოს განხილვას. მოყავს სტრაბონის ცნობილი მონაცემები იბერიის სამეფოზე, სადაც საუბარია, რომ იბერია უმეტესწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებით და სოფლებით და ასე შემდეგ. ავტორს მიაჩნია, რომ იბერიაში დიდი ნაგებობებისა და სარწყავი არხების აგება შესაბამის შრომის იარაღებისა და მრავალრიცხოვან ადამიანთა კარგად ორგანიზებული შრომის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მისაღებია ავტორისეული მოსაზრება, რომ ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ გამორჩეული პიროვნებები - ლიდერები, რომლებიც ანხორციელებდნენ დასახლებების დაცვას. მისი აზრით, სამუშაოთა მასშტაბებისა და თავდაცვითი მზადყოფნის ერთობლივი ძალისხმევით გადაწყვეტის პირობებში, ხდებოდა გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაცია, რის შედეგად დროთა განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოში პროტოსახელმწიფოებრივი საზოგადოებრივი წყობა განვითარდა. თუმცა სოციუმის ამდაგვარი განვითარებას შესაძლოა უფრო ადრე ჩაეყარა საფუძველი.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში არქეოლოგიური მონაცემებით ინტენსიურად იყო დასახლებული ძველი საქართველის ცენტრალური ნაწილი, სადაც მოსახლეობა ძირითადად ბორცვ-გორაკებზე ცხოვრობდა. შესაძლოა გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ისინი დაბური ტიპის დასახლებად გადაიქცნენ. ამის თვალსაჩინო მაგალითად ავტორს მიაჩნია ხოვლე გორას ნამოსახლარი, რომელიც ძვ.წ. VI-IV სს-ებში დაბური დასახლების სახეს ღებულობს, რომელსაც ქონდა შემოვლებული ღრმა თხრილი. მკვლევარის ვარაუდით, ამ გორას გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს, რომელიც აკონტროლებს მის გარშემო მდებარე ტერიტორიას.

სტატიაში ნათქვამია, რომ იბერიის სამეფოს ძვ.წ. III საუკუნის ძირითად წყაროა ლეონტი მროველის თხზულება, რომელიც ქართლის ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს. ავტორის მოსაზრებით, „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში“ გადმოცემული ცნობების უმეტესი ნაწილი ახალი არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება. მაგ. ისეთი ცნობილი ციხე ქალაქების არსებობა როგორიცაა: ციხე-გოჯი, ნასტაკისი, სარკინე, არმაზციხე-ბაგინეთი, შოროპანი და სხვ. აქვე აღნიშნულია, რომ ისტორიული პერსონაჟები - არტაგი, ფარსმან I, ფარსმან II ქველი, ამაზსპანი და სხვა არქეოლოგიურად აღმოჩენილი ეპიგრაფიული ძეგლების მიხედვით დასტურდება.

ავტორი სტატიაში განიხილავს ფარნავაზ მეფის მოღვაწეობას იბერიის სამეფოში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ფარნავაზიანთა სამეფო დინასტიას. იგი ეხება ფარნავაზი მეფის დროს იბერიის სამეფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულებად დაყოფას, რომელსაც ადგილობრივი სამხედრო-არისტოკრატიის წარმომადგენლები მართავდნენ. ეს ფაქტი კი ბერძნულ-არამეული წერილობით წყაროებშია მოხსენიებული. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იმ პერიოდის სამეფო ჯარის შეიარაღებაზე, რომლის შესახებ ავტორს სპეციალური კვლევა-ძიება აქვს ჩატარებული და მისი მრავალფეროვნება არქეოლოგიური მასალების მიხედვით ზედმიწევნით კარგად აქვს წარმოდგენილი. სტატიაში აღნიშნულია, რომ იბერიის სამეფოს თავდაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საფორტიფიკაციო ნაგებობებს, რომლებიც სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილებში იყო განლაგებული.

ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ძველ საქართველოში მსხვილი ქალაქური ტიპის დასახლებებიდან ქალაქები განვითარდა, რომლებიც ძირითადად გზების პირას,

ვაჭრობის კონცენტრაციისა და სამხედრო-სტრატეგიულ ადგილებზე წარმოიქმნენ. მათ შესახებ ინფორმაციები წერილობით და არქეოლოგიურ წყაროებშია მოცემული. ასეთებია: მცხეთა-არმაზციხე, ნასტაკისი, სამადლო, ძალისა, სარკინე და ა.შ. ავტორი აღწერს იმდროინდელი ქალაქების გეგმარებას და აღნიშნავს, რომ საქართველოში არქეოლოგიურად გამოვლენილი ძველი ქალაქების ნაგებობანი შექმნილია იმდროინდელი მოწინავე სამყაროსათვის დამახასიათებელი თეორიული და პრაქტიკული მიღწევების საფუძველზე. იბერიის ქალაქების ყველაზე გამაგრებულ ადგილებს აკროპოლისი წარმოადგენდა; აქვე იყო განლაგებული ხელისუფალთა და არისტოკრატიის რეზიდენციები და მთავარი ტაძარი. ქალაქებს მძლავრი თავდაცვითი კედლები ერტყა, რომელშიც კოშკები იყო ჩაშენებული; გალავანს ხშირად თავდაცვითი დანიშნულების თხრილი ერტყა; კედლები ოთხკუთხა თლილი ქვებით და ალიზით იყო ამოყვანილი. შენობების გადასახურავად ბრტყელ და ღარიან კრამიტს იყენებდნენ.

გელა გამყრელიძეს შეუძლებლად მიაჩნია ქალაქების საზოგადოებრივი, ადმინისტრაციული, სამეურნეო, წყალსადენის, საკულტო და თავდაცვითი ნაგებობების შექმნა შესაბამისი შრომის იარაღების და მრავალრიცხოვან ადამიანთა კარგად ორგანიზებული შრომის გარეშე.

ავტორი აღნიშნავს, რომ იბერიის ქალაქები წარმოადგენდნენ ხელოსნობისა და ვაჭრობის მსხვილ ცენტრებს, რომლებიც მათ ირგვლივ მდებარე სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს ფლობდნენ, საიდანაც ქალაქები სურსათით მარაგდებოდა. მცხეთა იბერიის სამეფოს დედაქალაქი იყო, რომელიც ქალაქური ტიპის დაბების აგლომერაციას წარმოადგენდა ჩამოთვლილი აქვს მცხეთის ძირითადი ქალაქური დასახლებები.

გ. გამყრელიძე ანვითარებს თეორიას, რომ ქართველური მოდგმის ხალხი უძველესი დროიდან სახლობდა დღევანდელი საქართველოს მიწა წყალზე და ისინი განსახლებული უნდა ყოფილიყვნენ სამი მდინარის მტკვრის, რიონისა და ჭოროხის აუზებში. ეს კი ზოგადად მოიცავს ტერიტორიას ვანის ტბიდან შავ ზღვამდე და კავკასიონის ქედის ჩათვლით, სადაც ცხოვრობდა ხალხი, რომლის სხვადასხვა გაერთიანებებს საისტორიო წერილობითი წყაროები სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ: კოლხები, იბერები, ხალიბები, მოსუინიკები, სასპერები, მაკრონები, ჰენიოხები,

მოსხები, ტაოხები, აფსილები, ტიბარენები, სანიგები, შემდეგ ჭანები, ლაზები, სვანები, ეგრნი, ქართნი და ა.შ.

დასასრულს ავტორი ასკვნის, რომ პროტოსახელმწიფოებრიობა უფრო ზემო ევფრატის, მტკვრისა და არაქსის, ჭოროხის მდინარეთა ზემო წელის აუზებში (სათავეების მიმდებარე ტერიტორიაზე) ძვ.წ. XI-VII ს-ში ჩაისახა ქართველური ტომების (კოლხები, სასპერები, მესხები და სხვ.) გაერთიანების შედეგად, რომელიც ჯერ კიდევ ლურსმულ წარწერებში მოიხსენიება. შემდგომ კი მყარი სახელმწიფოებრიობა მდ. რიონის აუზში განვითარდა და მდ. მტკვრის შუა წელიც მოიცვა.

ძვ.წ. III ს-დან კი პირიქით, კოლხეთი, გაძლიერებული და კონსოლიდირებული იბერიის სამეფოს ფარგლებში მოექცა. კოლხეთ-ლაზიკისა და იბერიის ადგილსა და საფუძველზე განვითარდა ერთიანი სახელმწიფო საქართველო. ნაშრომს ერთვის გამოყენებული მდიდარი ლიტერატურის სია, რუკები და ილუსტრაციები.

როგორც წესი, გელა გამყრელიძის თითქმის ყველა სამეცნიერო ნაშრომი გამოირჩევა აკადემიზმით და საქმისადმი მაღალპროფესიონალური მიდგომით. არც ეს სტატია წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს. ნაშრომი ადვილად იკითხება და კარგი ქართულითაა დაწერილი. ვფიქრობთ, იგი სამაგიდო ნაშრომს უნდა წარმოადგენდეს ყველასათვის ვინც კი იკვლევს ძველი კოლხეთის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებს.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ გელა გამყრელიძის ნაშრომი „სახელმწიფოებრიობის დასაბამი საქართველოში და არქეოლოგია“ სრულიად ახალი სიტყვაა საქართველოს ტერიტორიაზე პროტოსახელმწიფოების წარმოქმნა-განვითარების კვლევის საკითხში. იგი კარგი შენაძენია ქართული საისტორიო მეცნიერებისა და ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველთათვის.

სარჩევი

ნაზი პაჭიკაშვილი, გიორგი ლომთათიძე რუსთავის არქეოლოგიური ექსპე-
დიციისა და მუზეუმის ფუძემდებელი 6

თემურ ბიბილური - გიორგი ლომთათიძე - მკვლევარი, პედაგოგი, მოღვაწე 11

ალექსანდრე ნონეშვილი, გურამ ყიფიანი, მადონა მშვილდაძე, გიორგი
ბურჯანაძე - ოხერახევის სამაროვნის ტერიტორიაზე 2022 წელს ჩატარებული
არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში 23

ლერი ჯიბლაძე, ბიძინა მურვანიძე - ქვის ორპირა ცული შიდა ქართლიდან .. 163

გურამ ყიფიანი - ეცერის ელინისტური სიმაგრე და სვანეთის მიკრო-
ურბანული სისტემები 178

ალექსანდრე ნონეშვილი - იბერიაში რომაული სამხედრო ქვედანაყოფების
დისლოკაციის შესახებ (არქეოლოგიური მასალების მიხედვით) 206

მედეა შეროზია, მარიამ ქორიძე - ე. პახომოვის დაბადებიდან 140
წლისთავისადმი 216

ლია ბუაძე - სახელი ნიშანია - აღალმა 229

ლერი ჯიბლაძე - რეცენზია გელა გამყრელიძის ნაშრომზე
„სახელმწიფოებრიობის დასაბამი საქართველოში და არქეოლოგია“ 256